



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VI საფეხური);
2. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VII საფეხური);
3. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VI საფეხური);
4. გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VII საფეხური);
5. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VI საფეხური);
6. სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VII საფეხური);
7. თარგმანისა და კულტურათშორისი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (უმაღლესი განათლების VII საფეხური);

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 22, 23 და 24 დეკემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 31 იანვარი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1.	48
2.	125
3.	160
4.	170
5.	214

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ბერიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ კილანავა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ცერცვაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ააიპ- დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია	ინგლისური ფილოლოგია	გერმანული ფილოლოგია	გერმანული ფილოლოგია	სკანდინავიური ფილოლოგია	სკანდინავისტიკა	თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	I საფეხური	II საფეხური	I საფეხური	II საფეხური	I საფეხური	II საფეხური	II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი/ ლექსიკოგრაფიის მაგისტრი	გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი	გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი	სკანდინავიური ფილოლოგიის ბაკალავრი	სკანდინავიური ფილოლოგიის მაგისტრი	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია	0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია	0231.1.3 გერმანული ფილოლოგია	0231.1.3 გერმანული ფილოლოგია	0231.1.4 სკანდინავიური ფილოლოგია/ სკანდინავისტიკა	0231.1.4 სკანდინავიური ფილოლოგია/ სკანდინავისტიკა	0231.2.2 თარგმანმცოდნეობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება¹	-	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	240	120	240	120	120

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p>	აკრედიტებ ული; გადაწყვეტი ლება No. 173, 28.10.11	აკრედიტებ ული; გადაწყვეტილე ბა No. 238, 18.07.12	აკრედიტებ ული; გადაწყვეტილე ბა No. 174, 28.10.11	აკრედიტებ ული; გადაწყვეტილე ბა No. 211, 18.07.12	აკრედიტებ ული; გადაწყვეტილე ბა No. 181, 28.10.11	აკრედიტებული; გადაწყვეტილე ბა No. 89, 11.08.16.	აკრედიტებული; გადაწყვეტილება No. 221, 18.07.12
--	--	--	--	--	---	---	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ევროპული ენების კლასტერი ხორციელდება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. წარმოდგენილი კლასტერი აერთიანებს მთლიანობაში 7 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 3 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო საფეხურებზე ხორციელდება. კლასტერში დაჯგუფებული ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო, გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო, სკანდინავისტიკის სამაგისტრო და თარგმანისა და კულტურათმშობის ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება ენათა ნათესაობის პრინციპსა და შინაარსობრივ ურთიერთკავშირს. სამაგისტრო საფეხურზე განხორციელებული პროგრამები საბაკალავრო პროგრამების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენენ და ერთობლივად ქმნიან სპირალური კურიკულუმის კულტურას, რომელიც მარტივიდან რთული კონცეფციების ჩამოყალიბებას გულისხმობს. უნივერსიტეტში ინგლისური და გერმანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე მრავალწლიანი ისტორია აქვთ. შედარებით ახალი პროგრამებია სკანდინავიური ფილოლოგია საბაკალავრო საფეხურზე და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელთა შემუშავება 'სკანდინავიური ენებისა და შესაბამისად, ამ ქვეყნებისადმი ინტერესი მეცნიერების სხვადასხვა დარგების სწრაფმა განვითარებამ, ინტენსიურმა კავშირებმა, ახალმა გლობალურმა გამოწვევებმა განაპირობა' (თვითშეფასების დოკუმენტი, გვ.9). ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი როლი შეინარჩუნოს 'ორქიდეული' პროგრამები, განავითაროს და წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში ეროვნულ დონეზე.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში პროგრამებისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო ცვლილებები განხორციელდა. ასე მაგალითად, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე, რომლის მოდული ბრიტანეთისმცოდნეობა, ამავე მისანიჭებელი კვალიფიკაციით, აღარ არსებობს განახლებულ პროგრამაში მოქმედ კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაციის (0388.2.1 ბრიტანეთის კვლევები /ბრიტანეთისმცოდნეობა British Studies) 03 სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის ფართო სფეროში გადატანის გამო. პროგრამული ცვლილებები მოერგო ენის ფლობის უმაღლესი განათლების

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

დარგობრივ მახასიათებელსაც, რომლის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი. შესაბამისად, პროგრამებში განხორციელდა შინაარსობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც შეეხო:

- მიზნებისა და სწავლის შედეგების დაკონკრეტებას მათი გაზომვადობის მიზნით;
- კვალიფიკაციის კოდებსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდებებს;
- ცალკეული პროგრამების შემთხვევაში დაშვების წინაპირობებს;
- ახალი სასწავლო კურსების დამატებას და არსებული სასწავლო კურსების განახლებას სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების კუთხით;
- სასწავლო კურსებში ლიტერატურის განახლებას;
- შეფასების სისტემას, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში 2021 წლის 29 დეკემბერს N105/6 ბრძანებით შესული ცვლილებების თანახმად.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამა ეხმიანება მათ როლს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელებაში, ხელი შეუწყონ მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრებას და ინტერნაციონალიზაციის განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში გამოკვეთილი მრავალფეროვნება, ინდივიდუალურობა და ძლიერი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი სწორედ ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვანი დიდხნიანი ტრადიციების გაგრძელებაში და განვითარებისკენ სწრაფვაში იკვეთება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 21 დეკემბრის No1636724 ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 22, 23 და 24 დეკემბერს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც ემსახურებოდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ევროპული ენების კლასტერის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს შექმნილი კონსტრუქციული სამუშაო გარემოსთვის. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით, რომელიც გაგრძელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრებით. ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო ონლაინ, Zoom პლატფორმის გამოყენებით. დამატებითი შეხვედრები ჩაინიშნა ენათა ცენტრის

წარმომადგენელთან და სკანდინავიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთან.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დასასრულს ძირითადი მიგნებები გააცნო პროგრამაზე მომუშავე გუნდს. აქვე, აღსანიშნავია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შემუშავებაში ჩართული და განმახორციელებელი პერსონალის კოლეგიალური უკუკავშირის მიმღებლობის მაღალი დონე, რომელიც მათი პროფესიონალიზმით არის განპირობებული.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა 1- ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.5. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2- ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. -მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3- გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4- გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური

სტანდარტი 1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5- სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 6- სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 7- თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები, სამაგისტრო საფეხური

სტანდარტი 1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

კომპონენტი 1.1.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში დაზუსტდეს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონეები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1/B2) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს მისაღწევი ენის/ენების დონე.

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

- სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოყენებული ენის დონის აღმნიშვნელი განსაზღვრება “საშუალო” რეკომენდებულია უფრო მეტად დაზუსტდეს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს ნორვეგიული ან/და ფინური ენის დონე.

კომპონენტი 1.2

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური);

- რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, მოვიდეს პროგრამის შინაარსთან თანხვედრაში.

კომპონენტი 1.3.

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

საერთო რეკომენდაცია: რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

კომპონენტი 1.4.

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

- რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა განხორციელდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ა.შ) რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი. ამავე მიზნით რეკომენდებულია არჩევითი ბლოკიდან სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გადმოვიდეს „სკანდინავიური ენების ისტორიის“ სასწავლო კურსი.

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო)

- რეკომენდებულია სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა მოხდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები.

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

- მნიშვნელოვანია კურსის- 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით).
- მნიშვნელოვანია, სტუდენტთათვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყოს თარგმანმცოდნეობის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული შინაარსის ცალკე კურსი, სადაც სტუდენტი შეძლებს სიღმისეულად გაეცნოს სფეროში არსებულ კვლევით თეორიებს, ასევე მოახდენს კვლევითი უნარების წარმოჩენას სამაგისტრო ნაშრომამდე. აღნიშნული კი, ამავდროულად, შესაძლებელს გახდის გაიზომოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევასთან დაკავშირებული მიზანი და შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული, კვლევებზე ორიენტირებული შედეგებიც.

კომპონენტი 1.5.

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- რეკომენდებულია ინგლისური სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის კურსების ღია ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

- რეკომენდებულია ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით დაზუსტდეს ინტეგრირებული კვლევის კომპონენტის შეფასების რუბრიკა;
- რეკომენდებულია შემდეგ სასწავლო კურსებში: შექსპირის პოსტმოდერნიზმი, ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დისტოპიური რომანი, დაზუსტდეს პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად
- რეკომენდებულია ლექსიკური სემანტიკის კურსში შეფასების კომპონენტებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი ქულობრივი გადანაწილებით სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსებში დაზუსტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდებში მოცემული ზეპირი კომპონენტის შეფასების რუბრიკა სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო)

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ და „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო)

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

- მნიშვნელოვანია, კურსებში ‘ინგლისური ენა და თარგმანი 1’, ‘ინგლისური ენა და თარგმანი 2’ და ‘ინგლისური ენა და თარგმანი 3’ მეტად გამოიკვეთოს კავშირი კურსებით გათვალისწინებულ შინაარსსა და შედეგებს შორის;
- მნიშვნელოვანია, მოხდეს პროგრამის კურსებით განსაზღვრული პრაქტიკულ, თარგმანთან დაკავშირებული დავალებების, ასევე უცხო ენის ფლობის ძირითად უნარებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმთა შემუშავება და გამოკვეთა;
- პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში - ‘თარგმანის ლინგვისტიკა (1 და 2)’, ‘თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი’, ‘ინგლისური ენა და თარგმანი (1 და 2)’ და ‘მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი (1,2 და 3)’ მნიშვნელოვანია მიეთითოს განახლებული/უახლესი ლიტერატურა.

კომპონენტი 2.1.

- იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამებზე (პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური) პროგრამა 7 -(თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)) დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

კომპონენტი 2.4.

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური);

- სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 30 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 25 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს, რჩება 5 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსის - 'ციფრული ჰუმანიტარია' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 40 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 31 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს თან, რჩება 9 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის დიდ რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსების - 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)', 'შვედური ენა (1,2 და 3)' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

კომპონენტი 4.2

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 6 -(სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 7 -(თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური).

- **საერთო რეკომენდაცია:** რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სამაგისტრო საფეხურზე დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელად შერჩევის პროცედურა და გაწეროს ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცემა უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს.

კომპონენტი 4.4

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); ; პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 7 - (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური).

- **საერთო რეკომენდაცია:** რეკომენდებულია უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში სალექციო აუდიტორიების ისე მოწყობა, რომ ლექტორებმა შეუფერხებლად შეძლონ სალექციო

პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირების აუცილებლობას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კომპონენტი 1.1.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

კომპონენტი 1.2

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

- სასურველია, პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება და პროგრამის ერთ-ერთი შედეგი, სადაც აღნიშნულია სტუდენტის მიერ ფართო ცოდნის მიღების შესახებ.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

- სასურველია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პირველი, მესამე და მეოთხე შედეგების გაერთიანება/გამსხვილება სამ სწავლის შედეგში გადანაწილებული მონათესავე ინფორმაციის ერთად თავმოყრის მიზნით.
- სასურველია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა (რუკა N1) და კურიკულუმის რუკების (რუკა N2 და 3) რედაქტირება ტექნიკური ხასიათის უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით.

კომპონენტი 1.3.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

კომპონენტი 1.4.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო)

სასურველია კურსის „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ ინგლისურენოვანი და ინგლისური ენის ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურა მოდიფიცირდეს სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციის გათვალისწინებით.

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო)

- სასურველია სკანდინავისტიკის პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტუდენტებს შესთავაზონ ფინური განათლების შესახებ საკითხები, რაც უფრო სისტემურ ხასიათს მისცემს ამ საკითხის შესწავლას და უფრო გამარავალფეროვნებს არჩევით კომპონენტს.

კომპონენტი 1.5.

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

- სასურველია სასწავლო კურსის „სინტაქსის თანამედროვე თეორიები“ სილაბუსში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

- სასურველია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსების მიზნებში და სწავლის შედეგებში ტექნიკურად გასწორდეს მისათითებელი დონეები C1.1, C1.2 და C1.3, რომელიც არ ცვლის კურსის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს; ასევე, გასწორდეს სწავლის შედეგების უნარების ნაწილში მითითებული 'ბაკალავრი', რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა, რადგან თვითონ სწავლის შედეგის აღწერა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო)

- სასურველია, გერმანული ლიტერატურის ისტორიის ბლოკის საგნებში: „გერმანული ლიტერატურის ისტორია: შუა საუკუნეები, ჰუმანიზმი, ბაროკო, განმანათლებლობა“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: კლასიკა და რომანტიზმი“, „XIX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურა (1880-1945)“, „უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსი (მაგ. სალექციო კურსი), რათა სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო მასალასთან.

- სასურველია სასწავლო კურსების „ტექსტი და კულტურა“ და „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში (გერმანულენოვანი სემინარით)“ სილაბუსებში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.
- სასურველია სასწავლო კურსის „გერმანული ენის კომპლექსური წინადადების თეორია და პრაქტიკა“ სილაბუსში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.

კომპონენტი 2.1.

პროგრამა 6 - (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, სტუდენტზე ორიენტირებულობის მეტად გამოკვეთისთვის, სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს ინფორმაცია მსურველ პირთა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის შესახებ.

კომპონენტი 2.3.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია სწავლების ზოგადი მეთოდების ჩამონათვალში მოხდეს იმ აქტივობათა გამოყოფა, რაც შესაძლებელს გახდის პრაქტიკული თუ თეორიული კურსით გათვალისწინებული შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნას.

კომპონენტი 4.3.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია.

სტანდარტი 5- ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზება და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ადმინისტრირებისათვის და ავტომატიზირებული წარმართვისათვის განხორციელდეს შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

ექსპერტთა ჯგუფისთვის საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა პროგრამებზე მომუშავე გუნდის მხრიდან ახალგაზრდა დოქტორანტების აქტიური ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რაც

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

თავის მხრივ ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვანი დიდხნიანი ტრადიციების გაგრძელებას შეუწყობს ხელს;

ასევე, ექსპერტთა ჯგუფი საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს უნივერსიტეტის შიგნით ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობისა და კოლეგიალური შეფასების გამოცდილებას, რომლის ფარგლებშიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ჩაატარა წარმოდგენილი კლასტერისთვის საჭირო შრომის ბაზრის კვლევა და შეაფასა კლასტერში გაერთიანებული პროგრამები. შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევა, საინტერესო პრაქტიკა იქნება სხვა უნივერსიტეტების შემთხვევაშიც.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული არგუმენტირებული პოზიცია.

კომპონენტი 1.1.- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

კომპონენტი 1.1. ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების საპასუხოდ (1. რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში დაზუსტდეს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონეები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1/B2) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს მისაღწევი ენის/ენების დონე; 2. სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოყენებული ენის დონის აღმნიშვნელი განსაზღვრება “საშუალო” რეკომენდებულია უფრო მეტად დაზუსტდეს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს ნორვეგიული ან/და ფინური ენის დონე) უნივერსიტეტი განმარტავს, რომ “როგორც ექსპერტები თავადაც აღნიშნავენ, ეს ენობრივი კომპეტენციები აღნიშნულია განსაზღვრებით: *საშუალო* და აღწერილობითაც არის დეტალურად გადმოცემული, რის უფლებასაც გვაძლევს ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებელი, სადაც მისაღწევ შედეგად ენის კომპეტენტური მომხმარებლის დონეა მითითებული, რომელიც პროგრამამ თავისი მიზნებისა და სპეციფიკის მიხედვით უნდა გააშინაარსოს. ვინაიდან ამ პროგრამათა მიზან-შედეგი შინაარსობრივად მოიცავს გამოსამუშავებელი ენობრივი კომპეტენციების დონის აღწერას, პროგრამის განმახორციელებელი პირებს მიაჩნიათ, რომ ექსპერტთა ეს რეკომენდაციები **შეიძლება მიჩნეულ იქნას რჩევად**”.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიზანშეწონილია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად. მაგალითად, ინგლისური და გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიზნებში გამოკვეთილი მისაღწევი სამიზნე ენის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (CEFR), რაც ეხმიანება უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთაშორისოდ აღიარებულ გამოცდილებას. კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვითაც : “უნივერსიტეტში ევროპული ენებისა და ლიტერატურის სწავლებისა და კვლევის ძირითადი ხაზი - განვითარებულია შემდეგი ფუნდამენტური მიმართულებით, კერძოდ, - სასპეციალიზაციო უცხოური ენის დაუფლება, რაც

ხორციელდება უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად” (გვ. 9-10). თუმცა, ზემოთ აღნიშნული კლასტერული მიდგომა არ იკვეთება სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამების მიზნების ფორმულირებისას, სადაც მისაღწევი ენის/ენების დონე განსაზღვრულია, როგორც “საშუალო” და “საშუალოზე მაღალი”. ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით “საშუალო” დონე შესაძლოა მივაკუთვნოთ B1 დონეს, მაგრამ “საშუალოზე მაღალი” შესაძლოა გულისხმობდეს B1+ ან B2-ს. ორივე შემთხვევაში, რეკომენდებულია, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამების მიზნებში მისაღწევი ენის/ენების დონე საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად. ერთის მხრივ, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში ნორვეგიულ და შვედურ ენებთან მიმართებაში და მეორეს მხრივ, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან მიმართებით (მით უფრო, რომ სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგში იკვეთება ნორვეგიული ან/და ფინური ენის ღრმა და სისტემური ცოდნა). ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მსგავსი დაზუსტება უფრო განავითარებს ევროპული ენებით მარკირებული ფილოლოგიის მიმართულებაში კლასტერულ მიდგომას. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა ოსლოს უნივერსიტეტის პროგრამები, სადაც მაგალითისთვის ნორვეგიული ენის დონეები შესაბამისობაში მოდის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტებთან

(იხილეთ

ლინკი-

<https://www.hf.uio.no/iln/english/studies/international/assessment-of-grades/>). ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამების მიზნებში და შედეგებში დეტალურად არის აღწერილი გამოსამუშავებელი ენობრივი კომპეტენციების დონეები. სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანი “შეასწავლოს მაგისტრანტს ნორვეგიული ან/და ფინური ენა **საშუალო დონეზე**” იკვეთება შემდეგ სწავლის შედეგებში “ავლენს ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან, შესაბამის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ **ღრმა და სისტემურ ცოდნას**; იყენებს ნორვეგიულ ან/და ფინურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის”. პროგრამის სწავლის შედეგში მიზანში გაჟღერებული ენის საშუალო დონეზე ფლობა გამოკვეთილია როგორც ენასთან დაკავშირებული ღრმა და სისტემური ცოდნა. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია “შეასწავლოს სტუდენტს ნორვეგიული როგორც პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ენა (**საშუალოზე მაღალ დონეზე**) და შვედური როგორც პროგრამით გათვალისწინებული მეორე ენა (**საშუალო დონეზე**)”, ხოლო სწავლის შედეგებში მისაღწევი დონე აღწერილია შემდეგნაირად: “ავლენს სასპეციალიზაციო ენების (ნორვეგიულის და შვედურის) მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას; იყენებს სასპეციალიზაციო ენებს (ნორვეგიული და შვედური) როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის; შეუძლია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობა, კომუნიკაციის წარმართვა და მასში მონაწილეობა”. პროგრამის მიზანში ჩანს, რომ ნორვეგიულის მისაღწევი დონე არის საშუალოზე

მაღალი და შვედური ენის საშუალო დონე, თუმცა სწავლის შედეგების მიხედვით განსხვავებები არ არის გამოკვეთილი. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე საკითხი შეისწავლა სილაბუსებშიც. მაგალითად, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ინტეგრირებული ფინური ენა 2 კურსის სილაბუსში მოცემულია შემდეგი მიზანი: "სასწავლო კურსის მიზანია, მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს ფინურ ენაზე **ქვედა საშუალო დონის** სამეტყველო და წერილობითი უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა), რისი დახმარებითაც იგი შეძლებს აღნიშნული დონისთვის შესაბამისი ლექსიკური მარაგის დაგროვება-დახვეწას და გამოიმუშავეს უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს" და სწავლის შედეგები: "ავლენს **კურსის შესამაზის დონეზე** ფინური ენის გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებთან დაკავშირებულ **ღრმა და სისტემურ ცოდნას**; მიმოიხილავს ფინური ენის **წინა-საშუალო დონისთვის** შესაბამისი ლექსიკური და ენობრივი ურთიერთობის ასპექტებს; ოპერირებს ფინურ ენაზე როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს **ელემენტარულზე მაღალ დონეზე**; ნორვეგიული ენა 2 სილაბუსში მოცემულია შემდეგი მიზანი: "კურსის ამოცანაა, მაგისტრანტებმა შეიძინონ ნორვეგიული ენის გრამატიკული და ლექსიკური საფუძვლების ცოდნა, გამოიმუშაონ ნორვეგიულ ენაზე **საშუალოზე მარტივი დონის** სამეტყველო და წერილი (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა, მარტივი დიალოგების წარმართვა) უნარ-ჩვევები" და სწავლის შედეგები: "იცნობს გრამატიკულ მასალას ნორვეგიულ ენასთან დაკავშირებული **ყველა საბაზისო კომპონენტის შესახებ**; ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ თემებთან დაკავშირებულ **საბაზისო ლექსიკურ მარაგს**. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებული ნორვეგიული 5 სასწავლო კურსის სილაბუსის მიზანია: "სტუდენტმა შეიძინოს **საშუალოზე მაღალი დონის** სამეტყველო და წერილობით უნარებს (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა) ნორვეგიულ ენაში, აგროვებს აღნიშნული დონის შესაბამის ლექსიკური მარაგს და უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს" და სწავლის შედეგია : "სტუდენტმა იცის **ნორვეგიული როგორც მეორე ენის** გამოყენებისას დაშვებული გავრცელებული შეცდომები და მათი თავიდან არიდების გზები". იდენტური მისაღწევი დონე იკვეთება ნორვეგიული 6 სასწავლო კურსის სილაბუსის მიზანშიც: "სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეიძინოს **საშუალოზე მაღალი დონის** სამეტყველო და წერილობით უნარებს (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა და წერა) ნორვეგიულ ენაში, გაც ლექსიკური მარაგს და უცხო ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარ-ჩვევებს".

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამების მიზნებში განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად, ერთის მხრივ, რათა ნათლად გამოიკვეთოს სტუდენტების მიერ სამიზნე ენის/ენების მიღწევის დონე, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელი იყოს ამ სწავლის შედეგის მიღწევადობის გაზომვა.

კომპონენტი 1.2.-ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია გერმანული ფილოლოგიისა და სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით.

კომპონენტი 1.2. შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები: 1) რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან' 2) რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, მოვიდეს პროგრამის შინაარსთან თანხვედრაში. ამ რეკომენდაციების საპასუხოდ უნივერსიტეტი განმარტავს, რომ : “თარგმანის კომპონენტი პროგრამულ შედეგთან თანხვედრაშია, რადგან აღნიშნული პროგრამების შინაარსი, მათი კონცეფციიდან გამომდინარე, ენის სწავლებაზეა ორიენტირებული; რეკომენდაციასთან დაკავშირებით ამ პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პროგრამებში თარგმანის კომპეტენციების გამომუშავებელი არაერთი კურსია (თარგმანის თეორია და პრაქტიკა, შესასწავლი სასპეციალიზაციო ენების ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსები და სხვ.), რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს ორმხრივი თარგმანის ტექნიკებსა და უნარებს. გარდა ამისა, იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც სტუდენტებს ტრანსფერულ უნარებს გამოუმუშავებს, არაერთი სასწავლო კურსია, რომლის ფარგლებში მომზადებულ რეფერატებში სტუდენტები იყენებენ უცხოენოვან წყაროებს, ამზადებენ შესაბამის თარგმანებს და სხვ. შესაბამისად, წინამდებარე რეკომენდაცია არ იქნა აკადემიური პერსონალის მიერ გაზიარებული”. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგის 2.4 ის მხოლოდ პირველი ნაწილის მიღწევადობა მკაფიოდ არ იკვეთება სასწავლო კურსების ფარგლებში აღწერილ მიზნებში, სწავლის შედეგებსა და შინაარსში, ასევე შეფასების ფორმებსა და კომპონენტებში. კერძოდ, სწავლის შედეგი 2.4 ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „თარგმანის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში; კურიკულუმის რუკის (N2) თანახმად, აღნიშნული სწავლის შედეგზე გასვლა უზრუნველყოფილია შემდეგი სასწავლო კურსებით - „ფილოსოფიის შესავალი”, „ლიტერატურის თეორია”, „მსოფლიო ლიტერატურის არჩევითი კურსი”, „გერმანული ენა 1-6” და „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა.” აღნიშნული სასწავლო კურსების ნაწილი („ფილოსოფიის შესავალი”, „ლიტერატურის თეორია”, „მსოფლიო ლიტერატურის არჩევითი კურსი”) მიემართება 2.4 სწავლის შედეგის მეორე ნაწილს - „ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში' და უზრუნველყოფენ მისი მიღწევადობას. რაც შეეხება 2.4 სწავლის შედეგის პირველ ნაწილს - „თარგმანის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით’, რომელიც თავისთავად მოიაზრებს ორ ასპექტს - გერმანული ენიდან და გერმანულ ენაზე თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას, შედეგის მიღწევადობის თვალსაზრისით აქ იკვეთება ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ვითარება, კერძოდ: ზოგადად პროგრამის ფარგლებში თარგმანის კომპეტენციის გამომუშავება გათვალისწინებულია სასწავლო კურსით - „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა”, სადაც სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ანალიზებს და აფასებს კონკრეტული

კრიტერიუმების საფუძველზე გერმანულენოვანი ტექსტის ქართულენოვან თარგმანს და წარადგენს სამუშაო ჯგუფის წინაშე; აღნიშნული სილაბუსით ასევე მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის შესრულების შეფასების კომპონენტები და მეთოდები. სასწავლო კურსის „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდის ფარგლებში პრაქტიკული საკითხების შეფასების კრიტერიუმში მითითებულია „თარგმანი გასაგებია, რადგან მისი მომზადებისას ზედმიწევნითაა დაცული ქართული ენის ლინგვისტურ-სტილისტური თავისებურებები“, რაც გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ამ შემთხვევაშიც უპირატესად ტექსტის გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმანის შეფასება ხდება და არა პირიქით). როგორც ზემოთ მოცემულმა მსჯელობამ ცხადყო, სასწავლო კურსის „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ თავისი შინაარსითა და სასწავლო რესურსით სრულად უზრუნველყოფს გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას და ამასთანავე, ზემოხსენებული სასწავლო კურსის ფარგლებში ხორციელდება აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევადობის შეფასება, მაგრამ „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკის“ სილაბუსით მკაფიოდ არ იკვეთება, რამდენად არის გათვალისწინებული ქართულიდან გერმანულზე თარგმანის კომპონენტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ენიდან გერმანულზე თარგმანის კომპეტენციის გამომუშავება გათვალისწინებულია 2.4 სწავლის შედეგის პირველი ნაწილით და შესაძლოა, სტუდენტები აღნიშნულ გამოცდილებას არაპირდაპირი გზით იღებენ ასევე გერმანული ენა 1-6-ის ფარგლებში, თუმცა სასპეციალიზაციო ენის პრაქტიკული კურსის სილაბუსები არ ითვალისწინებს თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას და შესაბამისად, არც მისი შეფასების რელევანტურ ფორმებსა და კომპონენტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას და თვლის, რომ რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მე-6 შედეგი, რომელიც ჩამოყალიბებულია ამგვარად: „თარგმანის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული, შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს ლექსიკონის გამოყენებით“, კურიკულუმის რუკის (სწავლის შედეგებისა და სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამისობა) თანახმად, მიიღწევა სასწავლო კურსებით: „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“, „ზოგადი ენათმეცნიერება“, „ლიტერატურის თეორია“ და სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის 4 კურსი, ასევე საბაკალავრო ნაშრომით. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ კურსთაგან სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის კურსის სწავლის შედეგებად მოიაზრება ლიტერატურული პროცესების თავისებურებების შეფასება ნორვეგიასა და შვედეთში, ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინოლოგიის გამოყენებით მხატვრული ტექსტების ანალიზი ფილოლოგიური თვალსაზრისით და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება. სასწავლო

კურსით „გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი“ სწავლის შედეგად განსაზღვრულია შემდეგი - კითხულობს ძველ გუთურ ტექსტებს და ახდენს მათი ინტერპრეტაციას, ასევე კურსი სტუდენტს აძლევს ცოდნას გერმანიკული ენების ლინგვისტური ევოლუციის შესახებ პროტო-გერმანიკულიდან დღემდე, აცნობს ისტორიული ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპებისა და ბაზისურ თეორიებს. სასწავლო კურსის „ლიტერატურის თეორია“ სწავლის შედეგად უნარების ნაწილში ჩამოყალიბებულია შემდეგი: სტუდენტი აკავშირებს კონკრეტული ლიტერატურული ტექსტს კონკრეტულ ესთეტიკურ სისტემასა და ეპოქასთან; აღწერს განსხვავებულ ჟანრთა კლასიფიკაციას განსხვავებულ ეპოქალურ კონტექსტებში, ასევე „ზოგადი ენათმეცნიერების“ სასწავლო კურსი, ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების ანალოგიურად, არ ითვალისწინებს მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. თარგმანის კომპონენტი ასახულია მხოლოდ სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ სწავლის შედეგებში, რომელიც წარმოადგენს ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო კურსს და ფორმულირებულია შემდეგნაირად: „თარგმანის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ ფართო ცოდნისა და სწორი მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე, გამართულად მსჯელობს თარგმანის თეორიული პრობლემატიკისა და სტილისტიკის საკვანძო საკითხებზე; სტუდენტი დამოუკიდებელად მუშაობს პრაქტიკულ დავალებზე – სათარგმნ ტექსტებზე; ადარებს ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტს; ადგენს ლინგვისტურ ეკვივალენტობას, მართებულად იყენებს სათანადო ტერმინოლოგიას; აფასებს თარგმანს პროფესიული ლიტერატურული კრიტიკოსის უნარ-ჩვევებით“. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ **ზემოხსენებული სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება თარგმანის შესრულება მხოლოდ ინგლისური და რუსული ენებიდან** (მაგ.: პრაქტიკული დავალება N 2: „ონომასტიკური ლექსიკური ერთეულების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან.“ ასევე ცალკეული პრაქტიკული დავალებების ფარგლებში გათვალისწინებულია ზღაპრების, ლექსებისა და სხვა ტექსტების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან). ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის **სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს**, საჭიროებს პროგრამის შინაარსში ასახვას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს ამ რეკომენდაციას.

კომპონენტი 1.3.

უნივერსიტეტს არ გამოუხატავს პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე: პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

საერთო რეკომენდაცია: რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

კომპონენტი 1.4.- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია ინგლისური ფილოლოგიისა და სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

კომპონენტი 1.4. ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია კლასტერში წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებზე (პროგრამა 2 – ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; პროგრამა 6 - სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამა; პროგრამა 7 - თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები) მეტნაკლებად საერთო მიდგომების შემუშავებაზე კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა მხოლოდ ორი პროგრამის შემთხვევაში: პროგრამა 2 – ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და პროგრამა 6 - სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამა; ამ ორი პროგრამის შემთხვევაში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ფორმულირება განსხვავებულია და ვერ უნიფიცირდება ერთ საერთო რეკომენდაციაშია.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია არის შემდეგნაირი: რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა განხორციელდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა. ამ რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტის პოზიცია არის შემდეგნაირი: “რეკომენდაცია კლასტერის შემადგენელი საგანმანათლებლო პროგრამების უნიფიცირებისკენაა მიმართული, თუმცა პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია კვლევის მეთოდების ცალსახად ერთნაირად ჩაშენება პროგრამის სტრუქტურაში და მიგვაჩნია, რომ ჩვენი მრავალფეროვნება და განსხვავებული მიდგომები ჩვენი სიმდიდრეა. როგორც ექსპერტები დასკვნის აღწერით ნაწილში თავადაც აღნიშნავენ, გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში კვლევის მეთოდები ცალკე კურსადაა გამოყოფილი, ხოლო ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში კვლევის მეთოდები და კვლევითი უნარები ცალკეულ კურსებშია ინტეგრირებული (ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ გარდა კურსებში ინტეგრირებისა, კვლევის მეთოდები ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის არჩევით კურსადაცაა წარმოდგენილი, რომელიც ძირითად კურსებში ჩაშენებულ კვლევით კომპონენტს აღმავეებს)”. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების კლასტერული შემუშავების მიდგომების შესწავლის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება სწორედ კვლევის მეთოდების სისტემური სწავლების გასხვავებულმა მიდგომებმა მიიპყრო. კლასტერში საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ყველა მოდულისთვის სავალდებულოდ ინტეგრირებული კვლევის ბლოკი, რომელსაც 25 კრედიტი ეთმობა.

სავალდებულო კვლევის ბლოკის ფარგლებში შეთავაზებულია შემდეგი სასწავლო კურსები: 1. გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები და მეთოდები; 2. ტექსტის სტილისტიკა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის მეთოდები) ; 3. თანამედროვე თარგმანის გერმანული თეორიები ; 4. გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები და 5. სამეცნიერო მუშაობის ტექნიკები (გერმანული ენის მასალებზე) და სამაგისტრო კვლევის დიზაინი. განსახვავებული მიდგომით არის შემუშავებული ინგლისური ფილოლოგიის, სკანდინავისტიკისა და თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, სადაც ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში არ არის შეთავაზებული კვლევის მეთოდები და კვლევის კომპონენტი ჩაშლილია ცალკეულ სასწავლო კურსებში, თუმცა აქაც იკვეთება განსხვავებული მიდგომები სასწავლო კურსების მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების ერთმანეთთან შესაბამისობის კუთხით. **ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ლექსიკოგრაფიის მოდულში** ინტეგრირებული ციფრული ჰუმანიტარიის სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიისთვის აუცილებელი კვლევის მეთოდების შესწავლას. თუმცა განსხვავებული კვლევის კომპონენტის ინტეგრირება განსხვავებული ინტენსივობით და მეთოდოლოგიით არის წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულებში. ექსპერტთა ჯგუფი ამ საკითხით დაინტერესდა პროგრამისა და მოდულების ხელმძღვანელებთან და კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუების დროს. მათი განცხადებით კვლევითი კომპონენტი ჩაშენებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში, რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის კვლევისთვის. სასწავლო პლატფორმაზე სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ვიდეოები, თუმცა მათი გამოყენება არ გაჟღერდა სტუდენტების მიერ ინტერვიუს დროს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ამ ვიდეოს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსი- კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში (ინგლისურ ენაზე). პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, რომელიც ასევე არიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მხრიდან ხდება სტუდენტებისთვის სამეცნიერო მუშაობის ტექნიკებზე და სამაგისტრო კვლევის დიზაინზე ინფორმაციის მიწოდება. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს სურვილი, რომ პროგრამაში ისწავლებოდეს აკადემიური წერა, რადგან საბაკალავრო საფეხურზე შესწავლილი მასალა ხშირად კარგად არ ახსოვთ. მათი განცხადებით ეს მოსაზრება მათ პროგრამის შეფასების ნაწილშიც ასახეს. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამის საერთო სავალდებულო და მოდულებში შემავალი სილაბუსები ამ კუთხით. შესწავლის შედეგად გამოვლინდა მოდულებში კვლევის კომპონენტის ინტეგრირების განსხვავებული მიდგომები. დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ:

სავალდებულო კომპონენტი

სამივე მოდულისთვის საერთო სამი სავალდებულო თეორიული კურსებიდან ორ სასწავლო კურსის მიზნებში და სწავლის შედეგებში იკვეთება კვლევის კომპონენტი:

1. ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი, რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი “შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა”. **თუმცა, სტუდენტის უნარის აწარმოოს კვლევა არ მოწმდება შეფასების ნაწილში.** ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ სილაბუსში გაწერილ შეფასების კომპონენტებს: ანალიტიკური შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: ‘პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა’, ესე - შეფასების რუბრიკით ‘პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით’, პრეზენტაცია- შეფასების რუბრიკით ‘მსჯელობა გამართულია, ჩანს განსახილველი საკითხის ცოდნა. სტუდენტი მკაფიოდ და გამართულად გადმოსცემს სათქმელს’;

2. გერმანიკული ენები ისტორიული ლინგვისტიკის ჭრილში, რომლის მიზანია ‘გაცნოს სტუდენტებს ისტორიული ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი პირველი განხრის მიზნები, ძირითადი პრინციპები და კვლევის მეთოდები; განიხილოს ისტორიული ლინგვისტიკისა და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის ჩამოყალიბების ისტორია’. სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ჩანს სტუდენტის მსჯელობის უნარი კვლევის მეთოდებზე (1.სტუდენტი მსჯელობს ისტორიული ლინგვისტიკის მიზნებზე, ძირითად პრინციპებსა და კვლევის მეთოდებზე; 2.სტუდენტი ფლობს ინფორმაციას ისტორიული ლინგვისტიკისა და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის ჩამოყალიბების შესახებ). სასწავლო კურსის მიზნისა და სწავლის შედეგის შეფასება ხდება პრეზენტაციით, რომელიც სილაბუსის მიხედვით მოიცავს კვლევის ელემენტს. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: ‘15-14 - მოხსენება და მისი პრეზენტაცია მაღალ დონეზეა შესრულებული; განსახილველი პრობლემის ანალიზისას სტუდენტი ავლენს კრიტიკურული აზროვნების უნარს, მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, ენობრივად გამართული, მოხსენების სტრუქტურა მკაფიოდ გამოკვეთილი და მსმენელისთვის ადვილად აღსაქმელი; სტუდენტი ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, პრეზენტაციისას იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიას’. **ამ სასწავლო კურსის ფარგლებში კურსის მიზანი და სწავლის შედეგი იმსჯელოს კვლევის მეთოდებზე ლოგიკურ კავშირშია შეფასების ფორმასთან.**

ლიტერატურის მოდული

ინგლისური ლიტერატურის მოდული მოიცავს 6 სასწავლო კურსს, საიდანაც 5 სასწავლო კურსის მიზნებში იკვეთება მულტიდისციპლინური ან ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის

დამუშავების კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება. ხუთივე სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები იდენტურია, რომელთა მიხედვითაც მოწმდება სტუდენტის უნარი დაამუშავოს კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურა. მეექვსე სასწავლო კურსის შეფასების ფორმებში არ ჩანს თუ როგორ ხდება სწავლის შედეგებში გაჟღერებული სტუდენტის მიერ ჩატარებული კვლევის შეფასება. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

1. შექსპირის პოსტმოსტმოდერნიზმი (პროზა, დრამატურგია, თეატრი), რომლის მიზანია მულტიდისციპლინური კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება;
2. ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';
3. ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, რომლის მიზანია მულტიდისციპლინური კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება;
4. ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';
5. დისტოპიური რომანი, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლო კურსების მიზნებში იკვეთება მულტიდისციპლინური ან ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება. ხუთივე სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები იდენტურია. **შეფასების კრიტერიუმებით მოწმდება სტუდენტის უნარი დაამუშავოს კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურა.** კურსის ფარგლებში სტუდენტის ცოდნა ფასდება შემდეგი კომპონენტებით: აქტიურობა, პრეზენტაცია (რომლის შეფასების რუბრიკა არ იძებნება სილაბუსებში, იხილეთ რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში) და ესე შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის - შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით'.

ლიტერატურის მოდულის მეექვსე საგანია ინგლისური ესე (XX ს-ის პირველი ნახევარი), რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი 'შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა'. **სასწავლო კურსის შეფასების ფორმებში არ ჩანს თუ როგორ ხდება სტუდენტის მიერ ჩატარებული კვლევის შეფასება.** სილაბუსში მოცემული შეფასების კრიტერიუმებია: ანალიტიკური შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის

შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა', ესე - შეფასების რუბრიკით 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით', პრეზენტაცია- შეფასების რუბრიკით 'მსჯელობა გამართულია, ჩანს განსახილველი საკითხის ცოდნა. სტუდენტი მკაფიოდ და გამართულად გადმოსცემს სათქმელს'.

ენის თეორიის მოდული

ამ მოდულში გაერთიანებული ექვსი თეორიული საგნიდან ორი სასწავლო კურსის სწავლის შედეგად ფიქსირდება სტუდენტის მიერ კვლევაზე დაფუძნებული დავალების შესრულება. თუმცა სილაბუსებში ჩანს მხოლოდ ამისი შეფასების კომპონენტი, როგორც 10 ქულიანი პრეზენტაცია, რომელსაც არ ახლავს აღწერა თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

1. ლინგვისტური პრაგმატიკა, რომლის მიზანია სტუდენტს 'გააცნოს პრაგმატული კვლევის ტრადიციული და უახლესი მეთოდები. -განახორციელოს ნებისმიერი კონტექსტის პრაგმატული ანალიზი და დაადგინოს წარმატებული კომუნიკაციისა თუ გაუგებრობების მიზეზები კულტურული თუ სხვ. ფაქტორების გათვალისწინებით'. კურსის ერთერთი სწავლის შედეგის გათვალისწინებით სტუდენტი 'დამოუკიდებლად აწარმოებს მცირე მასშტაბის კვლევაზე დაფუძნებულ დავალებას'. შეფასების კომპონენტების ჩამონათვალში მითითებულია- 10 ქულა (ჩატარებული მცირე კვლევის პრეზენტაცია). **თუმცა, არ არის მოცემული თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება** (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში).
2. სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს 'ენის ყველა დონის ვარიაციების და ენობრივი განსხვავებების თანამედროვე კვლევები ისეთი სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა რეგიონალური დიალექტები, სოციალური სტატუსი, პროფესიული ჯგუფები, გენდერი, ბილიგვალიზმი და მულტილინგვალიზმი. კურსის ერთერთი სწავლის შედეგია 'ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი დამოუკიდებლად აწარმოებს მცირე მასშტაბის კვლევაზე დაფუძნებულ დავალებას'. კომპონენტების ჩამონათვალში მითითებულია- 10 ქულა (ჩატარებული მცირე კვლევის პრეზენტაცია). **თუმცა, არ არის მოცემული თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება.** (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში).

ლექსიკოგრაფიის მოდული

ლექსიკოგრაფიის მოდულში ჩაშენებული ციფრული ჰუმანიტირიის სასწავლო კურსში მკვეთრად არის გამოხატული კვლევის კომპონენტი, სადაც სტუდენტის უნარი იცოდეს სამეცნიერო

ნაშრომის ძირითადი პრინციპები და აწარმოოს კვლევა მოწმდება სტატიით შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

ციფრული ჰუმანიტარია, რომლის მიზანია სტუდენტს 'გააცნოს კვლევის ტექნოლოგიები და მეთოდები ამ მიმართულებით. კურსი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, მოახდინონ ქართულენოვანი და უცხოენოვანი წერითი და ზეპირი მეტყველების ამსახველი ტექსტური ან ვიდეო-აუდიო მასალების პროგრამული დამუშავება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, შექმნან მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები და გამოიყენონ უკვე არსებული კორპუსული რესურსები თავიანთ კვლევებში'. კურსის ერთერთი სწავლის შედეგია 'იცის სამეცნიერო ნაშრომის / დისერტაციის დამუშავების ძირითადი პრინციპები'. **სასწავლო კურსის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება სტატიით, რომლის შეფასების კრიტერიუმები: 'პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო სტრუქტურა და დაცულია აკადემიური წერის პრინციპები'.**

ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის კურსი, რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი "შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა'. **თუმცა, სტუდენტის უნარის აწარმოოს კვლევა არ მოწმდება შეფასების ნაწილში.** ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ სილაბუსში გაწერილ შეფასების კომპონენტებს: ღია შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა', ესე - შეფასების რუბრიკით 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით', ჯგუფური პრეზენტაცია - 'სტუდენტის შეფასებისას მნიშვნელობა ექცევა საკითხის ცოდნას, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავებას, საკითხის გადმოცემის უნარს, მეტყველების კულტურას, ანალიზისა და სინთეზის უნარს'. თუმცა არ ჩანს ქულობრივი გადანაწილებები კრიტერიუმებს შორის. ასევე, შეფასების კომპონენტად ჩანს წერითი რეფერატი, რომელსაც თან არ ახლავს შეფასების კრიტერიუმები.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ძირითადად სასწავლო კურსებში იკვეთება კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობისთვის საჭირო კვლევის უნარები. სასწავლო კურსებში, სადაც ნახსენებია კვლევაზე დაფუძნებული დავალების შესრულება ან კვლევის ჩატარება არ ჩანს თუ როგორ ხდება ამ უნარის შემოწმება. გამონაკლისია ლექსიკოგრაფიის მოდულში

ინტეგრირებული ციფრული ჰუმანიტარიის სასწავლო კურსი მკვეთრად გამოხატული კვლევის კომპონენტით, სადაც სტუდენტის უნარი იცოდეს სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი პრინციპები და აწარმოოს კვლევა მოწმდება სტატიით შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ციფრული ჰუმანიტარია არის ლექსიკოგრაფიის მოდულის საგანი, რაც ქმნის იმ გარემოებას, რომ მსგავსი სამეცნიერო ტექსტების მუშაობისთვის საჭირო კვლევის უნარების შესწავლის შესაძლებლობა ვერ ექნებათ სტუდენტებს სხვა მოდულებზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს მათ სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა.

სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული რეკომენდაციის (რეკომენდებულია სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა მოხდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები) საპასუხოდ უნივერსიტეტი განმარტავს: “სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამაში, რომელიც რეგიონის ენების დაუფლებას არა წმინდა ფილოლოგიური, არამედ სოციოკულტურული ასპექტების ფართო სპექტრის ჩართვით ისახავს მიზნად (რეგიონის ისტორიისა და კულტურის, სოციალური სისტემების და სხვ.), სრულიად გაუმართლებელია ამ მულტიდისციპლინური სპექტრის კვლევის მეთოდების ერთ სასწავლო კურსში მოქცევა და სწავლება, ამიტომ ეს რეკომენდაციაც შესაძლებელია, მიჩნეულ იქნას რჩევად, რომლის მიღებაც კლასტერის ზოგ პროგრამას, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ., სკანდინავიისტიკა), შესაძლოა, გაუჭირდეს”. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების ფარგლებში შესაძლებელია ისწავლებოდეს მულტიდისციპლინური კვლევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამის ინდივიდუალურობას. თუმცა, ამავდროულად იზიარებს სამაგისტრო დონეზე კვლევის მეთოდების სისტემური სწავლების კლასტერული მიდგომის მნიშვნელობასაც.

1.4. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით შეიმუშავა ორი რეკომენდაცია: 1. რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება, რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაბრეწონილობით იქნას წარმოდგენილი; 2. რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების სტატუსები და „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები” განისაზღვროს როგორც არჩევითი, ხოლო „სკანდინავიური ენების ისტორია” როგორც სავალდებულო კურსი. პირველი რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი განმარტავს: “ ვინაიდან ჰუმანიტარული

კომპეტენციის საბაზო სავალდებულო კურსებიდან ყველა სკანდინავისტი გადის ენათმეცნიერების შესავალს (5 კრ.), აკადემიურ წერას (5 კრ.), ხოლო 120 კრედიტიან სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური პროფილის სავალდებულო სასწავლო დისციპლინების წილი საკმაოდ მოცულობითი რაოდენობითაა წარმოდგენილი – ზოგადი ენათმეცნიერება (5 კრ.), გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები (5 კრ.), ნორვეგიული ენა 1-6 (30 კრ.), შვედური ენა 1-3 (15 კრ.), რაც სრულიად უზრუნველყოფს ენის დაუფლების სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო კომპეტენციების გამომუშავებას, ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი მოიცავს ისეთ ლინგვისტურ დისციპლინებს, რომლებიც უღრმავებენ ლინგვისტურ ცოდნას დანტერესებულ სტუდენტებს (სკანდინავიური ენების ისტორია; ენის ფილოსოფია; ისლანდიური ენა 1-2). ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ წინამდებარე რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათისაა. მეორე რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი განმარტავს: “პროგრამა სკანდინავიური, ანუ გერმანიკული ჯგუფის ენების დაუფლებაზეა ორიენტირებული და მისთვის ეს კურსი პროგრამულ მიზან-შედეგებთან და შინაარსთან სრულ თანხვედრაშია და მაპროფილებელი კომპეტენციის გამოსამუშავებლად აუცილებელია, თანაც, ამ კურსით მიღებული ცოდნა პრერეკვიზიტია სკანდინავიური ენების ისტორიის კურსის გასავლელად. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩევის სახითაც კი ვერ განიხილება”.

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო კურსებისთვის დათმობილია 80 კრედიტი, აქიდან 45 კრედიტი ეთმობა ნორვეგიული ენა 1-6 (30 კრედიტი) და შვედური ენა 1-3 (15 კრედიტი), 20 კრედიტი ეთმობა ლიტერატურის ბლოკს, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომს, ხოლო ლინგვისტიკის ბლოკით წარმოდგენილი გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების სასწავლო კურსს ეთმობა 5 კრედიტი. სასწავლო კურსი ენათმეცნიერების შესავალი (5 კრედიტი) და ზოგადი ენათმეცნიერების (5 კრედიტი) სასწავლო კურსები საერთოა ყველა ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის და არ მოიცავს სკანდინავიური ენების სპეციფიკას. პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კურსებში არ ჩანს ისეთი საკითხები, როგორცაა სკანდინავიური ენის ისტორია, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება ცალკე კურსების სახით, რომელიც დაკავშირებული იქნება კონკრეტულად პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო თემატიკასთან, სკანდინავიური ფილოლოგიის სახასიათო ასპექტებთან, რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციალობის არჩევითი კურსი “სკანდინავიური ენების ისტორია” აღრმავებს ლინგვისტურ ცოდნას, რაც ამყარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ მეორე რეკომენდაციას, რომ ზემოაღნიშნული კურსი გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო ბლოკში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერებას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას

“გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების” კურსთან დაკავშირებით, რომ “ამ კურსით მიღებული ცოდნა პრერეკვიზიტია სკანდინავიური ენების ისტორიის კურსის გასავლელად”, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების” სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო მასალა შესაბამისობაში მოვა სკანდინავიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან, კერძოდ: სავალდებულო სასწავლო კურსის „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად (და სხვა სასწავლო მასალად) მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რიდერი და ინტ. რესურსი, როგორცაა Algeo, John & Th. Pyle. 2010. The Origins and Development of the English Language; Rastorguyeva, T. 2003, A History of English, Moscow; Lehmann, W., & J. Slocum (eds.) A Grammar of Proto-Germanic, on-line version; Reader in Germanic Philology, compiled by Nino Daraselia, ასევე ძველი გერმანიკული ტექსტები (www.germanic.ge). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ან/და სასწავლო კურსზე დაშვებისათვის სტუდენტს არ მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა, რაც შესაძლოა დაბრკოლებას წარმოადგენდეს სტუდენტისთვის. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პირველი ორი სახელმძღვანელო ეხება ინგლისური ენის ისტორიას, რაც ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ იდენტური სილაბუსი არის შეთავაზებული ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უნივერსიტეტის პოზიციას “გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების” კურსთან დაკავშირებით, მაგრამ ტოვებს რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება “სკანდინავიური ენების ისტორიის” სასწავლო კურსის სპეციალობის სავალდებულო კურსში გადმოტანას და აერთიანებს პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაცემული ორი რეკომენდაცია (1. რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება, რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი; 2) რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების სტატუსები და „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები” განისაზღვროს როგორც არჩევითი, ხოლო „სკანდინავიური ენების ისტორია” როგორც სავალდებულო კურსი) გაერთიანდა ერთ რეკომენდაციად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ა.შ) რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი. ამავე მიზნით რეკომენდებულია არჩევითი ბლოკიდან სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გადმოვიდეს „სკანდინავიური ენების ისტორიის” სასწავლო კურსი. იმ შემთხვევაში თუ „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები” პროგრამაში დარჩება სავალდებულო სასწავლო კურსად სასურველია კურსის ინგლისურენოვანი და ინგლისური ენის ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურა მოდიფიცირდეს სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციის გათვალისწინებით. რეკომენდაციის ამ ნაწილმა გადაინაცვლა რჩევაში.

1.4. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე- მნიშვნელოვანია კურსის- 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით (პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)- უნივერსიტეტის თავისი პოზიცია არ გამოუხატავს.

კომპონენტი 1.5. - ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

კომპონენტი 2.4- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

კომპონენტი 1.5. და 2.4. ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო და სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების ცალკეული სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტთან საპასუხოდ, უნივერსიტეტის პოზიცია არის შემდეგნაირი: "შეფასების ქულობრივი გრადაცია აღნიშნულ სილაბუსებში გადაიხედა, შესაბამისად, სადაც დიდია ბიჯი, შესაძლებელია ჩაშლა დაკორექტირდეს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და კურსის სასწავლო აქტივობებიდან გამომდინარე; ამიტომ ეს რეკომენდაციაც, ალბათ უფრო რჩევად შეიძლება იქნას მიჩნეული".

კომპონენტი 1.5 ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა: 1) ღია ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებების დაზუსტებას სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა: ინგლისური სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სასწავლო კურსები); 2) მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით ინტეგრირებული კვლევის კომპონენტის შეფასების რუბრიკის დაზუსტებას (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა: ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსები); 3) პრეზენტაციის შეფასების რუბრიკების დაზუსტებას სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა: შექსპირის პოსტმოდერნიზმი, ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დისტოპიური რომანი); 4) შეფასების კომპონენტებში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტებას შესაბამისი ქულობრივი გადანაწილებით სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა: ლექსიკური სემანტიკის სასწავლო კურსი). შესაბამისად ამ კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით.

1.5. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსები (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო

პროგრამა), სადაც ექსპერტთა აზრით მნიშვნელოვანია დაზუსტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდებში მოცემული ზეპირი კომპონენტის შეფასების რუბრიკა სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად. **ამ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია თავისი პოზიცია.**

1.5. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეიმუშავა თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებისთვის რეკომენდაციები, რომელზეც **უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია თავისი პოზიცია.**

უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში გაჟღერებული დიდი ბიჯები მოცემულია მხოლოდ 2.4. კომპონენტის შეფასებისას. მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კლასტერის ფარგლებში მოცემულ 10 კურსში: ‘ციფრული ჰუმანიტარია’, ‘ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)’, ‘შვედური ენა (1,2 და 3)’, მნიშვნელოვანია ქულობრივი შეფასება იყოს მეტად დეტალური, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მეტი სიზუსტით, სამართლიანად და სანდოდ შეფასებას. კერძოდ, 9 ქულიანი ბიჯის არსებობის შემთხვევაში, როცა მას ახლავს ერთი ვერბალური განმარტება, გაუგებარი დარჩება სტუდენტის მხრიდან მისთვის 31 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის 40 ქულით შეფასების საფუძველი, ეს კი შესაძლოა, მათი მხრიდან, გასაჩივრების მიზეზიც გახდეს. მაგალითად, 40 და 31 ქულიანი შეფასებები მოცემულ კურსებში ფორმდება შემდეგი ვერბალური ახსნით: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა, ღია ტიპის დავალებებში კარგად ჩანს ლოგიკური აზროვნება და შესაბამისი დონის ენობრივი კომპეტენცია, კარგად ფლობს შესწავლილ ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებს (‘ნორვეგიული ენა 3’). მოცემულ შემთხვევაში, გამჭვირვალე არ არის სტუდენტის 31-დან 40 ქულამდე შეფასების არგუმენტი, რამაც ამავდროულად შესაძლოა გამოიწვიოს უნდობლობას შეფასების მიმართ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს აღნიშნული რეკომენდაციის რჩევად ფორმულირების საკითხს, რადგან ის აკრედიტაციის სტანდარტების 2.4 კომპონენტის გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება სტუდენტთა სამართლიან, გამჭვირვალე და სანდო შეფასების ნაწილს.

1.5. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე-რეკომენდებულია სასწავლო კურსების „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ და „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება - უნივერსიტეტის პოზიციით “**სილაბუსის ავტორი დეტალურად განმარტავს წერითი საგამოცდო ფორმატის საჭიროებას კურსის მიზან-შედეგებიდან (აუდიო-ვიზუალური ტექსტების სხვადასხვა სახეობებით ოპერირება, მოსმენა, აღქმა, გააზრება, შემდგომი ანალიზი და რევიზირება-ინტერპრეტაცია) და გამოყენებული სწავლების მეთოდებიდან (აუდიო და ვიზუალური ტექსტების მოსმენა-გაგებასთან ერთად მათი ტრანსკრიბირება და**

ტრანსლიტერირება) გამომდინარე. შესაბამისად, ამ ტიპის რეკომენდაციის გათვალისწინება მოცემულ სასწავლო კურსებთან მიმართებით ნაკლებად შესაძლებელია”. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია არ ეხებოდა გამოცდის წერით ფორმატს, არამედ წერითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმების თავსებადობას სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით. სასწავლო კურსის „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ანალიზებს და ასრულებს აუდიო-ტექსტის თანმხლებ დავალებებს (მოსმენის წინ, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ (ასოციოგრამას, ილუსტრაციას, ანტიციპაციას, მოსმენილი ინფორმაციის ცხრილში შეტანას და სხვ.); აკვირდება და ანალიზებს ზეპირი, ავთენტური ტექსტის სემანტიკური და სუპრასემანტიკური დონის ფონეტიკურ ფენომენებს; ფლობს გერმანული ენის საწარმოთქმო ჩვევებს“. ხოლო ამავე კურსის შეფასების კომპონენტებია: ზეპირი გამოკითხვა (სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ზეპირი ფორმით გამოიკითხება ათჯერ. შესაბამისად, სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა (10X2). ზეპირი გამოკითხვის შეფასების მეთოდებია: კითხვა-პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა); შუალედური წერილობითი გამოცდა („სტუდენტს ეძლევა თითო 5-ქულიანი 4 საკითხი“) და დასკვნითი წერილობითი გამოცდა („სტუდენტს ეძლევა ოთხი 10-ქულიანი საკითხი“). შეფასების რუბრიკა ზოგადია და არ ითვალისწინებს აუდიოტექსტის სპეციფიკას, კერძოდ: **10-9 ქულა** - საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

ანალოგიური გარემოებები იკვეთება სასწავლო კურსის „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზის“ შემთხვევაში, სადაც სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ანალიზებს და ასრულებს ვიდეოპროდუქციის თანმხლებ დავალებებს (მოსმენისა და ყურების წინ, შემდგომ, დასრულების შემდეგ)“; „მოიძიებს თეორიულ და ემპირიულ მასალას; ავთენტური აუდიო-ვიდეო-მასალის მოსმენის ბაზაზე“; „ანალიზებს პერსონაჟთა შორის არსებულ ენობრივ, კულტურულ და სოციალურ განსხვავებებს“. ხოლო ამავე კურსის შეფასების კომპონენტებია: ზეპირი გამოკითხვა (სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ზეპირი ფორმით გამოიკითხება ათჯერ. შესაბამისად, სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა (10X2). ზეპირი გამოკითხვის შეფასების მეთოდებია: კითხვა-პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა); შუალედური წერილობითი გამოცდა („სტუდენტს ეძლევა თითო 5-ქულიანი 4 საკითხი“) და დასკვნითი წერილობითი გამოცდა („სტუდენტს ეძლევა ოთხი 10-ქულიანი საკითხი“). შეფასების რუბრიკები ამ შემთხვევაშიც ზოგადია და არ ითვალისწინებს ვიდეოპროდუქციაზე მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ: **10-9 ქულა** - საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. როგორც ზემოაღნიშნული ცხადყოფს, სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები არ არის რელევანტური

სტუდენტის აუდიო/ვიდეოპროდუქციაზე მუშაობის უნარ-ჩვევების შესაფასებლად. აკრედიტაციის ჯგუფის თვალსაზრისით, რეკომენდებულია სასწავლო კურსების - „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე - რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა სკანდინავიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან- საპასუხოდ უნივერსიტეტი განმარტავს- **“ექსპერტთა ამ რეკომენდაციის პასუხად პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ პოზიცია, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი (რომელიც ყველა საბაკალავრო ფილოლოგიური პროფილის პროგრამის სტუდენტისთვის ფილოლოგიური კომპეტენციების მიმცემი კურსია) თავისი ფორმითა და შინაარსით (თარგმანის ზოგადი თეორიებისა და მათი პრაქტიკასთან მისადაგების ტექნიკების გაცნობა) სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, სადაც თარგმანის თეორიათა სწორედ ზოგადი და ფართო ცოდნაა საჭირო და არა მთარგმნელობით პრაქტიკაში დასპეციალება (ეს სამაგისტრო დონეა), სწორედ რომ შინაარსობრივად სრულიად თავსებადია და მეტიც, სკანდინავიისტი სტუდენტისთვის ამ კურსის გავლა სწორედ სხვადასხვა ენის დაუფლებაზე ორიენტირებული პროგრამების სტუდენტებთან ერთად ბევრად უფრო ნაყოფიერია სხვადასხვა გამოცდილების გასაცნობად, შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც ექსპერტთა მხრიდან შეიძლება მხოლოდ რჩევის სახით შეიძლება იქნას შემოთავაზებული”**. ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მიზანია „თარგმანის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ ფართო ცოდნისა და სწორი მეთოდოლოგიური ბაზის“ გაცნობა, ხოლო კურსის სწავლის შედეგებია -„სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს პრაქტიკულ დავალებზე – სათარგმნ ტექსტებზე“; „ადარებს ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტს“; „ადგენს ლინგვისტურ ეკვივალენტობას“. აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად კი გათვალისწინებულია შემდეგი პრაქტიკული დავალებები: „**ონომასტიკური ლექსიკური ერთეულების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან**“; „**იდიომების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან**“; „**ზღაპრის თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან**“, რაც არარელევანტურია სკანდინავიური ფილოლოგიის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში (სადაც სასპეციალიზაციო ენები არის ნორვეგიული და შვედური). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ან/და სასწავლო კურსზე დაშვებისათვის სტუდენტს არ მოეთხოვება ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა სკანდინავიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

კომპონენტი 2.1- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

2.1. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხება მხოლოდ შემდეგ პროგრამებს: (პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური) პროგრამა 7 -(თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)). ამ ჩამონათვალში არ მოიაზრება სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე (ამ პროგრამებზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი რომ იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე(უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა) უნივერსიტეტის პოზიცია გახლავთ შემდეგი “უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვისა თუ გადმოყვანის პროცესი იმართება და რეგულირდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ქართულის ფლობის დონეც, სრულიად დამაკმაყოფილებელია ჩანაწერი: *კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით*, მით უფრო, რომ ეს წესი ხშირად იცვლება და ვფიქრობთ, პროგრამის წინაპირობაში საკანონმდებლო ნორმების შინაარსის გადმოტანა და მით უფრო, ტერმინების განმარტება მეტ გაუგებრობას შექმნის, ვიდრე სიცხადეს”. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის” მე-2 მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის პირველი (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა), მე-2 (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა) და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, ჩატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, თითოეულ პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის მიზნებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად ამოწმებს ენობრივ კომპეტენციას. ამდენად, თუკი დაშვების წინაპირობებში, ნაცვლად ზოგადი ფორმულირებისა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გზით ან გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკონკრეტებულია პროგრამაზე უცხოელ მოქალაქეთა მიღების შესაძლებლობა, ასევე რეკომენდებულია, განისაზღვროს ქართული ენის ფლობის დონე, რათა დაინტერესებული პირებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ზუსტი,

გამჭვირვალე და ნათელი. აღნიშნული მიზანშეწონილია იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული აქტის თანახმად, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია როგორც საქართველოს მოქალაქეთა ჩარიცხვა, რომელთაც განათლება უცხოეთში მიიღეს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვა. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ან უნდა მიეთითოს ზოგადი ფორმულირება ან მეტად დაკონკრეტდეს წინაპირობები უცხოელი მოქალაქეების შემთხვევაში.

კომპონენტი 4.2.- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

4.2. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას (რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სამაგისტრო საფეხურზე დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელად შერჩევის პროცედურა და გაწეროს ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცემა უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს) უნივერსიტეტმა უპასუხა შემდეგნაირად: “აღნიშნული რეკომენდაციის საფუძვლად ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ნანახი ერთი შემთხვევა გახდა, რომელიც რატომღაც განზოგადდა გერმანული ფილოლოგიისა და სკანდინავისტიკის პროგრამებზეც, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პრაქტიკა იმ პროგრამებზე ერთიც არ ყოფილა. ვიზიტის პროცესშივე განიმარტა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო მოწვეული ლექტორი (თეორიული საგნის სემინარებსა და ენის პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე) და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელადაც ის სწორედ ამ სტატუსით შეირჩა (და არა იმიტომ, რომ ის დოქტორანტი იყო), მიუხედავად ინტერვიუებზე ამ ახსნა-განმარტებისა, რატომღაც ეს ერთეული შემთხვევა მაინც განზოგადების საფუძვლად იქცა, თანაც სხვა პროგრამებზეც”. ვიზიტის მსვლელობისას დოქტორანტების მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შესახებ კითხვა განაპირობა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დოკუმენტში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მოთხოვნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუსი პროფესორი, თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი (შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის/კათედრის სხდომის გადაწყვეტილებით). უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის მიხედვით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად მოწვეული შეიძლება იყოს ‘დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით პრაქტიკული/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალისტის რეკომენდაცია’. დებულებაში არ არის აღწერილი დოქტორანტის მიერ შესაძლო კვლევის

კომპონენტის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა სამაგისტრო საფეხურზე. თუმცა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით მაგისტრანტის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს დოქტორანტი. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ რაიმე დამატებითი პროცედურა ან საკვალიფიკაციო მოთხოვნები დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობის გაწვევის მიზნებისათვის დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს. ამასთან, პრაქტიკაში ამ დრომდე სულ რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა დოქტორანტმა მაგისტრანტს კვლევაში ხელმძღვანელობა გაუწია. ყველა შემთხვევაში დოქტორანტი სადოქტორო სწავლების იმ ეტაპზე იმყოფებოდა, როცა უკვე თავადაც კვლევით კომპონენტს ახორციელებდა. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით, მსგავსი პრაქტიკა საკმაოდ წარმატებულად შედგა. ექსპერტთა ჯგუფი ცალსახად იზიარებს ამ პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობას, რადგან ეს გულისხმობს ახალგაზრდა კადრების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, მათ შორის, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის მიცემას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ დოქტორანტს არ უნდა ჰქონდეს სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობის უფლება. მსგავსი შესაძლებლობის მიცემა დასაშვებია, თუკი დოქტორანტი ადასტურებს კვლევის ხელმძღვანელობისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების არსებობას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მსგავს პრაქტიკას წარმატებული და შესაბამისი განვითარება მოჰყვეს, რეკომენდებულია, დაწესებულებას, შესაბამისი დებულებით, ზუსტად ჰქონდეს გაწერილი ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტს შესაძლებლობა მიეცემა უხელმძღვანელოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა კვლევით კომპონენტს. (მაგ.: სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების დამლევა, გარკვეული კვლევითი გამოცდილება, დადასტურებული შესაბამისი სტატეებით ან სხვა ტიპის აქტივობებით). აუცილებელია, ასევე განისაზღვროს დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელად შერჩევის პროცედურაც. სხვაგვარად, ამ პრაქტიკის ერთეული შემთხვევების ოდენობის ზრდის პირობებში, დგება ამ შესაძლებლობის არასწორად გამოყენების რისკი, რომელიც ხელს შეუშლის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, კონკრეტული სტუდენტის მიერ შერჩეული დოქტორანტი ხელმძღვანელის არაკვალიფიციურობის გამო, პროგრამის ხელმძღვანელს ან/და ფაკულტეტს ფორმალური საშუალებაც არ აქვს, დასაბუთებული უარი უთხრას სტუდენტს კონკრეტულ კანდიდატზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ფაქტი ფიქსირდება დოქტორანტის მიერ სამაგისტრო პროგრამებზე კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობისა, მათ შორის, თუნდაც არც ერთი შემთხვევა არ ყოფილიყო, აუცილებელია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც დოქტორანტის სტატუსის მქონე პირებს უფლება ექნებათ განახორციელონ სამაგისტრო პროგრამებზე კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობა.

კომპონენტი 4.3- ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

4.3. კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას (რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია) უნივერსიტეტმა უპასუხა შემდეგი პოზიციით : “ამ რეკომენდაციის პასუხად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ვიზიტისას ინტერვიუების დროს არაერთი მხრიდან (მათ შორის, თავად მოწვეულთა მხრიდან) საკმაოდ კარგად იქნა წარმოჩენილი უნივერსიტეტის მხრიდან მათი მხარდამჭერი და წამახალისებელი მექანიზმები (მაგ., სამეცნიერო გრანტებში ჩართულობა). თუ ამ რეკომენდაციაში იგულისხმება სახელფასო პოლიტიკის გადახედვა, რაზეც ინტერვიუებისასაც გაჟღერდა, **ეს შესაძლებელია ექსპერტთა რჩევაში აისახოს და არა რეკომენდაციაში**”. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც ვერ იქნება ექსპერტთა მხრიდან უნიფიცირების მექანიზმი. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაცია რჩევის სახით ფორმულირდა: სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადახედოს კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაცია. შესაბამისად, 4 სტანდარტის 4.3. კომპონენტი ყველა პროგრამისთვის შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან და მეოთხე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში მოვიდა მოთხოვნებთან.

კომპონენტი 4.4.- ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია.

4.4. კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რეკომენდებულია უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში სალექციო აუდიტორიების ისე მოწყობა, რომ ლექტორებმა შეუფერხებლად შეძლონ სალექციო პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირების აუცილებლობას, უნივერსიტეტმა შემდეგი არგუმენტით უპასუხა: “**სალექციო პროცესი მეხუთე კორპუსში შეუფერხებლად მიმდინარეობს და სალექციო პროცესის დამხმარე ტექნიკური აღჭურვილობა ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს. რაც შეეხება იმას, რომ მეხუთე კორპუსი ინფრასტრუქტურულად გასაახლებელია, თსუ სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გარემონტება საუნივერსიტეტო დიდ სტრატეგიაშია გაწერილი და შესაბამისად, გეგმიურად მიმდინარეობს. ამ კორპუსის მოწესრიგება და აღჭურვა ამ სტრატეგიისა და გეგმის ნაწილია და ბუნებრივია, განხორციელდება**”. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სააუდიტორიო სივრცეები მეხუთე კორპუსში, სადაც ხორციელდება შემდეგი პროგრამები: პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); ; პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტროსაფეხური); პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური); პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური); პროგრამა 7 -(თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური). მეხუთე კორპუსში აუდიტორიების უმეტესი ნაწილი არ არის აღჭურვილი კომპიუტერით ან პროექტორით. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა

პრაქტიკული ენების განმახორციელებლები თვითონ უზრუნველყოფენ ლექტორებს სალექციო პროცესისთვის. ინტერვიუს პროცესში პერსონალისა და სტუდენტების მიერ დაფიქსირდა სააუდიტორიო სივრცეების სრულად რეაბილიტაციისა და განახლების საჭიროება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სალექციო აუდიტორიების ისე მოწყობა, რომ ლექტორებმა შეუფერხებლად შეძლონ სალექციო პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირებას. ინტერვიუების პროცესში ადმინისტრაციამ დაადასტურა ამ სივრცის მოწესრიგების აუცილებლობა, რათა პროგრამების განხორციელება იყოს მეტად ეფექტიანი, ასევე დადასტურდა, რომ მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ამ საკითხთა დროული გადაწყვეტის მიზნით.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ნათელი და რეალისტურია სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით. საბაკალავრო საფეხურის პროგრამები მიზნებში ორიენტირდება ფართო, დარგობრივი და ზოგადი ჰუმანიტარული და ფილოლოგიური უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებაზე, რომელიც უფრო ღრმა და ინტენსიურ ხასიათს იძენს სამაგისტრო საფეხურზე. სამაგისტრო საფეხურის პროგრამებში აქცენტი კეთდება მკვლევარი-ფილოლოგისთვის აუცილებელი თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი სტანდარტების შესატყვისი უნარების განვითარებაზე, რომელთა მიღწევადობა მათში შემავალ კურსებში განსხვავებული მიდგომით ვითარდება (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.4. კომპონენტში).

კლასტერული მიდგომა ვითარდება პროგრამებს შორის სახასიათო შტრიხების შენარჩუნებით. მაგალითად, ინგლისური ფილოლოგიისა და გერმანული ფილოლოგიის პროგრამები, სხვა კომპონენტებთან ერთად, აქტიურად წარმოაჩენენ კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკული ენის ფლობის ინტენსიურ აქცენტს, სკანდინავიური ფილოლოგიისა და სკანდინავისტიკის პროგრამები კი უფრო ზოგადი, სკანდინავიის ქვეყნების ენების, კულტურის ფართო და ღრმა (საფეხურის

გათვალისწინებით) ცოდნის სწავლებაზე ორიენტირდება, რაც პროგრამების მიზნების ნაწილში ვრცელი ნარატივით არის წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს თარგმანმცოდნეობის პროგრამაც, რომელიც, მისი ძირითადი მახასიათებლის გათვალისწინებით, ორიენტირდება ენის, როგორც კულტურათაშორისი მედიუმის გამოყენებაზე პრაქტიკულ და თეორიულ ჭრილში. კლასტერში თარგმანმცოდნეობას ეთმობა ცალკე პროგრამა, თუმცა სწორედ კლასტერის მახასიათებლის გათვალისწინებით, იკვეთება მისი ცალკეული ასპექტების (პრაქტიკული თარგმანი და თარგმანმცოდნეობის საკითხები) ინტეგრირება სხვა პროგრამებშიც.

ინგლისური და გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიზნებში გამოკვეთილი მისაღწევი სამიზნე ენის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (CEFR), რაც ეხმიანება უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთაშორისოდ აღიარებულ გამოცდილებას. კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვითაც : "უნივერსიტეტში ევროპული ენებისა და ლიტერატურის სწავლებისა და კვლევის ძირითადი ხაზი - განვითარებულია შემდეგი ფუნდამენტური მიმართულებით, კერძოდ, - სასპეციალიზაციო უცხოური ენის დაუფლება, რაც ხორციელდება უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად" (გვ. 9-10). თუმცა, ზემოთ აღნიშნული კლასტერული მიდგომა არ იკვეთება სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამების მიზნების ფორმულირებისას, სადაც მისაღწევი ენის/ენების დონე განსაზღვრულია, როგორც "საშუალო" და "საშუალოზე მაღალი". ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით "საშუალო" დონე შესაძლოა მიგაკუთვნოთ B1 დონეს, მაგრამ "საშუალოზე მაღალი" შესაძლოა გულისხმობდეს B1+ ან B2-ს. ორივე შემთხვევაში, რეკომენდებულია, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამების მიზნებში მისაღწევი ენის/ენების დონე საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად. ერთის მხრივ, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში ნორვეგიულ და შვედურ ენებთან მიმართებაში და მეორეს მხრივ, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან მიმართებით (მით უფრო, რომ სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგში იკვეთება ნორვეგიული ან/და ფინური ენის ღრმა და სისტემური ცოდნა). მსგავსი დაზუსტება უფრო განავითარებს ევროპული ენებით მარკირებული ფილოლოგიის მიმართულებაში კლასტერულ მიდგომას. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა ოსლოს უნივერსიტეტის პროგრამები, სადაც მაგალითისთვის ნორვეგიული ენის დონეები შესაბამისობაში მოდის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტებთან (იხილეთ ლინკი-
<https://www.hf.uio.no/iln/english/studies/international/assessment-of-grades/>)

კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები მიზნებში დეკლარირებენ კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკული, თეორიული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ლექსიკოლოგიური, თარგმანმცოდნეობითი და სხვ. კომპონენტთა ცოდნის გადაცემას და მასთან დაკავშირებული უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებას. პროგრამები საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას მოიაზრებენ საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, პროგრესული

ღირებულებების საზოგადოებაში განმტკიცების ჭრილში. წარმოდგენილი პროგრამები, უნივერსიტეტის მისიას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, ახალი ცოდნის შექმნის, შენახვისა და გავრცელების კონტექსტში ეხმებიან. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები, თავიანთი მიზნების ნაწილში, წარმოაჩენენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრას კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების ჭრილში. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ინტერნაციონალიზაციას მოიაზრებენ სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლებით, რომლებიც ენას მოიაზრებენ როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

მოქმედი პროგრამები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აკრედიტაციის ვიზიტისას წარმოებული ინტერვიუების შედეგთა გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები, მათში ჩართული ადამიანური რესურსის ურთიერთთანამშრომლობით არის შემუშავებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 -ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური⁶

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ენათმეცნიერების, თანამედროვე ინგლისური ენის თეორიის, თარგმანთმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით ვითარდება. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ინგლისური ენის მრავალმხრივი შესწავლის შესაძლებლობას და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ავტორების, მიმართულებების, ტენდენციებისა და ნაწარმოებების შესწავლასა და ანალიზს. პროგრამის მთავარი მიზანია ინგლისური ენის დაუფლება საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს CEFR-B2+ დონეზე სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის. პროგრამის მიზანი ინგლისური ენის ფილოლოგიის დარგში მისცეს სტუდენტებს საშუალება შეისწავლონ და გაანალიზონ ლინგვისტური, თარგმანთმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი აქტუალური საკითხები კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით იზიარებს უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და მის პრაქტიკულად გამოყენებას სფეროსა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია გამომდინარე

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

იქიდან, რომ ის ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს გაზარდოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეუძლია ინგლისურ ენაზე ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების ენობრივ-სტილისტური ანალიზი და ინტერპრეტაცია სხვადასხვა პერსპექტივიდან. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც სრულყოფილად ეცოდინება ინგლისური ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება და ექნება ფართო ცოდნა მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესახებ მკვეთრად ეხმიანება ინტერნაციონალიზაციის საკითხს. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 -ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური ინგლისური ენის ფილოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის მომზადება, რომელსაც ექნება ინგლისური ენის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით C1 დონე, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და მისი ენობრივი საფუძვლების, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითადი მახასიათებლების, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც თავისმხრივ მკვეთრად ეხმიანება ინტერნაციონალიზაციის საკითხს. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანი ეხმიანება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანს და წარმოადგენს მის განვითარებას სამაგისტრო დონეზე ინგლისური ენის თეორიის, ინგლისური ლიტერატურისა და ლექსიკოგრაფიის მოდულების ინტეგრირებით. ინგლისური ენის თეორიის მოდული ითვალისწინებს ლინგვისტურ ცვლილებათა მიზეზებისა და მექანიზმების, ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიების პოსტულატების შესახებ თანამედროვე და სისტემური ცოდნის ფორმირებას, მაშინ როდესაც ინგლისური ლიტერატურის მოდული ითვალისწინებს ინგლისურენოვანი ლიტერატურის კვლევას. ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულების წარმატებით დასრულების შემთხვევაში მაგისტრანტს მიენიჭება ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია. ლექსიკოგრაფიის მოდულის მიზანი ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკოგრაფიისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. ლექსიკოგრაფიის მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტს მიენიჭება ლექსიკოგრაფიის მაგისტრის კვალიფიკაცია. პროგრამის მიზნებში გამოტანილი სამივე მოდულის ფოკუსი ეხმაურება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, ინტერდისციპლინული განათლების მიღების შესაძლებლობას, ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და მის პრაქტიკულად გამოყენებას სფეროსა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. პროგრამის მიზანია 'მომზადოს მაგისტრი, რომელსაც,

არჩეული მოდელის მიხედვით, ექნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფილოლოგიური და/ან ლექსიკოგრაფიული კომპეტენცია, კვლევის უნარი და დარგის ღრმა, სისტემური ცოდნა'. ლექსიკოგრაფიის მოდულში კვლევითი უნარების განვითარების მექანიზმები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის სავალდებულო ბლოკში, ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულებში კვლევითი უნარის განვითარების მექანიზმები უფრო მეტად საჭიროებს გაძლიერებას (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.4. კომპონენტში).

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი სამაგისტრო პროგრამა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 -გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური

კლასტერში დაჯგუფებული გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა შექმნა/გამომუშავებაც შეძლებს კურსდამთავრებული. ჩამოყალიბებული მიზნები - მოამზადოს მულტიდისციპლინური ცოდნითა და ფართო დარგობრივი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც ამავდროულად ექნება ზოგადი ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური კომპეტენცია, ნათელი და რეალისტურია. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და შინაარსი თანხვედრაშია დასახულ მიზნებთან და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მეხუთე მიზნის - ,გამომუშავებს [სტუდენტს] თარგმანის თანამედროვე თეორიების საფუძველზე გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან თარგმანის საბაზისო ტექნიკებს კულტურათა დიალოგის კონტექსტში' გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტი უშუალოდ არ მიემართება არც ერთი სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.2 კომპონენტში).

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან, ვინაიდან მიზნად ისახავს, ერთი მხრივ ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას, ამავდროულად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვას. პროგრამით გათვალისწინებულია ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილი სფეროს მიმართ მოთხოვნები, ის ასევე სრულად პასუხობს დარგის განვითარების თანამედროვე გამოწვევებსა და თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის მიზანი, სტუდენტს შესძინოს ,საკომუნიკაციო ენის პრაქტიკული ცოდნა, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B 2.2 დონეს', ასევე გამოუმუშავოს ,ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით ტექსტზე დაფუძნებული ანალიზისა და ინტერპრეტაციის საბაზისო ტექნიკები', პასუხობს ბაზრის კვლევის ანალიზში ასახულ დამსაქმებელთა მოთხოვნებს. აღნიშნული კვლევის თანახმად ,დამსაქმებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულს ჰქონდეს

ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, სკანდინავიური, ფრანგული, რომანული, კლასიკური, ახალი ბერძნული, ბიზანტიური და ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, ესპანისტიკა, იტალიანისტიკა, თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები) დარგში მაღალი დონის თეორიული ცოდნა და ანალიტიკური უნარები', ასევე 'დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. დამსაქმებელთა უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ თანამშრომელს ჰქონდეს კომუნიკაციის უნარი და ევროპულ ენასთან ერთად ფლობდეს ევროპული საზოგადოების კულტურისა და ისტორიის შესახებ ცოდნას'.

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებით გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიულ-კულტურული თავისებურებებისა და გერმანული ენობრივი სტრუქტურის განვითარების გაცნობა სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში, ასევე კულტურათა დიალოგის გააზრება და უცხოენოვან გარემოში კომუნიკაციის კომპეტენციის გამომუშავება. ზემოაღნიშნულით წარმოჩენილია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტები.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის მიზნებს სრულად იზიარებენ გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მიზნები ხელმისაწვდომი და საჯარო დაინტერესებულ პირთათვის, ვინაიდან მოქმედი საბაკალავრო პროგრამები და მათ შორის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 -გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური

კლასტერში დაჯგუფებული გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ღრმა და სისტემური უახლესი ცოდნის გადაცემა, დარგობრივი და მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც გამომუშავებული ექნება კვლევითი და პრაქტიკული უნარები. ნ ქვეკუნიქტად ჩაშლილი მიზნები **ცხადყოფს პროგრამის მკვეთრ ორიენტირებას კვლევითი კომპეტენციის გამომუშავებასა** და თეორიულ სწავლებაზე, რაც სრულად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილ სფეროს მიმართ მოთხოვნებს, ითვალისწინებს სწავლების სამაგისტრო საფეხურის თავისებურებებს, ასევე სრულად პასუხობს დარგის განვითარების თანამედროვე გამოწვევებსა და თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ჩამოყალიბებული მიზნები რეალისტური და მიღწევადია და სრულად თავსებადია უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მისიასთან - კვლევებითა და ინოვაციებით განავითაროს საუნივერსიტეტო ტრადიციები, ასევე მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები და უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვა; ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თანმიმდევრულობა მარტივიდან რთულისკენ და ლოგიკური ბმა გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან, რომლის შემდგომ საფეხურსაც წარმოადგენს გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პირები და მოწვეული მასწავლებლები იზიარებენ პროგრამის მიზნებს, რომელთა ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის და საჯაროობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ, ვინაიდან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები და მათ შორის გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 -სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიების ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება ნორვეგიული (საშუალოზე მაღალ დონეზე) და შვედური (საშუალო დონეზე) ენებზე კომუნიკაციის უნარი, ამავდროულად პროგრამა მიზნად ისახავს გადასცეს სტუდენტს ფართო ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურის (უპირატესად ნორვეგიული და შვედური), კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 1. მიზანში ნორვეგიულ და შვედურ ენებთან მიმართებაში ნაცვლად მითითებული ტერმინებისა - „საშუალოზე მაღალ დონეზე/საშუალო დონეზე“ გამოყენებულ იქნას უცხოური ენის სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის დონეების აღმნიშვნელი ტერმინები/სიმბოლოები B2, B1 და პროგრამის 1. მიზანი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შეასწავლოს სტუდენტს ნორვეგიული, როგორც პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ენა (უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონეზე) და შვედური, როგორც პროგრამით გათვალისწინებული მეორე ენა (უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B1 დონეზე). რეკომენდებულია პროგრამის მიზანში ნათლად გამოიკვეთოს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონე ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან, ვინაიდან მიმართულია ახლი ცოდნის შექმნისა და გადაცემისკენ, ამავდროულად ევროპული ენების (ნორვეგიული და შვედური) შესწავლის, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავების ასპექტებით პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილი სფეროს მიმართ მოთხოვნები.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის მიზნებს იცნობენ და იზიარებენ სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მიზნები ასევე ხელმისაწვდომი და საჯაროა სხვა დაინტერესებული პირებისათვის, ვინაიდან მოქმედი

საბაკალავრო პროგრამები და მათ შორის სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 -სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კადრი, რომელსაც ეცოდინება ნორვეგიული ან/და ფინური ენა საშუალო დონეზე. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურის, კულტურის, ისტორიის, გენდერული, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას. ნორვეგიული ან/და ფინური ენისა და სკანდინავიის ქვეყნების შესწავლა მკვეთრად უწყობს ხელს პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის განვითარებას, რაც განსაკუთრებულს ხდის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამას. ზემოთ აღნიშნული ნორვეგიული ან/და ფინური ენის შესწავლის ასპექტი პროგრამის მიზანში შემდეგნაირად არის ფორმულირებული “შეასწავლოს მაგისტრანტს ნორვეგიული ან/და ფინური ენა საშუალო დონეზე”. მიზნის ამ ნაწილში გამოყენებული ენის დონის აღმნიშვნელი განსაზღვრება “საშუალო” მიზანშეწონილია უფრო მეტად დაზუსტდეს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს ნორვეგიული ან/და ფინური ენის დონე. მით უფრო, რომ პროგრამის სწავლის შედეგში იკვეთება ნორვეგიული ან/და ფინური ენის ღრმა და სისტემური ცოდნა (ავლენს ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან, შესაბამის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას).

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებს იმის გათვალისწინებით, რომ მიზნად ისახავს სკანდინავისტიკის დარგში ფართო ცოდნის მინიჭებასთან ერთად მოამზადოს კადრი აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასაქმებასა და სწავლის გაგრძელებას, რაც თავის მხრივ ეხმაურება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და მის პრაქტიკულად გამოყენებას სფეროსა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. თუმცა, პროგრამის ერთერთი მიზანი მოამზადოს კვლევითი უნარების მქონე კადრი უფრო მეტად საჭიროებს ამ სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო კვლევითი კომპონენტების გაძლიერებას პროგრამის შინაარსში (იხილეთ რეკომენდაცია 1.4 კომპონენტში). პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკანდინავისტიკის მოქმედი სამაგისტრო პროგრამა. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 -თარგმანისა და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური

კლასტერის ფარგლებში მოცემული სამაგისტრო საფეხურის პროგრამა - თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) მიზნად ისახავს: ფართო პროფილის მთარგმნელის (ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსისა და თარგმანის კრიტიკოსის) მომზადებას; პროგრამის მიზნები ნათელი და რეალისტურია (ერთ-ერთი მიზნით გათვალისწინებული კვლევითი ასპექტის მიღწევის/გაზომვის შესახებ უფრო ვრცლად არის მოცემული 1.4 კომპონენტში). პროგრამაში იკვეთება სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირება როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებების თვალსაზრისით (მაგ. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისაკენ გვ.2. პროგრამა). შესაბამისად, მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს, სტუდენტისთვის ღრმა ცოდნისა და შესაბამისი უნარების კომპეტენციათა განვითარების, სფეროსა და საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული აქცენტების წარმოჩენით (სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა; ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში დააკმაყოფილოს მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ამასთანავე, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სწავლა გააგრძელოს შესაბამის და მომიჯნავე სპეციალობებზე. გვ 2. პროგრამა). აღნიშნული, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შედეგებშიც ვლინდება (მაგ. სასწავლო კურსი “მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 2”, რომლის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: სტუდენტი მხარს უჭერს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს და თავისი პროფესიული საქმიანობით ცდილობს მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას; კურსი “რუსული ენა და თარგმანი 1” -იღებს დაკისრებულ მოვალეობებზე პასუხისმგებლობას პატიოსნებისა და ღირსების გრძნობით; პატივს სცემს მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს. გამოიმუშავეს ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარს. მოქმედებს, როგორც გლობალური სამყაროს მოქალაქე). პროგრამა უნივერსიტეტის მისიას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების ნაწილში ეხმიანება. შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინება კი წარმოჩენილია შემდეგი ფორმულირებით - პროგრამის მიზანია... შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა სამამულო (ქართული) და საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული ღრმა, სისტემური ცოდნითა და უნარებით... (თარგმანმცოდნეობის პროგრამა, გვ.3). გამომდინარე იქიდან, რომ თარგმანი განიხილება კულტურათშორისი დიალოგის ფორმად, პროგრამა თავისი ძირითადი

შინაარსობრივი მახასიათებლებით, ამ კუთხით, მოიცავს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ კომპონენტებსაც. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მოქმედი პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები
- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.tsu.ge;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - დანართი 2;
- ინტერვიუების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში ერთნაირი მიდგომით განისაზღვროს მისაღწევი ენის/ენების დონე უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანში დაზუსტდეს მისაღწევი ნორვეგიული და შვედური ენების დონეები ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1/B2) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს მისაღწევი ენის/ენების დონე.

რჩევა: არ გაცემულა

პროგრამა 6 - (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოყენებული ენის დონის აღმნიშვნელი განსაზღვრება “საშუალო” რეკომენდებულია უფრო მეტად დაზუსტდეს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით (B1) რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს და გაიზომოს ნორვეგიული ან/და ფინური ენის დონე.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 - (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება ⁷

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

⁷ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში სწავლის შედეგები განსაზღვრულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კონტექსტში. პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკებში, რაც კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ლოგიკურ შესაბამისობას. აქვე აღსანიშნავია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთერთი სწავლის შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტი, რომლის მიღწევადობა მკაფიოდ არ იკვეთება სასწავლო კურსებში და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, რომლის მიღწევადობა მკაფიოდ არ იკვეთება სასწავლო კურსებში და საჭიროებს დაზუსტებას (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით).

საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები ითვალისწინებს საბაზისო დარგობრივი ცოდნის გამომუშავებას, ხოლო სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივ საკითხებთან მიმართებაში სიღრმისეულ ცოდნასა და კვლევას ეფუძნება. კვლევაზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევადობის მექანიზმები განსხვავებული მიდგომით ვითარდება პროგრამებში შემავალ კურსებში (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.4. კომპონენტში).

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები ფარავენ შინაარსით გათვალისწინებულ ფილოლოგიის დარგისთვის აუცილებელ უნარებსა და კომპეტენციებს შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით. კლასტერული მიდგომა ვითარდება სწავლის შედეგების ფორმულირების მეთოდოლოგიის ნაწილში, რაც ხაზს უსვამს პროგრამებს შორის სახასიათო შტრიხების არსებობას. პროგრამებში სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია გაზომვადი ზმნები, რომელიც მათ მიღწევადობას უსვამს ხაზს.

ინგლისური და გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში სწავლის შედეგები ორიენტირებულია სხვა კომპონენტებთან ერთად, აქტიურად წარმოაჩინონ კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკული ენის ფლობა საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისად, რაც საფეხურების მიხედვით მარტივიდან რთულსკენ ვითარდება. სკანდინავიური ფილოლოგიისა და სკანდინავისტიკის პროგრამებში სწავლის შედეგები სკანდინავიის ქვეყნების ენების, კულტურის ფართო და ღრმა (საფეხურის გათვალისწინებით) ცოდნის სწავლებაზე ორიენტირდება. თარგმანმცოდნეობის პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირდება ენის, როგორც კულტურათაშორისი მედიუმის გამოყენებაზე პრაქტიკულ და თეორიულ ჭრილში. კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგებში აღწერილია კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკული, თეორიული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ლექსიკოლოგიური, თარგმანმცოდნეობითი და სხვ. კომპონენტთა ცოდნის გადაცემა და მასთან დაკავშირებული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები სწავლის შედეგებში წარმოაჩენენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრას კონკურენტუნარიანი კადრების

მომზადების ჭრილში. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები მთავარ აქცენტს აკეთებენ ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც პასუხობს თანამედროვე დამსაქმებლის მოლოდინებს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, ასევე სრულად ითვალისწინებს დეტალური სფეროს აღმწერით განსაზღვრულ მოთხოვნებს და თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო, თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში თანამშრომლობა შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 1** - (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში განსაზღვრულია 13 სწავლის შედეგი, რომელიც დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება (5 სწავლის შედეგი), უნარები (5 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (3 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს (მაგალითად, პროგრამის მესამე მიზანი 'იცნობდეს და იაზრებდეს თანამედროვე ინგლისური ენის თეორიის (ენის სტრუქტურის, ლექსიკური სისტემის, სტილისტიკისა და ენის ისტორიის), თარგმანთმცოდნეობის ძირითად დებულებებსა და მეთოდებს, შეეძლოს მათი არგუმენტირებული და კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია (ინგლისურ ენაზე), პროგრამით გათვალისწინებული მარტივიდან საშუალო სირთულის ენობრივი ფაქტების შედარება ქართული ენის შესაბამის მასალასთან; აცნობიერებდეს კავშირს შიდა ენობრივ და ენათაშორის სისტემებს შორის' შეესაბამება პროგრამის მესამე სწავლის შედეგს: 'ინგლისური ენის სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიის, თარგმანთმცოდნეობის და სტილისტიკის აქტუალური საკითხებისა და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ზოგადი და ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს ენის სისტემის არსს და ხედავს კავშირს ენის თანამედროვე და დიაქრონული განვითარების ტენდენციებს შორის; ადგენს გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკური და სტილისტური მოვლენების მსგავსებასა და განსხვავებებს ინგლისურსა და მშობლიურ ენებში. ადარებს და აპირისპირებს სამიზნე ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დარგის ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით'). პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი იმის გათვალისწინებით, რომ სრულყოფილად ფარავს შინაარსით გათვალისწინებულ ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის აუცილებელ უნარებსა და კომპეტენციებს. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს საბაზისო

დარგობრივი ცოდნის გამომუშავებას (' განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ინგლისურ ენასთან, მის ფონეტიკურ, ლექსიკურ და/ან გრამატიკულ სისტემებთან, ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს ინფორმაციას/ტექსტს/მასალას, ახდენს მის სინთეზს,თარგმანს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივით/პერსპექტივიდან'). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ('ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე'). სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მახასიათებლები ('ამჟღავნებს ინგლისური ენის B2+ (Independent User) შესატყვისი მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას'). ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 2** - (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგები განსაზღვრულია შემდეგნაირად: პროგრამისთვის საერთო ზოგადი კომპეტენციები- ცოდნა და გაცნობიერება (5 სწავლის შედეგი); ინგლისური ენის თეორიის მოდული: ცოდნა და გაცნობიერება (2 სწავლის შედეგი); ინგლისური ლიტერატურის მოდული (4 სწავლის შედეგი); ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული (6 სწავლის შედეგი); უნარები (7 სწავლის შედეგი), პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (3 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს (მაგალითად, პროგრამის მეორე მიზანი 'ინტერკულტურული კომუნიკაციისა და მისი ენობრივი საფუძვლების, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითადი მახასიათებლების, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ ფუნდამენტური და თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების კრიტიკულად განხილვა და გააზრება' შეესაბამება პროგრამის მესამე სწავლის შედეგზე 'განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ინტერკულტურული კომუნიკაციის, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითად მახასიათებლებს, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ ფუნდამენტურ და თანამედროვე თეორიებსა და მეთოდებს; აცნობიერებს ინტერკულტურული კომუნიკაციის მნიშვნელობას; აფასებს ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კომუნიკაციის თეორიულ პერსპექტივას ლინგვისტური და ინტერდისციპლინური პოზიციებიდან'). პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივ საკითხებთან მიმართებაში სიღრმისეულ ცოდნასა და კვლევას ეფუძნება ('ამოიცნობს და, დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით, აანალიზებს არსებულ კომპლექსურ პრობლემებს, გვთავაზობს მათი გადაჭრის გზას; კარგად ფლობს არჩეული დარგისთვის სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს. შეძენილ ცოდნას იყენებს ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან

(მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ კონტექსტში; ეძებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით). თუმცა, კვლევითი უნარის განვითარების მექანიზმები უფრო გასაძლიერებელია პროგრამის სავალდებულო ბლოკში ან/და ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულებში (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.4. კომპონენტში). ლექსიკოგრაფიის მოდულში კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლის შედეგები მიღწევადია ციფრული ჰუმანიტარიის სასწავლო კურსის ფარგლებში, სადაც სტუდენტის ეს სწავლის შედეგი ფასდება მის მიერ შესრულებული კვლევითი სტატიით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მახასიათებლები ('ფლობს ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების მაღალ (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა)'). ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 3** - (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 11 სწავლის შედეგით, მათ შორის: ცოდნა და გაცნობიერება (3 სწავლის შედეგი), უნარები (6 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (2 სწავლის შედეგი). პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ძირითადად ჩამოყალიბებულია რეალისტურად, არის მიღწევადი და გაზომვადი და ლოგიკურად გამომდინარეობს სწავლის მიზნებიდან, რაც დასტურდება სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკით (მაგ.: პირველი მიზანი გულისხმობს კურსდამთავრებულის აღჭურვას B2.2 დონის საკომუნიკაციო ენის პრაქტიკულ ცოდნით, რაც შეესაბამება 1.3, 2.1, 2.3, 2.4 და 2.6 შედეგებს, შესაბამისად კურსდამთავრებული „ქმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს გერმანულსა და ქართულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში', ასევე „განსაზღვრავს და აღწერს ენობრივ, ისტორიულ-კულტურულ მსგავსებასა და განსხვავებას ქართული და გერმანული რეალობის ფარგლებში ვერბალურ საფუძველზე', , ანალიზებს, აჯგუფებს და შეისწავლის ლინგვისტურ რაკურსში სხვადასხვა ტექსტის სახეობებს, ადგენს მათ ტიპობრივ მახასიათებლებსა და განსხვავებებს');. პროგრამა ამზადებს გერმანული ენის, ენობრივი სისტემის, ლიტერატურის, თარგმანის პრაქტიკისა და თეორიის მიმართულებით ფართო ფილოლოგიური ცოდნით აღჭურვილ კურსდამთავრებულს, რომელსაც გამომუშავებული აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის, მონაცემთა შეგროვებისა და მათი შეფასების უნარები, ამავდროულად ფლობს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. თუმცა პროგრამის სწავლის შედეგი 2.4 ის პირველი ნაწილის

მიღწევადობა მკაფიოდ არ იკვეთება სასწავლო კურსების ფარგლებში აღწერილ მიზნებში, სწავლის შედეგებსა და შინაარსში, ასევე შეფასების ფორმებსა და კომპონენტებში. კერძოდ, სწავლის შედეგი 2.4 ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში; კურიკულუმის რუკის (N2) თანახმად, აღნიშნული სწავლის შედეგზე გასვლა უზრუნველყოფილია შემდეგი სასწავლო კურსებით - „ფილოსოფიის შესავალი“, „ლიტერატურის თეორია“, „მსოფლიო ლიტერატურის არჩევითი კურსი“, „გერმანული ენა 1-6“ და „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა.“ აღნიშნული სასწავლო კურსების ნაწილი („ფილოსოფიის შესავალი“, „ლიტერატურის თეორია“, „მსოფლიო ლიტერატურის არჩევითი კურსი“) მიემართება 2.4 სწავლის შედეგის მეორე ნაწილს - „ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში“ და უზრუნველყოფენ მისი მიღწევადობას. რაც შეეხება 2.4 სწავლის შედეგის პირველ ნაწილს - „თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით“, რომელიც თავისთავად მოიაზრებს ორ ასპექტს - გერმანული ენიდან და გერმანულ ენაზე თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას, შედეგის მიღწევადობის თვალსაზრისით აქ იკვეთება ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ვითარება, კერძოდ: ზოგადად პროგრამის ფარგლებში თარგმნის კომპეტენციის გამომუშავება გათვალისწინებულია სასწავლო კურსით - „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, სადაც სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ანალიზებს და აფასებს კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე გერმანულენოვანი ტექსტის ქართულენოვან თარგმანს და წარადგენს სამუშაო ჯგუფის წინაშე;“ აღნიშნული სილაბუსით ასევე არ არის განსაზღვრული ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის შესრულების შეფასების კომპონენტები და მეთოდები. სასწავლო კურსის „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდის ფარგლებში პრაქტიკული საკითხების შეფასების კრიტერიუმში მითითებულია „თარგმანი გასაგებია, რადგან მისი მომზადებისას ზედმიწევნითაა დაცული ქართული ენის ლინგვისტურ-სტილისტური თავისებურებები“, რაც მიგვანიშნებს რომ ამ შემთხვევაშიც ტექსტის გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმანის შეფასება ხდება და არა პირიქით). როგორც ზემოთ მოცემულმა მსჯელობამ ცხადყო, სასწავლო კურსის „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ თავისი შინაარსითა და სასწავლო რესურსით სრულად უზრუნველყოფს გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას და ამასთანავე ზემოხსენებული სასწავლო კურსის ფარგლებში ხორციელდება აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევადობის შეფასება, მაგრამ „გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკით“ არ არის გათვალისწინებული ქართულიდან გერმანულზე თარგმანის კომპონენტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ,, ქართული ენიდან გერმანულზე თარგმნის კომპეტენციის გამომუშავება გათვალისწინებულია 2.4 სწავლის შედეგის პირველი ნაწილით და შესაძლოა, სტუდენტები აღნიშნულ გამოცდილებას არაპირდაპირი გზით იღებენ გერმანული ენა 1-6-ის ფარგლებში, თუმცა სასპეციალიზაციო ენის პრაქტიკული კურსის სილაბუსები არ ითვალისწინებს თარგმანის კომპეტენციის გამომუშავებას და შესაბამისად, არც მისი შეფასების რელევანტურ

ფორმებსა და კომპონენტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან.

ტრანსფერული უნარების განვითარებით, პროგრამა პასუხობს თანამედროვე დამსაქმებლის მოლოდინებს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, ასევე სრულად ითვალისწინებს დეტალური სფეროს აღმწერით განსაზღვრულ მოთხოვნებს და თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. როგორც ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გასაუბრებამ ცხადყო, თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში თანამშრომლობა შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 4** - (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულია 10 სწავლის შედეგი, მათ შორის: ცოდნა და გაცნობიერება (3 სწავლის შედეგი), უნარები (5 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (2 სწავლის შედეგი). პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგი ლოგიკურად გამომდინარეობს სწავლის მიზნებიდან (სულ 6 მიზანი), ჩამოყალიბებულია რეალისტურად, არის მიღწევადი და გაზომვადი. სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის ურთიერთმიმართებები დასტურდება სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკით. ასევე საგულისხმოა თანმიმდევრულობა და ლოგიკური ბმა გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების პროგრამებს შორის, რომელიც ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან - დარგობრივი მიმართულებით. მაგალითად, საბაკალავრო საფეხურზე ლიტერატურა ისწავლება ეპოქების შესაბამისად ქრონოლოგიურ ჭრილში („გერმანული ლიტერატურის ისტორია: შუა საუკუნეები, ჰუმანიზმი, ბაროკო, განმანათლებლობა“, „ გერმანული ლიტერატურის ისტორია: კლასიკა და რომანტიზმი“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურა (1880-1945)“), ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის მოდული წარმოდგენილია შემდეგი კურსებით: „გერმანულენოვანი ლირიკა“, „მცირე ზომის გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტები: ნოველა, ლიტერატურული ზღაპარი“ „გერმანულენოვანი დრამა“ და „გერმანული რომანი“. აღნიშნული კურსების ფარგლებში, წინარე ცოდნაზე დაყრდნობითა და მისი გაღმავებით, კონკრეტული ჟანრების სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება ცალკეული სახეობების პოეტიკური თავისებურებების სისტემური აღწერა, კონკრეტული ნიმუშების შინაარსობრივ და ფორმალურ თავისებურებებზე მსჯელობა.

პროგრამა ამზადებს გერმანული ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით ღრმა, სისტემური, დარგობრივი ცოდნით აღჭურვილ კურსდამთავრებულს, რომელიც ფლობს დარგობრივ, დისციპლინათშორის, ტექსტზე დაფუძნებულ კვლევით უნარებს, ამავდროულად დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერებითა და ეთიკის ნორმების დაცვით გეგმავს პროფესიულ მომავალს. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დეტალური სფეროს აღწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან.

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი ტრანსფერული და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებით სრულად პასუხობს თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

როგორც ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გასაუბრებამ ცხადყო, თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში თანამშრომლობა შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 5** - (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 13 სწავლის შედეგს, მათ შორის 4 შედეგი მიემართება ცოდნასა და გაცნობიერებას, 7 შედეგი - უნარებს, ხოლო 2 შედეგი - ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას. ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია, თუმცა დეტალურადაა ჩაშლილი, ნაწილობრივ ხდება აზრის დუბლირება და შინაარსობრივი გადაფარვა. მაგ.: პირველი სწავლის შედეგი ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - **„განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს** სკანდინავიური ფილოლოგიის საკვანძო საკითხებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; **ნორვეგიულ და შვედურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, სკანდინავიურ (ნორვეგიულ და შვედურ) ლიტერატურასთან დაკავშირებულ კომპლექსურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას**’. აღნიშნული სწავლის შედეგის მეორე ნაწილი, რომელიც მიემართება სკანდინავიური ენებისა და ლიტერატურის საკითხების შესწავლასა და ანალიზს, მეტწილად ფარავს სწავლის მესამე შედეგს და ამავდროულად ნაწილობრივ მოიცავს სწავლის მეოთხე შედეგით გათვალისწინებულ შინაარსს, კერძოდ: სწავლის მესამე შედეგი **„მიმოიხილავს და აანალიზებს** სკანდინავიური (ნორვეგიული და შვედური) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, ცალკეულ მწერლებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას, ნაწარმოებების იდეურ და ესთეტიკურ მახასიათებლებს, სკანდინავიური ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში’, რაც შინაარსობრივად „კომპლექსური თემებისა და უახლესი

პრობლემატიკის” ექვივალენცია. ანალოგიურად, სწავლის მეოთხე შედეგი **„განსაზღვრავს, მიმოიხილავს და ანალიზებს** მსგავსება-განსხვავებებს ნორვეგიულ და შვედურ ენობრივ კულტურებსა და ლიტერატურის ისტორიებს შორის, აგრეთვე სკანდინავიური ენების ისტორიულ მიმართებას სხვა გერმანიკულ ენებთან’. აღნიშნული შედეგით აღწერილი შინაარსიც თვისობრივად იმეორებს „კომპლექსური საკითხების და უახლესი პრობლემატიკის” ასპექტებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პირველი, მესამე და მეოთხე შედეგების გაერთიანება/გამსხვილება სამ სწავლის შედეგში გადანაწილებული მონათესავე ინფორმაციის ერთად თავმოყრის მიზნით.

ამასთანავე პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებისა (რუკა N1) და კურიკულუმის რუკებში (რუკა N2 და 3) ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ: პროგრამით განსაზღვრული 13 სწავლის შედეგიდან რუკებზე დატანებულია მხოლოდ 12 სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზმა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართებაში ცხადყო, რომ მე-13 სწავლის შედეგი - **„ამჟღავნებს** დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; ამჟღავნებს პიროვნების თავისუფლების პატივისცემას, ტოლერანტობას და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას’, ასახულია ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში (მაგ.: „სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (ნორვეგიული ლიტერატურა უძველესი დროიდან 1880-იან წლებამდე)”, „სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (შვედური ლიტერატურა უძველესი დროიდან 1900-იან წლებამდე)” და სხვა). შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა (რუკა N1) და კურიკულუმის რუკებში (რუკა N2 და 3) ფიქსირებული უზუსტობა ტექნიკური ხასიათისაა და სასურველია აღნიშნული რუკების რედაქტირება ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

აღსანიშნავია ასევე, რომ სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მე-6 შედეგი, რომელიც ჩამოყალიბებულია ამგვარად: „თარგმნის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული, შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს ლექსიკონის გამოყენებით’, კურიკულუმის რუკის (სწავლის შედეგებისა და სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამისობა) თანახმად მიიღწევა სასწავლო კურსებით: „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები”, „ზოგადი ენათმეცნიერება”, „ლიტერატურის თეორია” და სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის 4 კურსი, ასევე საბაკალავრო ნაშრომით. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ კურსთაგან სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის კურსის სწავლის შედეგებად მოიაზრება ლიტერატურული პროცესების თავისებურებებს შეფასება ნორვეგიასა და შვედეთში, ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინოლოგიის გამოყენებით მხატვრული ტექსტების ანალიზი ფილოლოგიური თვალსაზრისით და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება. სასწავლო კურსით „გერმანიკული ფილოლოგიის შესავალი” სწავლის შედეგად განსაზღვრულია შემდეგი -

„კითხულობს ძველ გუთურ ტექსტებს და ახდენს მათი ინტერპრეტაციას“, ასევე კურსი სტუდენტს აძლევს ცოდნას გერმანიკული ენების ლინგვისტური ევოლუციის შესახებ პროტო-გერმანიკულიდან დღემდე, აცნობს ისტორიული ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიებს. სასწავლო კურსის „ლიტერატურის თეორია“ სწავლის შედეგად უნარების ნაწილში ჩამოყალიბებულია შემდეგი: სტუდენტი „აკავშირებს კონკრეტული ლიტერატურული ტექსტს კონკრეტულ ესთეტიკურ სისტემასა და ეპოქასთან; აღწერს განსხვავებულ ჟანრთა კლასიფიკაციას განსხვავებულ ეპოქალურ კონტექსტებში“, ასევე „ზოგადი ენათმეცნიერების“ სასწავლო კურსი, ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების ანალოგიურად, არ ითვალისწინებს მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. თარგმანის კომპონენტი ასახულია მხოლოდ სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ სწავლის შედეგებში, რომელიც წარმოადგენს ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო კურსს და ფორმულირებულია შემდეგნაირად: „თარგმანის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ ფართო ცოდნისა და სწორი მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე, გამართულად მსჯელობს თარგმანის თეორიული პრობლემატიკისა და სტილისტიკის საკვანძო საკითხებზე;“ „სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს პრაქტიკულ დავალებზე – სათარგმნ ტექსტებზე; ადარებს ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტს; ადგენს ლინგვისტურ ეკვივალენტობას, მართებულად იყენებს სათანადო ტერმინოლოგიას; აფასებს თარგმანს პროფესიული ლიტერატურული კრიტიკოსის უნარ-ჩვევებით“. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება თარგმანის შესრულება მხოლოდ ინგლისური და რუსული ენებიდან (მაგ.: პრაქტიკული დავალება N 2: „ონომასტიკური ლექსიკური ერთეულების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან.“ ასევე ცალკეული პრაქტიკული დავალებების ფარგლებში გათვალისწინებულია ზღაპრების, ლექსებისა და სხვა ტექსტების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან). ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, საჭიროებს პროგრამის შინაარსში ასახვას.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, ასევე შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობა მეტ-ნაკლები ინტენსივობით შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 6** - (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში განსაზღვრულია 12 სწავლის შედეგი, რომელიც დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ცოდნა და გაცნობიერება (4 სწავლის შედეგი), უნარები (5 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (3 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და ითვალისწინებს დარგის პრობლემატიკის კრიტიკული და კომპლექსური ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას ინტერდისციპლინურ კონტექსტში რათა ხელი შეუწყობს ქვეყანაში ჰუმანიტარული ცოდნის პოპულარიზაციას. თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ევროპული ქვეყნების საელჩოების დაინტერესება სკანდინავისტიკის კურსდამთავრებულების მიმართ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სკანდინავისტიკის პროგრამის მნიშვნელობას ინტერნაციონალიზაციის კუთხით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანი ფოკუსი კეთდება კვლევის უახლესი მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების ცოდნის ფორმირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე (მაგალითად, პროგრამის მეოთხე სწავლის შედეგი: 'ავლენს ღრმა და კომპლექსურ ცოდნას სკანდინავიის ქვეყნებისთვის აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებს, სკანდინავიური ქვეყნების ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მართვის ე.წ. სკანდინავიურ მოდელს, ამ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს'; პროგრამის მეათე სწავლის შედეგი: 'ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში'). მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში იკვეთება კვლევითი პროექტების მომზადება და წარდგენა, სწავლის ამ შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად სასწავლო კურსებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი და ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლონ კვლევის მეთოდები (იხილეთ რეკომენდაცია 1.4 კომპონენტში). ინტერვიუს შედეგების მიხედვით სტუდენტები იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 7** -(თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) სამაგისტრო საფეხურის პროგრამის შედეგები, მის მიზნებთან შესაბამისად, გულისხმობს მაგისტრანტის თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობას (' კრიტიკულად აფასებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ ემპირიულ კვლევებს და ახდენს მათ სინთეზირებას, იძიებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს' გვ. 3 პროგრამა). პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილი მოიაზრებს სტუდენტის მხრიდან თარგმანის პროფესიონალურ დონეზე შესრულებას, მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით, რისი შესაძლებლობა პროგრამაში შემავალ კურსებშიც ვლინდება (მაგ. 'აკადემიური ტექსტის თარგმანი', 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის

თარგმანი (1,2 და 3); 'იურიდიული ტექსტის თარგმანი' და სხვ.). თეორიული კომპონენტი კი სტუდენტის მხრიდან შეპირისპირებითი ანალიზის წარმართვაზე აკეთებს აქცენტს (მაგალითად, სასწავლო კურსი 'ინგლისური ტრაგიკომედია და ვეფხისტყაოსანი'). აღნიშნულთან მიმართებით, პროგრამა სწავლის შედეგებში წარმოაჩენს შემდეგ კომპონენტებს: მაგისტრი თავისუფლად მოქმედებს შესაბამის პროფესიულ გარემოში და წარმატებით ართმევს თავს ინგლისურ-ქართულ და ქართულ-ინგლისურ თარგმანს.; სისტემურად და სიღრმისეულად ადარებს, ინტერპრეტირებს უკეთესს, განიხილავს, აჩვენებს და არჩევს ემპირიულ (თარგმანის) მასალას... პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხი, მიმართულების ძირითადი მახასიათებლებიდან გამომდინარე, პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს (პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგის მიხედვით: კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლის პროცესს. პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.). მოცემული პროგრამა აღნიშნულ ასპექტებს ფარავს სხვადასხვა კურსის ფარგლებში (მაგ. კურსი 'იურიდიული ტექსტის თარგმანი 2'- სტუდენტი ეუფლება აკადემიური ეთიკის ნორმებს, იცავს პროფესიული საქმიანობისას წესიერებას და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას). პროგრამით მოცემული შედეგები მიღწევადი და რეალისტურია, ასევე გაზომვადია, თუმცა უფრო მეტად თეორიული უნარების განმავითარებელ კურსებში, ვიდრე პრაქტიკული თარგმანის შესრულებაზე ორიენტირებულ კურსებში. აღნიშნული საკითხი ვრცლად არის მოცემული 1.5 ქვესტანდარტში. პროგრამის შედეგები გულისხმობს სტუდენტთა მხრიდან კვლევის უნარების განვითარებას ხუთი სხვადასხვაგვარი აქცენტითა და ფორმულირებებით (1.აღწერს და განმარტავს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს; 2.სფეროში მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებს; 3.აფასებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში არსებულ ემპირიულ კვლევებს; 4. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში იყენებს კვლევით მეთოდებს და პროცედურებს; 5. კვლევებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს (კონსულტაციებს), რაც გულისხმობს თარგმანის თეორიული და პრაქტიკული მასალის, თარგმანმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დარგის, ანალიზსა და დაუფლებას (პროგრამა, გვ.3-4). შედეგებთან ერთად, პროგრამის ერთ-ერთი მიზანიც ეხმიანება კვლევით ასპექტებს - ...მაგისტრანტმა შეძლოს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება: ინგლისის კულტურისა და ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობების კვლევაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენება. კვლევის ასპექტებთან დაკავშირებული შედეგები/მიზანი კურსების ფარგლებში კურსით გათვალისწინებულ თემატიკასთან ინტეგრირებით არის მოცემული (მაგ. კურსი 'თარგმანის ლინგვისტიკა 1', 'თარგმანი როგორც კულტურათა დიალოგი', 'ქართული თარგმანის ისტორია'). მიუხედავად

იმისა, რომ პროგრამა, გარკვეულწილად, ფარავს კვლევით ასპექტებს კურსების ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შედეგების მიღწევისთვის/გაზომვისთვის, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.4. კომპონენტში).

პროგრამის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და კურსების ფარგლებში ითვალისწინებს პროფესიით დასაქმებისთვის საჭირო უნართა გამომუშავების სპეციფიკას. პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე), ეს კი მასში შემავალი ენის შესწავლაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ კურსებშიც გამოიხატება ('ინგლისური ენა და თარგმანი', 'რუსული ენა და თარგმანი'). აკრედიტაციისთვის მოწოდებული შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტის მიხედვით, ევროპული ენების პროგრამათა კურსდამთავრებულები განსაკუთრებით მოთხოვნადი არიან სათარჯიმნო ორგანიზაციებში (ნაწილი 1. შრომის ბაზრის კვლევა). თავად პროგრამაც დასაქმების იმ სფეროებს მოიაზრებს, სადაც არის მოთხოვნა პრაქტიკოს მთარგმნელზე, ასევე თარგმანის თეორეტიკოსზე, რომელიც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეძლებს ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა (პროგრამა, გვ.5), ეს კი პრაქტიკული ხასიათის კომპონენტებით ვლინდება პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ მხარეები უზიარებენ ერთმანეთს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ მოსაზრებებს, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ:

- პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება - Master of Translatology, რომელიც არ ემთხვევა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №69/ნ ბრძანების, დანართი 2-ით გათვალისწინებულ ფორმულირებას - 0231.2.2 თარგმანმცოდნეობა Translation Studies (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №69/ნ ბრძანება; სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - დანართი 2).
- ასევე, პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, მაგისტრანტი: იყენებს თარგმანმცოდნეობაში მიღებულ რელევანტურ ფართო ცოდნას, ახდენს პრობლემების/საკითხების იდენტიფიცირებას და სთავაზობს ფართო კვლევებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს (კონსულტაციებს), რაც გულისხმობს თარგმანის თეორიული და პრაქტიკული მასალის, თარგმანმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო

დარგის, ანალიზსა და დაუფლებას. სამაგისტრო პროგრამის შედეგის მოცემული სახით ფორმულირება არ ემთხვევა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №69/ნ ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული მე-7 საკვალიფიკაციო დონის აღმწერებს. დასაზუსტებელია სიტყვა “ფართო”. ინტერვიუს ფარგლებში მიღებული განმარტების თანახმად, პროგრამის ფარგლებში ნაგულისხმევია სტუდენტის ფართო სპექტრით განვითარება მოცემულ სფეროში და შედეგთა არსებული ვერბალური გაფორმება. შესაბამისად, სიტყვა :ფართოს” გამოყენება ტექნიკური ხასიათის უზუსტობას წარმოადგენს, რომელიც იმავდროულად გავლენას ახდენს შინაარსობრივ ნაწილზე და იძლევა შედეგის სხვადასხვაგვარად აღქმის წინაპირობას. ამიტომ სწავლის შედეგის სამაგისტრო საფერხურის მოთხოვნებთან, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებისათვის, საჭიროა ამ ხარვეზის გასწორება.

აღნიშნული ორი საკითხი გაჟღერდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ მოცემული ფორმულირება არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობა. ამასთან, კლასტერის ფარგლებში მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ გაირკვა, რომ კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტში ის სწორად არის მოცემული (პუნქტი 3. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ 2. თვითშეფასების დოკუმენტი; ინტერვიუს შედეგები), ასევე კონკრეტულად ეს მონაკვეთი სწორი ფორმულირებით არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზეც. ინტერვიუებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისური ენის ვერსია საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკაა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ის ტექნიკური ხასიათის უზუსტობას წარმოადგენს. ასევეა სიტყვა ფართო-სთან მიმართებითაც, რადგან პროგრამის ფარგლებში ნაგულისხმევია სტუდენტის ფართო სპექტრით განვითარება მოცემულ სფეროში და შედეგთა არსებული ვერბალური გაფორმება ასევე ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია გასწორდეს მოცემული ტექნიკური უზუსტობები თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში გაერთიანებული პროგრამების თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;

- ინტერვიუს შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: რეკომენდებულია გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის 2.4 შედეგის ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმანის კომპონენტის მოდიფიცირება და მისი მოყვანა შესაბამისობაში სასწავლო კურსების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსსა და შეფასების ფორმებთან.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი, რომელიც მოიცავს ნორვეგიული და შვედური ენებიდან ქართულად თარგმანის კომპონენტს, მოვიდეს პროგრამის შინაარსთან თანხვედრაში.

რჩევები:

- სასურველია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის პირველი, მესამე და მეოთხე შედეგების გაერთიანება/გამსხვილება სამ სწავლის შედეგში გადანაწილებული მონათესავე ინფორმაციის ერთად თავმოყრის მიზნით.
- სასურველია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა (რუკა N1) და კურიკულუმის რუკების (რუკა N2 და 3) რედაქტირება ტექნიკური ხასიათის უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით.

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევა: სასურველია, პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება და პროგრამის ერთ-ერთი შედეგი, სადაც აღნიშნულია სტუდენტის მიერ ფართო ცოდნის მიღების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	□	□	□

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზით დაასკვნა, რომ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება თანამშრომლობითი ხასიათისაა, რადგან ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული პროგრამის სწავლის შედეგების

შეფასების ჯგუფი. ჯგუფი შედგება პროგრამის ხელმძღვანელებისგან, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, დოქტორანტებისგან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წევრებისგან. პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიხედვით სწავლის შედეგებზე დაკვირვება ხდება კურსის ფარგლებში მიღებული ქულებისა და სტუდენტების უკუკავშირის მიხედვით, რომელსაც უზიარებენ კოლეგებს.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისას გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამებში სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას გამოიყენება ცალკეულ სასწავლო კურსებში მიღებული შედეგები, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი, საშუალო GPA და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებელი. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება მათი დასრულების შემდგომ შესრულდება, ხოლო კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შემოწმება და შეფასება პროგრამების რეაკრედიტაციის მომდევნო 7 წლის განმავლობაში ეტაპობრივად მოხდება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფმა განსაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების ირიბი მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტებს, სადაც მოცემულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში მოცემულია ევროპული ენების მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმების მაჩვენებელი და მათი რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები, რომელიც გამოყენებულია ევროპული ენების პროგრამების სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებულ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ და ვიზიტის პერიოდში გამოთხოვილ დოკუმენტაციებს, სადაც კლასტერში შემავალ სხვადასხვა პროგრამების შემთხვევაში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, კურიკულუმის რუკები და სამიზნე ნიშნულები. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ერთიანი მიდგომით შემუშავება, რაც გულისხმობს იმას, რომ სასურველია თითოეულ პროგრამას ერთვოდეს დოკუმენტაცია ამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და სამიზნე ნიშნულების თაობაზე.

დეტალები იხილეთ ქვემოთ კლასტერში შემავალი პროგრამების მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)⁸

⁸ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სავალდებულო კურსების შესაბამისობა პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან. თუმცა, დოკუმენტი არ ასახავს თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმებსა და სამიზნე ნიშნულებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია გაიწეროს კონკრეტულად ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც გამოიკვეთება შეფასების მეთოდები და ფორმები, თუ რომელი დავალებით, სტუდენტთა რა რაოდენობაზე, რა სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით და როდის შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, რათა განისაზღვროს თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 2** - (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სავალდებულო კურსების შესაბამისობა პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან. თუმცა, დოკუმენტი არ ასახავს თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმებსა და სამიზნე ნიშნულებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია გაიწეროს კონკრეტულად ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც გამოიკვეთება შეფასების მეთოდები და ფორმები, თუ რომელი დავალებით, სტუდენტთა რა რაოდენობაზე, რა სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით და როდის შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, რათა განისაზღვროს თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 3** - (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის გაწერილი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სადაც მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვების დრო და პასუხისმგებელი პირი.

საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (*მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს*).

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 4** - (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის გაწერილი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სადაც მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვების დრო და პასუხისმგებელი პირი.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 5** - (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის გაწერილი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასება ინსტრუმენტები, სადაც მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმა, სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვების დრო და პასუხისმგებელი პირი.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 6** - (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სავალდებულო კურსების შესაბამისობა პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან. თუმცა, დოკუმენტი არ ასახავს თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმებსა და სამიზნე ნიშნულებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია გაიწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც გამოიკვეთება შეფასების მეთოდები და ფორმები, თუ რომელი დავალებით, სტუდენტთა რა რაოდენობაზე, რა სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით და როდის შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, რათა განისაზღვროს თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს.

აღწერა და ანალიზი - **პროგრამა 7** - (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სავალდებულო კურსების შესაბამისობა პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან. თუმცა, დოკუმენტი არ ასახავს თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმებსა და სამიზნე ნიშნულებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია გაიწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც გამოიკვეთება შეფასების მეთოდები და ფორმები, თუ რომელი დავალებით, სტუდენტთა რა რაოდენობაზე, რა სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით და როდის შეფასდება პროგრამის

თითოეული სწავლის შედეგი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, რათა განისაზღვროს თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკები;
- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია ერთნაირი მიდგომების შემუშავება კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განხორციელებისას.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია შემუშავდეს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია შემუშავდეს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 - (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია შემუშავდეს სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 - (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია შემუშავდეს თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ფორმები და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების უფრო მეტად გამჭვირვალობისთვის.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)				
----------------------------------	--	--	--	--

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები თანხვედრაში მოდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტთან. პროგრამები თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება სწავლების საფეხურებს. საბაკალავრო პროგრამები მოიცავენ 240 კრედიტს და სამაგისტრო პროგრამები 120 კრედიტს.

კლასტერში წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებში გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების კლასტერული შემუშავების მიდგომების შესწავლის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება სწორედ კვლევის მეთოდების სისტემური სწავლების გასხვავებულმა მიდგომებმა მიიპყრო. კლასტერში საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ყველა მოდულისთვის სავალდებულოდ ინტეგრირებული კვლევის ბლოკი, რომელსაც 25 კრედიტი ეთმობა. სავალდებულო კვლევის ბლოკის ფარგლებში შეთავაზებულია შემდეგი სასწავლო კურსები: 1. გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები და მეთოდები; 2. ტექსტის სტილისტიკა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის მეთოდები) ; 3. თანამედროვე თარგმანის გერმანული თეორიები ; 4. გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები და 5. სამეცნიერო მუშაობის ტექნიკები (გერმანული ენის მასალებზე) და სამაგისტრო კვლევის დიზაინი. განსახვავებული მიდგომით არის შემუშავებული ინგლისური ფილოლოგიის, სკანდინავისტიკისა და თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, სადაც ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში არ არის შეთავაზებული კვლევის მეთოდები და კვლევის კომპონენტი ჩაშლილია ცალკეულ სასწავლო კურსებში. გამონაკლისია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ლექსიკოგრაფიის მოდული, რომელშიც ინტეგრირებული ციფრული ჰუმანიტარის სასწავლო კურსი უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიისთვის

აუცილებელი კვლევის მეთოდების შესწავლას. თუმცა განსხვავებული კვლევის კომპონენტის ინტეგრირება განსხვავებული ინტენსივობით და მეთოდოლოგიით არის წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულებში, სკანდინავიისტიკისა და თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამებში. აქვე, აღსანიშნავია ინტერვიუების დროს ამავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ დაფიქსირებული საჭიროება ამ პროგრამებში აკადემიური წერის ინტეგრირებასთან დაკავშირებით. დეტალური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები იხილეთ პროგრამების ინდივიდუალურ შეფასებებში. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამის ინდივიდუალურობას. თუმცა, ამავდროულად იზიარებს სამაგისტრო დონეზე კვლევის მეთოდების სისტემური სწავლების კლასტერული მიდგომის მნიშვნელობასაც.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებში იკვეთება შინაარსის მრავალფეროვნება ლინგვისტურ, თარგმანთმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი აქტუალურ საკითხებს კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, ენის პრაქტიკულ კომპონენტთან და ცალკეული პროგრამების ფარგლებში უცხოენოვან კურსებთან ერთად, ეხმიანება ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად ლოგიკურად ვითარდება და დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების პროცესში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების პროცესში. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტების მოთხოვნით ცალკეული პროგრამების შემთხვევაში დაემატა სასწავლო კურსები. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები და სასწავლო გეგმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა თანხვედრაში მოდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტთან. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქიდან 50 კრედიტი განკუთვნილია ისეთი სავალდებულო კურსებისთვის, რომელიც ემსახურება საბაზო ჰუმანიტარული კომპეტენციების განვითარებას. 120 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის (20 კრედიტი- ფილოლოგიური კურსები, 75 კრედიტი- სპეციალობის ძირითადი კურსები და 25 კრედიტი -სპეციალობის არჩევითი კურსები), 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების არჩევა. პროგრამაში ასევე გათვალისწინებული 10 კრედიტის ათვისება თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომი არის არჩევითი და მისი

არ არჩევს შემთხვევაში სტუდენტმა ეს 10 კრედიტი უნდა აითვისოს ინგლისურენოვანი კურსების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სპეციალობის არჩევით კურსებში ბევრია ინგლისურენოვანი კურსები (მაგ: ინგლისური და ამერიკული მოთხრობა (ინგლისურ ენაზე); ბრიტანეთმცოდნეობის საფუძვლები (ინგლისურ ენაზე); ინგლისური ენის ლექსიკოგრაფიის საფუძვლები (ინგლისურ ენაზე); სემიოტიკის თეორიები (ინგლისურ ენაზე) და სხვა). ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. პროგრამა ფარავს ლინგვისტურ, თარგმანთმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი აქტუალურ საკითხებს კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, ინგლისური ენის პრაქტიკულ კომპონენტთან და ინგლისურენოვან საგნებთან ერთად, ეხმარება ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად ლოგიკურად ვითარდება და დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების პროცესში. პროგრამაში დამატებული ახალი არჩევითი საგანი- შემოქმედებითი წერა და კოუნკაცია (ინგლისურ ენაზე) შემუშავდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის ინდივიდუალურობა იკვეთება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომელიც ითვალისწინებს დიდხნიან გამოცდილებას, დაკვირვებას და სწავლების კონტექსტს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების პროცესში. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტების მოთხოვნით გაიზარდა ლიტერატურის კურსები პროგრამაში. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაშია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტთან. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ინდივიდუალურობა იკვეთება მასში ჩაშენებული სამი მოდულით: ენის თეორია, ინგლისური ლიტერატურა და ლექსიკოგრაფია. პროგრამაში 30 კრედიტი სამივე მოდულისთვის საერთო სავალდებულო კურსებს (3 თეორიული და 3 პრაქტიკული ინგლისური ენის კურსები) ეთმობა. პროგრამაში თითოეული მოდულის სავალდებულო კურსებისთვის განკუთვნილია 30 კრედიტი. არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულია 30 კრედიტი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსების ნაცვლად რომელიმე სხვა მოდული აირჩიოს არჩევითი კურსების სტატუსით. დარჩენილი 30 კრედიტი კი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც მაგისტრანტი მეოთხე სემესტრის ბოლოს

იცავს. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სტრუქტურაში ცალკე სასწავლო კურსად არ არის გამოყოფილი კვლევის მეთოდები ექსპერტთა ჯგუფი ამ საკითხით დაინტერესდა პროგრამისა და მოდულების ხელმძღვანელებთან და კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუების დროს. მათი განცხადებით კვლევითი კომპონენტი ჩაშენებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში, რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის კვლევისთვის. სასწავლო პლატფორმაზე სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ვიდეოები, თუმცა მათი გამოყენება არ გაჟღერდა სტუდენტების მიერ ინტერვიუს დროს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ამ ვიდეოს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსი- კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში (ინგლისურ ენაზე). პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, რომელიც ასევე არიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მხრიდან ხდება სტუდენტებისთვის სამეცნიერო მუშაობის ტექნიკებზე და სამაგისტრო კვლევის დიზაინზე ინფორმაციის მიწოდება. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს სურვილი, რომ პროგრამაში ისწავლებოდეს აკადემიური წერა, რადგან საბაკალავრო საფეხურზე შესწავლილი მასალა ხშირად კარგად არ ახსოვთ. მათი განცხადებით ეს მოსაზრება მათ პროგრამის შეფასების ნაწილშიც ასახეს. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამის საერთო სავალდებულო და მოდულებში შემავალი სილაბუსები ამ კუთხით. შესწავლის შედეგად გამოვლინდა მოდულებში კვლევის კომპონენტის ინტეგრირების განსხვავებული მიდგომები. დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ:

სავალდებულო კომპონენტი

სამივე მოდულისთვის საერთო სამი სავალდებულო თეორიული კურსებიდან ორ სასწავლო კურსის მიზნებში და სწავლის შედეგებში იკვეთება კვლევის კომპონენტი:

1. ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი, რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი "შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა". **თუმცა, სტუდენტის უნარის აწარმოოს კვლევა არ მოწმდება შეფასების ნაწილში.** ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ სილაბუსში გაწერილ შეფასების კომპონენტებს: ანალიტიკური შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა', ესე - შეფასების რუბრიკით 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით', პრეზენტაცია- შეფასების რუბრიკით 'მსჯელობა გამართულია, ჩანს განსახილველი საკითხის ცოდნა. სტუდენტი მკაფიოდ და გამართულად გადმოსცემს სათქმელს';

2. გერმანიკული ენები ისტორიული ლინგვისტიკის ჭრილში, რომლის მიზანია 'გააცნოს სტუდენტებს ისტორიული ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი პირველი განხრის მიზნები, ძირითადი პრინციპები და კვლევის მეთოდები; განიხილოს ისტორიული ლინგვისტიკისა და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის ჩამოყალიბების ისტორია'. სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ჩანს სტუდენტის მსჯელობის უნარი კვლევის მეთოდებზე (1.სტუდენტი მსჯელობს ისტორიული ლინგვისტიკის მიზნებზე, ძირითად პრინციპებსა და კვლევის მეთოდებზე; 2.სტუდენტი ფლობს ინფორმაციას ისტორიული ლინგვისტიკისა და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის ჩამოყალიბების შესახებ). სასწავლო კურსის მიზნისა და სწავლის შედეგის შეფასება ხდება პრეზენტაციით, რომელიც სილაბუსის მიხედვით მოიცავს კვლევის ელემენტს. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: '15-14 - მოხსენება და მისი პრეზენტაცია მაღალ დონეზეა შესრულებული; განსახილველი პრობლემის ანალიზისას სტუდენტი ავლენს კრიტიკურული აზროვნების უნარს, მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, ენობრივად გამართული, მოხსენების სტრუქტურა მკაფიოდ გამოკვეთილი და მსმენლისთვის ადვილად აღსაქმელი; სტუდენტი ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, პრეზენტაციისას იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიას'. ამ სასწავლო კურსის ფარგლებში კურსის მიზანი და სწავლის შედეგი იმსჯელოს კვლევის მეთოდებზე ლოგიკურ კავშირშია შეფასების ფორმასთან.

ლიტერატურის მოდული

ინგლისური ლიტერატურის მოდული მოიცავს 6 სასწავლო კურსს, საიდანაც 5 სასწავლო კურსის მიზნებში იკვეთება მულტიდისციპლინური ან ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება. ხუთივე სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები იდენტურია, რომელთა მიხედვითაც მოწმდება სტუდენტის უნარი დაამუშავოს კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურა. მეექვსე სასწავლო კურსის შეფასების ფორმებში არ ჩანს თუ როგორ ხდება სწავლის შედეგებში გაჟღერებული სტუდენტის მიერ ჩატარებული კვლევის შეფასება. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

1. შექსპირის პოსტმოსტმოდერნიზმი (პროზა, დრამატურგია, თეატრი), რომლის მიზანია მულტიდისციპლინური კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება;
2. ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';
3. ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, რომლის მიზანია მულტიდისციპლინური კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება;
4. ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';

5. დისტოპიური რომანი, რომლის მიზანი ემსახურება 'ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავებას';

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლო კურსების მიზნებში იკვეთება მულტიდისციპლინური ან ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების კვლევის უნარ-ჩვევების გაღრმავება. ხუთივე სასწავლო კურსში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები იდენტურია. **შეფასების კრიტერიუმებით მოწმდება სტუდენტის უნარი დაამუშავოს კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურა.** კურსის ფარგლებში სტუდენტის ცოდნა ფასდება შემდეგი კომპონენტებით: აქტიურობა, პრეზენტაცია (რომლის შეფასების რუბრიკა არ იძებნება სილაბუსებში, იხილეთ რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში) და ესე შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის - შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით'.

ლიტერატურის მოდულის მეექვსე საგანია ინგლისური ესე (XX ს-ის პირველი ნახევარი), რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი 'შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა'. **სასწავლო კურსის შეფასების ფორმებში არ ჩანს თუ როგორ ხდება სტუდენტის მიერ ჩატარებული კვლევის შეფასება.** სილაბუსში მოცემული შეფასების კრიტერიუმებია: ანალიტიკური შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა', ესე - შეფასების რუბრიკით 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით', პრეზენტაცია- შეფასების რუბრიკით 'მსჯელობა გამართულია, ჩანს განსახილველი საკითხის ცოდნა. სტუდენტი მკაფიოდ და გამართულად გადმოსცემს სათქმელს'.

ენის თეორიის მოდული

ამ მოდულში გაერთიანებული ექვსი თეორიული საგნიდან ორი სასწავლო კურსის სწავლის შედეგად ფიქსირდება სტუდენტის მიერ კვლევაზე დაფუძნებული დავალების შესრულება. თუმცა სილაბუსებში ჩანს მხოლოდ ამისი შეფასები კომპონენტი, როგორც 10 ქულიანი პრეზენტაცია, რომელსაც არ ახლავს აღწერა თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

1. ლინგვისტური პრაგმატიკა, რომლის მიზანია სტუდენტს 'გააცნოს პრაგმატული კვლევის ტრადიციული და უახლესი მეთოდები. -განახორციელოს ნებისმიერი კონტექსტის პრაგმატული ანალიზი და დაადგინოს წარმატებული კომუნიკაციისა თუ გაუგებრობების

მიზეზები კულტურული თუ სხვ. ფაქტორების გათვალისწინებით'. კურსის ერთერთი სწავლის შედეგის გათვალისწინებით სტუდენტი 'დამოუკიდებლად აწარმოებს მცირე მასშტაბის კვლევაზე დაფუძნებულ დავალებას'. შეფასების კომპონენტების ჩამონათვალში მითითებულია- 10 ქულა (ჩატარებული მცირე კვლევის პრეზენტაცია). **თუმცა, არ არის მოცემული თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება** (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში).

2. სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს 'ენის ყველა დონის ვარიაციების და ენობრივი განსხვავებების თანამედროვე კვლევები ისეთი სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა რეგიონალური დიალექტები, სოციალური სტატუსი, პროფესიული ჯგუფები, გენდერი, ბილიგვალიზმი და მულტილინგვალიზმი. კურსის ერთერთი სწავლის შედეგია 'ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი დამოუკიდებლად აწარმოებს მცირე მასშტაბის კვლევაზე დაფუძნებულ დავალებას'. კომპონენტების ჩამონათვალში მითითებულია- 10 ქულა (ჩატარებული მცირე კვლევის პრეზენტაცია). **თუმცა, არ არის მოცემული თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება.** (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში).

ლექსიკოგრაფიის მოდული

ლექსიკოგრაფიის მოდულში ჩაშენებული ციფრული ჰუმანიტირის სასწავლო კურსში მკვეთრად არის გამოხატული კვლევის კომპონენტი, სადაც სტუდენტის უნარი იცოდეს სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი პრინციპები და აწარმოოს კვლევა მოწმდება სტატიით შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. დეტალები სასწავლო კურსების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

ციფრული ჰუმანიტარია, რომლის მიზანია სტუდენტს 'გააცნოს კვლევის ტექნოლოგიები და მეთოდები ამ მიმართულებით. კურსი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, მოახდინონ ქართულენოვანი და უცხოენოვანი წერითი და ზეპირი მეტყველების ამსახველი ტექსტური ან ვიდეო-აუდიო მასალების პროგრამული დამუშავება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, შექმნან მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები და გამოიყენონ უკვე არსებული კორპუსული რესურსები თავიანთ კვლევებში'. კურსის ერთერთი სწავლის შედეგია 'იცის სამეცნიერო ნაშრომის / დისერტაციის დამუშავების ძირითადი პრინციპები'. **სასწავლო კურსის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება სტატიით, რომლის შეფასების კრიტერიუმები: 'პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო სტრუქტურა და დაცულია აკადემიური წერის პრინციპები'.**

ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის კურსი, რომლის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში იკვეთება შემდეგი სწავლის შედეგი 'შეუძლია დამოუკიდებლად

აწარმოოს მცირე მასშტაბის კვლევა'. **თუმცა, სტუდენტის უნარის აწარმოოს კვლევა არ მოწმდება შეფასების ნაწილში.** ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ სილაბუსში გაწერილ შეფასების კომპონენტებს: ღია შეკითხვა- შეფასების რუბრიკით: 'პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა', ესე - შეფასების რუბრიკით 'პასუხი სრულყოფილად არის ფორმულირებული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; სტუდენტის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით', ჯგუფური პრეზენტაცია - 'სტუდენტის შეფასებისას მნიშვნელობა ექცევა საკითხის ცოდნას, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავებას, საკითხის გადმოცემის უნარს, მეტყველების კულტურას, ანალიზისა და სინთეზის უნარს'. თუმცა არ ჩანს ქულობრივი გადანაწილებები კრიტერიუმებს შორის. ასევე, შეფასების კომპონენტად ჩანს წერითი რეფერატი, რომელსაც თან არ ახლავს შეფასების კრიტერიუმები (იხილეთ შესაბამისი რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდარტში).

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ძირითადად სასწავლო კურსებში იკვეთება კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობისთვის საჭირო კვლევის უნარები. სასწავლო კურსებში, სადაც ნახსენებია კვლევაზე დაფუძნებული დავალების შესრულება ან კვლევის ჩატარება არ ჩანს თუ როგორ ხდება ამ უნარის შემოწმება. გამონაკლისია ლექსიკოგრაფიის მოდულში ინტეგრირებული ციფრული ჰუმანიტარიის სასწავლო კურსი მკვეთრად გამოხატული კვლევის კომპონენტით, სადაც სტუდენტის უნარი იცოდეს სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი პრინციპები და აწარმოოს კვლევა მოწმდება სტატით შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ციფრული ჰუმანიტარია არის ლექსიკოგრაფიის მოდულის საგანი, რაც ქმნის იმ გარემოებას, რომ მსგავსი სამეცნიერო ტექსტების მუშაობისთვის საჭირო კვლევის უნარების შესწავლის შესაძლებლობა ვერ ექნებათ სტუდენტებს სხვა მოდულებზე. ეს გარემოება კიდევ უფრო ამყარებს ექსპერტთა მოსაზრებას სამივე მოდულისთვის საერთო სასწავლო კურსის ფარგლებში კვლევის მეთოდების შესწავლასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას ამყარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან დაფიქსირებული აკადემიური წერის სასწავლო კურსის საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს მათ სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების უმეტესობა არის ინგლისურენოვანი (მაგალითად, ინტერკულტურული კომუნიკაციის ლინგვისტური საფუძვლები (ინგლისურ ენაზე); გერმანიკული ენები ისტორიული ლინგვისტიკის ჭრილში (ინგლისურ ენაზე); დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ისტორია (ინგლისურ ენაზე); სოციოლინგვისტიკა (ინგლისურ ენაზე) და სხვა) . ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. პროგრამა ფარავს ინტერკულტურული კომუნიკაციისა და მისი ენობრივი საფუძვლების, ინგლისური ლიტერატურული ტექსტისა და კონტექსტის ძირითადი მახასიათებლების, გერმანიკული ენების დიაქრონული განვითარების შესახებ საკითხებს , რაც თავის მხრივ, ინგლისური ენის ძლიერ პრაქტიკულ კომპონენტთან და ინგლისურენოვან საგნებთან ერთად, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად ლოგიკურად ვითარდება და დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შინაარსის განვითარების პროცესში. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტების მოთხოვნით პროგრამას დაემატა დისტოპიური რომანი, როგორც არჩევითი კურსი.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით (2014 წლის 26 ივნისის N3 ; 2014 წლის 9 ოქტომბრის N6; 2015 წლის 5 ოქტომბრის N5; 2018 წლის 12 თებერვლის N1; 2020 წლის 25 დეკემბრის N4 და 2021 წლის 26 მარტის N2 სხდომის ოქმებით) 25-ე მუხლის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება“ შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო სასწავლო კურსები განსაზღვრულია 20 კრედიტით, ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტით, დარგის საკომპეტენციო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტით, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტით, სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტით და თავისუფალი არჩევითი კურსები 10 კრედიტით. 60 კრედიტის ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების არჩევანს. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომლის მოცულობა განისაზღვრება 10 კრედიტით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. თანმიმდევრულია

პროგრამის სტრუქტურა, რაც გულისხმობს მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი თემატიკიდან რთულზე გადასვლას, ასევე სასპეციალიზაციო ენის დაუფლებას (გერმანული ენა 1-6) უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის დონეების მიხედვით A1.2-B2.2. შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში, რომელიც შეთავაზებულია ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში აძლევს სტუდენტს ზოგად, საორიენტაციო ცოდნას დარგის სპეციფიკის შესახებ, რაც ეხმარება მას თავისი ინტერესებისა და კარიერული მოლოდინების შესაბამისად დაგეგმოს სწავლის პროცესი და გააზრებულად გააკეთოს არჩევანი სავალდებულო-არჩევითი კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების განსაზღვრისას. მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ დაცულია თანაფარდობა ლინგვისტურ და ლიტერატურულ დისციპლინებს შორის და, მეორე მხრივ, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა მიმართულებების ფარგლებში ლოგიკურ ბმაში ერთმანეთთან შინაარსობრივად, მიემართება მარტივიდან რთულისკენ. მაგალითად, „გერმანული ენის ისტორია“, რომლის მიზანია „გაცნოს სტუდენტს გერმანული ენის განვითარების ძირითადი სტადიები, გერმანიკული ენების უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები და ასევე ცვლილებები ენის სხვადასხვა დონეზე“ წინ უსწრებს „გერმანული ენის ლექსიკოლოგიასა“ და „შესავალს ტექსტის ლინგვისტიკაში“. ენის ისტორიის სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაფართოება ხდება ზემოხსენებული სასწავლო კურსებით, მაგ.: გერმანული ენის ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი მიზანია „ენაში მიმდინარე პროცესების თავისებურებების (ნეოლოგიზმები, ჟარგონიზმები, ანგლო-ამერიკანიზმები) გაცნობა“. ასევე „ენის ისტორიის“ სასწავლო კურსის ფარგლებში (მიზანი: „გამოუმუშავოს შემსწავლელს სხვადასხვა პერიოდის გერმანული ტექსტების ანალიზისა და განმარტების პრაქტიკული უნარები“) შეძენილი უნარების შემდგომი განვითარება ხდება ტექსტის ლინგვისტიკის შესავალის გერმანულენოვანი სემინარის ფარგლებში. ადეკვატურია სასწავლო კურსებით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები: გერმანული ენა დონეების შესაბამისად განსაზღვრულია იმ სასწავლო კურსებისათვის ლინგვისტიკის მიმართულებით, სადაც კურსის შინაარსისა და სასწავლო მასალის გათვალისწინებით შედეგის მისაღწევად აუცილებელია ენობრივი კომპეტენცია (მაგ.: „გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები“ - წინაპირობა „გერმანული ენა 1“, „გერმანული ენის ისტორიის“ (წინაპირობა გერმანული ენა 3), „გერმანული ენის ლექსიკოლოგია“ - წინაპირობა „გერმანული ენა 4“).

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომი - **საბაკალავრო ნაშრომი**, რომლის მომზადება და საჯარო დაცვა რეგულირდება ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის მიერ 2011 წლის 28 იანვარს დამტკიცებული (ცვლილება 2013 წლის 29 მაისი) „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“. საგულისხმოა, რომ საბაკალავრო ნაშრომის მაღალკვალიფიციურად მომზადებისა და მისი საჯარო დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ (5 კრედიტი) და ასევე სხვადასხვა (უპირატესად წინაპირობად მითითებულ) ლინგვისტურ და

ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინებში ჩაშენებული კომპონენტების (პრეზენტაცია, ესე, ანალიზი და სხვა) ფარგლებში.

პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, როგორცაა მაგალითად, თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ძირითად და დამატებით ლიტერატურად გამოყენება, სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, უცხოელი კოლეგების მიერ წაკითხული ლექციები და ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობები და სხვ. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს DAAD-ს ლექტორ(ებ)ი, რომლებიც სისტემატიურად მუშაობენ პროგრამის ფარგლებში, ასევე გერმანულენოვანი წიგნადი ფონდი/ბიბლიოთეკა, რომელიც საგრანტო პროექტის ფარგლებში შეიქმნა, უკვე წლებია წარმატებით ფუნქციონირებს და მუდმივად განახლებადია.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესში და სრულად იზიარებენ მის შინაარსს. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იყვნენ პროცესის მონაწილე. დაინტერესებული პირებისათვის საჯარო და ხელმისაწვდომი გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ვინაიდან მოქმედი პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით (2014 წლის 26 ივნისის N3 ; 2014 წლის 9 ოქტომბრის N6; 2015 წლის 5 ოქტომბრის N5; 2018 წლის 12 თებერვლის N1; 2020 წლის 25 დეკემბრის N4 და 2021 წლის 26 მარტის N2 სხდომის ოქმებით) 25-ე მუხლის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება“ შესაბამისად და მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის დარგის საკომპეტენციო სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი, გერმანული ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის მოდულების არჩევითი კურსები - 25 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომლის მოცულობა განისაზღვრება 30 კრედიტით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. თანმიმდევრულია პროგრამის სტრუქტურა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაღმავება-განვითარებასა და სისტემატიზაციას, მეორე მხრივ, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში მარტივი ლინგვისტური, ლიტერატურისა- და თარგმანმცოდნეობის თემატიკიდან რთულზე გადასვლას, ასევე სასპეციალიზაციო ენის დაუფლებას (უცხოური ენები: გერმანული ენა 1 და 2) უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის C 1 დონის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ დაცულია თანაფარდობა ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინებს შორის და, მეორე მხრივ, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა მიმართულებების ფარგლებში ლოგიკურ ბმავში ერთმანეთთან შინაარსობრივად, მიემართება მარტივიდან რთულისკენ, მაგალითად „ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“ (III სემესტრი) წარმოადგენს „ლინგვისტური პრაგმატიკის“ (II სემესტრი), „კონტრასტული ლინგვისტიკისა“ (II სემესტრი) და „გერმანისტული სოციოლინგვისტიკის“ (II სემესტრი) ლოგიკურ გაგრძელებას, ვინაიდან ზემოთჩამოთვლილ დისციპლინებში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული დარგობრივი კომპეტენციის გაღმავება-განვითარებასა და პრაქტიკულ გამოყენებას ისახავს მიზნად სასწავლო კურსი „ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“. ასევე ადეკვატურია სასწავლო კურსებით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები. მაგალითად, „გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები და მეთოდები“ წინ უსწრებს და წარმოადგენს წინაპირობას კურსებისთვის: „სინტაქსის თანამედროვე თეორიები“, „ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“, „ლინგვისტური პრაგმატიკა“. ანალოგიური მიდგომაა ლიტერატურის მოდულის ფარგლებშიც, სადაც „გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები“, როგორც ზოგადი შესავალი კურსი წინ უსწრებს და წარმოადგენს წინაპირობას „გერმანულენოვანი ლირიკის“, „მცირე ზომის გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტები: ნოველა, ლიტერატურული ზღაპარი“, „გერმანულენოვანი დრამისა“ და „გერმანული რომანის“ სასწავლო კურსებს.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომი - **სამაგისტრო ნაშრომი**, რომლის მაღალკვალიფიციურად მომზადებისა და მისი საჯარო დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება ეტაპობრივად. სასწავლო კურსების „ტექსტის სტილისტიკა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის ანალიზის მეთოდები)“ (5 კრედიტი), „გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები“ (5 კრედიტი) ფარგლებში სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ეცნობიან კვლევისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, ხოლო „სამეცნიერო მუშაობის ტექნიკები (გერმანული ენის მასალებზე) და სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ (5 კრედიტი) მიზანმიმართულად ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და მისი საჯარო დაცვისთვის. ექსპერტთა ჯგუფი კვლევითი კომპეტენციის გამომუშავების ასეთ სისტემურ და გააზრებულ მიდგომას პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევს.

პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით სამაგისტრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, როგორცაა მაგალითად, თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ძირითად და დამატებით ლიტერატურად გამოყენება, უცხოელი კოლეგების მიერ წაკითხული ლექციები და ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობები და სხვ. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც პრაქტიკულად ყველა მაგისტრანტი ერთი სემესტრით მიემგზავრება გერმანულ უნივერსიტეტში, სადაც ასრულებს ძირითად კვლევით სამუშაოს საკვალიფიკაციო ნაშრომის მოსამზადებლად. ასევე საგულისხმოა, რომ მათ საქართველოში დაბრუნების შემდეგაც უნარჩუნდებათ წვდომა მასპინძელი უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზებზე. ასევე პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა DAAD-ს ლექტორი/ების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, აგრეთვე გერმანულენოვანი წიგნადი ფონდი/ბიბლიოთეკა, რომელიც საგრანტო პროექტის ფარგლებში შეიქმნა, უკვე წლებია წარმატებით ფუნქციონირებს და მუდმივად განახლებადია.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესში და სრულად იზიარებენ მის შინაარსს. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იყვნენ პროცესის მონაწილე. დაინტერესებული პირებისათვის საჯარო და ხელმისაწვდომი „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ვინაიდან მოქმედი პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით (2014 წლის 26 ივნისის N3 ; 2014 წლის 9 ოქტომბრის N6; 2015 წლის 5 ოქტომბრის N5; 2018 წლის 12 თებერვლის N1; 2020 წლის 25 დეკემბრის N4 და 2021 წლის 26 მარტის N2 სხდომის ოქმებით) 25-ე მუხლის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება“ შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო კურსები განსაზღვრულია 50 კრედიტით (სავალდებულო სასწავლო კურსები 20 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი), ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტით, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტით, სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტით და თავისუფალი არჩევითი კურსები 10

კრედიტით. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომლის მოცულობა განისაზღვრება 10 კრედიტით. 60 კრედიტის ფარგლებში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების არჩევანს.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები 45 კრედიტით ითვალისწინებს ენის პრაქტიკულ კურსებს: ნორვეგიული ენა 1-6, სულ 30 კრედიტი და შვედური ენა 1-3, სულ 15 კრედიტი. გარდა ამისა, სპეციალობის არჩევითი კურსების ფარგლებში 10 კრედიტით პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ისლანდიურ ენას 1 და 2. ენის პრაქტიკული კურსების პარალელურად პროგრამაში წარმოდგენილია ლიტერატურული ბლოკის სასწავლო კურსები სავალდებულო სტატუსით, სულ 20 კრედიტი და მოიცავს სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიას, რომელიც დალაგებულია ქრონოლოგიურად, პერიოდების მიხედვით, გამიჯნულია ნორვეგიულ და შვედურ ლიტერატურად, ხოლო აღნიშნულ კურსებს საბაზო თეორიულ ცოდნას აძლევს „ლიტერატურის თეორია“. მრავალფეროვანია ლიტერატურის მიმართულებით საგანთა არჩევანი სპეციალობის არჩევითი კურსების 20 კრედიტის ფარგლებში, სადაც პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ სასწავლო კურსებს: „სკანდინავიური ზღაპარი“, „ხალხური და ლიტერატურული ბალადა“, „შედარებითი მითოლოგია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური მიმართულება პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ არჩევითი სტატუსის მქონე „სკანდინავიური ენების ისტორიით“. პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კურსებში არ ჩანს ისეთი საკითხები, როგორცაა სკანდინავიური ენის ისტორია, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება ცალკე კურსების სახით, რომელიც დაკავშირებული იქნება კონკრეტულად პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო თემატიკასთან, სკანდინავიური ფილოლოგიის სახასიათო ასპექტებთან, რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ასევე რეკომენდებულია შეიცვალოს „სკანდინავიური ენების ისტორიის“ სტატუსები და პირველი გადავიდეს არჩევით ბლოკში, ხოლო „სკანდინავიური ენების ისტორია“ გაერთიანდეს სავალდებულო საგნების ჯგუფში, ვინაიდან სასწავლო კურსის „სკანდინავიური ენების ისტორია“ სწავლის შედეგები - ადწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ენების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს; ადწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ენების ისტორიული განვითარების მიზეზებსა და ამ ენების ურთიერთმიმართებას; განსაზღვრავს სკანდინავიური და გერმანიკული ოჯახის სხვა ენების ადგილს მსოფლიო ენათა სისტემაში; აქცენტირებულად აძლევს სტუდენტს ცოდნას სასპეციალიზაციო ენის წარმოშობის, განვითარებისა და ურთიერთმიმართებების შესახებ, ამავდროულად განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს როგორც გერმანიკული ენების ოჯახის შიგნით, ასევე ზოგადად ენათა სისტემაში.

თითოეული სასწავლო კურსის წინაპირობაა შესაბამისი ენის ცოდნა, მაგალითად „სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (ნორვეგიული ლიტერატურა უძველესი დროიდან 1880-იან წლებამდე“ მოითხოვს ნორვეგიული ენა 3-ითა და შვედური ენა 1-ით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის ფლობას, ხოლო „სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (შვედური ლიტერატურა უძველესი დროიდან 1990-იან წლებამდე“ მოითხოვს ნორვეგიული ენა 1-ითა და შვედური ენა 3-ით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის ფლობას. მეტწილად თანმიმდევრულია პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების მიმდევრობა მიმართულებების ფარგლებში ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან შინაარსობრივად და მიემართება მარტივიდან რთულისკენ. მაგალითად, სასპეციალიზაციო ენების (ნორვეგიული და შვედური) დაუფლება „საშუალოზე მაღალ“ და „საშუალო“ დონეზე ხორციელდება ეტაპობრივად, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიზანშეწონილია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ენის დონეები განისაზღვროს უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის დონეების მიხედვით A1.1-დან B2.2-ამდე შკალით (აღნიშნული რეკომენდაციის სახით ასახულია 1.1. კომპონენტში).

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომი - საბაკალავრო ნაშრომი, რომლის მომზადება და საჯარო დაცვა რეგულირდება ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის მიერ 2011 წლის 28 იანვარს დამტკიცებული (ცვლილება 2013 წლის 29 მაისი) „საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით“. საგულისხმოა, რომ საბაკალავრო ნაშრომის მაღალკვალიფიციურად მომზადებისა და მისი საჯარო დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ (5 კრედიტი) და ასევე ლიტერატურის მიმართულებით არსებულ დისციპლინებში ჩაშენებული პრეზენტაციის კომპონენტის ფარგლებში. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომი სრულდება ძირითადად ლიტერატურის მიმართულებით, რაც უდავოდ პროგრამის ფარგლებში ძალზე მწირად წარმოდგენილი ლინგვისტური ბლოკის საგნებითაა განპირობებული (სულ 5 კრედიტი - სკანდინავიური ენის ისტორია, არჩევითი). პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი მეტწილად პასუხობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, როგორცაა მაგალითად, უცხოურ დონორ ორგანიზაციებთან, სკანდინავიური ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობა, სხვადასხვა საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, რის შედეგადაც პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, უცხო ენის შესწავლისათვის საჭირო თანამედროვე სახელმძღვანელოებით. აღნიშნული პარტნიორული ურთიერთობების შედეგად „სკანდინავიური ფილოლოგიის“ სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, სეზონურ სკოლებში, კურიკულუმს მიღმა საგანმანათლებლო აქტივობებში.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესში და სრულად იზიარებენ მის შინაარსს. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იყვნენ პროცესის მონაწილე. დაინტერესებული პირებისათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ვინაიდან მოქმედი პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაში მოდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტთან. პროგრამა თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექსურობით შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქიდან 70 კრედიტი ეთმობა სავალდებულო კურსებს, 20 კრედიტი არჩევით კურსებს და 30 კრედიტის ათვისება ხდება სამაგისტრო ნაშრომით. სავალდებულო კურსების ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სკანდინავიის ქვეყნების ისტორიასა და კულტურას (1, 2 და 3), სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორიას (1,2, და 3), ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში, სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები, ეკონომიკა და ბიზნესი სკანდინავიის ქვეყნებში, გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში, ფინური (1, 2 და 3) ან/და ნორვეგიული ენები (1, 2 და 3). პროგრამის მიხედვით 'თსუ-ს სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითადი/დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულებს, გამომდინარე იქედან, რომ მათ უკვე ნასწავლი აქვთ ნორვეგიული ენა შესაბამის დონეზე, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ფინური ენა; სხვა სტუდენტებს კი შეუძლიათ სავალდებულო ენად აირჩიონ ფინური ან ნორვეგიული ენა, ხოლო სურვილის შემთხვევაში არჩევით საგნად/ საგნებად გაიარონ მათ მიერ სავალდებულო ენად არარჩეული სხვა (მეორე) სკანდინავიის ქვეყნის ენა'.

პროგრამის მიხედვით არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი 20 კრედიტის ათვისება სტუდენტს შეუძლია შემდეგი სასწავლო კურსების ფარგლებში სკანდინავიური კინემატოგრაფი, სკანდინავიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, სკანდინავიური მითოლოგია, სკანდინავიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა, ფილოსოფიური აზრი სკანდინავიის ქვეყნებში, რომლებიც სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებად შეგვიძლია მოვიაზროთ. თუმცა, ჩამონათვალში მითითებულია სხვა სასწავლო კურსები სხვა პროგრამებიდან: მხატვრული თარგმანის კრიტიკა (პროგრამიდან: „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“); საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში (პროგრამიდან: „ახალი დაუახლესი ისტორია“); ენათა კონტაქტები (პროგრამიდან: „ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება“);

პირველი მსოფლიო ომის ისტორია (სამაგისტრო პროგრამიდან: „ახალი და უახლესი ისტორია“); მეორე მსოფლიო ომის ისტორია (სამაგისტრო პროგრამიდან: „ახალი და უახლესი ისტორია“); ქართულ-ევროპული ლიტერატურული და მთარგმნელობითი ურთიერთობები“ (პროგრამიდან: „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“). ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში შეთავაზებულია ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები (1 და 2).

სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები თავიანთი შინაარსით მრავალფეროვანია, რაც ინდივიდუალურობას სძენს სკანდინავისტიკის პროგრამას და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამაში სასწავლო კურსები შინაარსობრივად ლოგიკურად ვითარდება და დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სწორედ ზემოთ ნახსენები მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რატომ არ არის პროგრამაში განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ან ცალკე სასწავლო კურსი, მაშინ როდესაც ფინური განათლების სისტემა მთელი მსოფლიოსთვის მისაბამი მაგალითია და საინტერესო იქნებოდა სტუდენტებისთვის ამ გამოცდილების გაზიარება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დაინტერესდით თუ რამდენად სწავლობდნენ ამ საკითხს პროგრამის ფარგლებში. მათთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ძალიან დაინტერესებულნი არიან განათლების საკითხებით და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას, რომელიც მათ შემთხვევაში ხშირი და ინტენსიურია, ცდილობენ ფინურ განათლებასთან დაკავშირებული კურსები აიღონ. ასევე, ისინი ამ საკითხით ინტერესდებიან მათთან ჩამოსულ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ლექტორებთანაც. მათი განცხადებით, პროგრამაში სასურველია იყოს განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, რასაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფიც. შესაბამისად, სასურველია სკანდინავისტიკის პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტუდენტებს შესთავაზოს ფინური განათლების შესახებ საკითხები, რაც უფრო სისტემურ ხასიათს მისცემს ამ საკითხის შესწავლას და უფრო გაამრავალფეროვნებს არჩევით კომპონენტს.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სტრუქტურაში ცალკე სასწავლო კურსად არ არის გამოყოფილი კვლევის მეთოდები ექსპერტთა ჯგუფი ამ საკითხით დაინტერესდა პროგრამისა ხელმძღვანელთან და კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუების დროს. მათი განცხადებით კვლევითი კომპონენტი ჩაშენებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში, რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის კვლევისთვის. სასწავლო პლატფორმაზე სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ვიდეოები, თუმცა მათი გამოყენება არ გაჟღერდა სტუდენტების მიერ ინტერვიუს დროს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ამ ვიდეოს. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, რომელიც ასევე არიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მხრიდან ხდება სტუდენტებისთვის სამეცნიერო მუშაობის ტექნიკებზე და სამაგისტრო კვლევის დიზაინზე ინფორმაციის მიწოდება. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად

შეისწავლა პროგრამის სავალდებულო კომპონენტში შემავალი სილაბუსები ამ კუთხით. ცალკეულ სასწავლო კურსებში, როგორცაა სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა-1, 2 და 3, სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურათა ისტორია- 1, 2 და 3, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში, სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და პარტიები, სტუდენტი ასრულებენ წერით რეფერატს, რომლის შეფასების კრიტერიუმებია: 'სარეფერატო საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სტუდენტი ზედმიწევნით ფლობს საკითხის გარშემო არსებულ მასალას; მისი დასკვნები სწორია, ციტირების წესი დაცულია'. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენებ კურსებში ვლინდება **სტუდენტის უნარი იცოდეს სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების ძირითადი პრინციპები, არ ჩანს თუ როგორ აწარმოებს კვლევას. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა ცალკე კურსის ფარგლებში**, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მაშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში. აღსანიშნავია პროგრამაში ჩართული ამავე პროგრამის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ლექტორების ენთუზიაზმი და სტუდენტების სიყვარული ამ პროგრამის მიმართ.

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის წესის შესაბამისად, მისი მოცულობა სწავლის საფეხურის შესაბამისია. პროგრამა მოიცავს – 120 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსები – 50 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები – 40 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS. სემესტრების მინიმალური რაოდენობა კი განსაზღვრულია 4-ით. პროგრამა თავისი შინაარსით ატარებს ინდივიდუალურობის მახასიათებლებს, რომელიც პრაქტიკული კურსების პარალელურად ფარავს სახასიათო თემებსაც განსაკუთრებით ქართულ-ინგლისურ კულტურათა დიალოგის ჭრილში (მაგ. კურსები 'ინგლისური ტრაგიკომედია და ვეფხისტყაოსანი', 'ინგლისური რომანტიზმი და მისი აღქმა საქართველოში', 'საქართველო და ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში' და სხვ.). პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ძირითადად, აგებულია პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კომპონენტებში მოცემულია ორ, ან სამ ნაწილიანი კურსები (მაგ. 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი' (1,2

და 3); 'ინგლისური ენა და თარგმანი' (1,2 და 3); 'თანმიმდევრული თარგმანი' (1 და 2). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ორიენტირდებიან კურსებით გათვალისწინებული თემატიკის გამრავალფეროვნებისკენ და ქმნიან პროგრამის კურსების წინაპირობათა შესაბამის გადანაწილებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს კურსის - 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობისა და კურსით დასახული მიზნების მიმართების საკითხიც. კერძოდ, კურსის მიზანია: მაგისტრანტს საფუძვლიანად შეასწავლოს რუსული ენა და გამოუმუშავოს რუსულად ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული მეტყველებისა და წერის უნარი (კურსის სილაბუსი), თუმცა წინაპირობად არ არის განსაზღვრული რუსული ენის ფლობის კონკრეტული დონე. გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ფლობს რუსულ ენას საწყის დონეზე მაინც, ის ვერ შეძლებს ენის საფუძვლიან შესწავლას მოცემული კურსის ფარგლებში, თუმცა ამ კურსის დაძლევის შემთხვევაში ექნება შესაძლებლობა გაიაროს მომდევნო კურსი 'რუსული ენა და თარგმანი 2', რომელსაც იდენტური მიზანი აქვს და რომელიც წინაპირობად 'რუსული ენა და თარგმანი 1'-ის კურსს აყენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია კურსის 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით).

პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსები, მათში შემავალ თემატიკასთან ერთად ითვალისწინებენ სტუდენტთა შორის კვლევითი უნარების განვითარებას შეპირისპირებითი ანალიზის წარმოების ფარგლებში (მაგ. კურსი 'შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი (1 და 2), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს პროგრამის კურსებით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კვლევების კომპონენტების ცალკეულ მახასიათებელთა შესახებ. მაგალითად, კურსის - 'თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი', ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: თარგმანმცოდნეობის მაგისტრანტი აღწერს და განმარტავს თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს; ასევე - იყენებს კვლევის ახალ მეთოდოლოგიას, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიურ აპარატს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს (კურსის სილაბუსი). აღნიშნული შედეგები იზომება პრეზენტაციასა და შუალედურ/დასკვნით გამოცდებზე ღია დავალებით. პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: სტრუქტურა და ვიზუალიზაცია – 2 ქულა; აუდიტორიასთან კონტაქტი – 2 ქულა; მეტყველების კულტურა – 2 ქულა; შინაარსის რელევანტურობა, ანალიზი და არგუმენტირება - 2 ქულა; რეგლამენტის დაცვა - 2 ქულა. თუმცა, შეფასების მოცემული კრიტერიუმები არ გულისხმობს სტუდენტის მხრიდან რეფერატის წარმოებას, შემდეგ კი მისი შესაბამისი შეფასების კომპონენტებს, რაც შედეგების გათვალისწინებით, სტუდენტის მხრიდან თანამედროვე კვლევის მეთოდების აღწერას, ან გამოყენებას დაუკავშირდებოდა. კურსში ასევე მოცემულია ღია ტიპის დავალებების შეფასებაც, რომლებიც იდენტურია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვისაც. მაგ. 6 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას,

ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღნიშნული კრიტერიუმი, სტუდენტის მხრიდან თეორიული მასალის ცოდნაზე მეტად ორიენტირებული ვიდრე მის პრაქტიკულ დადასტურებაზე, რაც კურსით გათვალისწინებული - პრაქტიკული კვლევითი უნარის გაზომვას/შეფასებას გახდიდა შესაძლებელს. ასევე კურსის 'ქართული თარგმანის ისტორია' მიზანია - მოამზადოს მაგისტრანტი ... კვლევითი მუშაობის ჩვევის გააქტიურებით ქართული თარგმანის ისტორიის პრობლემური საკითხების ევროპული და საზოგადოდ საზღვარგარეთული მეცნიერების წრეებში ინტერპრეტირებისათვის (კურსის სილაბუსი). კურსის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით კი მაგისტრანტი - კვლევისას იყენებს საინფორმაციო საშუალებებს, ახალ მეთოდებს და აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს. მოცემული მიზანი და შედეგი კურსის ფარგლებში ფასდება პრეზენტაციით (სტრუქტურა და ვიზუალიზაცია - 2 ქულა; აუდიტორიასთან კონტაქტი - 2 ქულა; მეტყველების კულტურა - 2 ქულა; შინაარსის რელევანტურობა, ანალიზი და არგუმენტირება - 2 ქულა; რეგლამენტის დაცვა - 2 ქულა.) და ღია ტიპის დავალებებით (6 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა). შეფასების მოცემული კომპონენტები ნათლად არ გამოკვეთენ სტუდენტის მხრიდან კურსის შედეგით გათვალისწინებულ პრაქტიკული კვლევის გაზომვის შესაძლებლობას. ასევე კურსის 'თარგმანის ლინგვისტიკა 1' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: თარგმანმცოდნეობის მაგისტრანტი აღწერს და განმარტავს თარგმანის ლინგვისტიკის მთავარ კონცეფციებს, უახლეს თეორიებსა და კვლევით პარადიგმებს (პრინციპებს და მეთოდებს) და ახდენს მათ იდენტიფიცირებას თარგმანის ანალიზის ასპექტში; მოცემული კომპონენტიც ფასდება პრეზენტაციითა (სტრუქტურა და ვიზუალიზაცია - 2 ქულა; აუდიტორიასთან კონტაქტი - 2 ქულა; მეტყველების კულტურა - 2 ქულა; შინაარსის რელევანტურობა, ანალიზი და არგუმენტირება - 2 ქულა; რეგლამენტის დაცვა - 2 ქულა.) და ღია დავალებით შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე (6 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა), თუმცა მათში ნაკლებად იკვეთება სტუდენტის მხრიდან გამოვლენილი უნარის - მოახდინოს კვლევითი პარადიგმების იდენტიფიცირება თარგმანის ანალიზის ასპექტში (კურსის სილაბუსი) გაზომვის შესაძლებლობა. მსგავსი შეფასების სისტემაა მოცემული კურსში 'ინგლისური ენა და თარგმანი 1", რომელიც შედეგებში კვლევით ასპექტებს წარმოაჩენს. მაგ. თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი იყენებს თარგმანმცოდნეობის კვლევის ახალ მეთოდებს; მასალის სისტემური და სიღრმისეული გააზრების საფუძველზე არჩევს, განიხილავს და აჩვენებს ლოგიკური მსჯელობის, დისკუსიისა თუ კვლევითი სამუშაოების შედეგებს (კურსის სილაბუსი). აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი მასალის ანალიზით იკვეთება, რომ პროგრამის სწავლების საფეხურის მახასიათებელთა, ასევე პროგრამის შედეგთა გათვალისწინებით (მაგ. სტუდენტი - იყენებს კვლევით მეთოდებს და პროცედურებს; სთავაზობს კვლევებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს; კვლევითი პარადიგმების

(პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორის ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებს; აფასებს ...ემპირიულ კვლევებს), კვლევითი კომპონენტების გაძლიერება შექმნის პროგრამისა და კურსების შედეგთა უფრო მტკიცე ბმის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, სტუდენტთათვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყოს თარგმანმცოდნეობის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული შინაარსის ცალკე კურსი, სადაც სტუდენტი შეძლებს სიღმისეულად გაეცნოს სფეროში არსებულ კვლევით თეორიებს, ასევე მოახდენს კვლევითი უნარების წარმოჩენას სამაგისტრო ნაშრომამდე. აღნიშნული კი, ამავდროულად, შესაძლებელს გახდის გაიზომოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევასთან დაკავშირებული მიზანი და შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული, კვლევებზე ორიენტირებული შედეგებიც.

პროგრამა, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაციის საკითხებს თარგმანის, როგორც კულტურათმშორის ურთიერთობების თემატიკის მომცველი დარგის ჭრილში ფარავს. პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა მათი კოლეგიალური/საქმიანი დამოკიდებულება პროგრამასთან დაკავშირებით, რაც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა. მათთან ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულები იყვნენ ყველა იმ საკითხზე, რაც შესაძლოა სტუდენტს პროგრამის ფარგლებში დასჭირვებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნია პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პერსონალის სიყვარული და პროფესიული დამოკიდებულება ზოგადად თარგმანმცოდნეობის, საკუთარი პროფესიის/საქმიანობის მიმართ.

პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას გამოიკვეთოს მეტნაკლებად საერთო მიდგომები კვლევის მეთოდების სისტემურ სწავლებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცია: რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა განხორციელდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც საერთო იქნება სამივე მოდულისთვის და რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მასშტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განხორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები, და პრაქტიკულად გამოავლინონ ციტირება-რეფერირების სისტემების ცოდნა.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდებულია სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ლინგვისტური მიმართულების გაძლიერება (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა და ა.შ) რათა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებები ოპტიმალური თანაშეწონილობით იქნას წარმოდგენილი. ამავე მიზნით რეკომენდებულია არჩევითი ბლოკიდან

სპეციალობის სავალდებულო ბლოკში გადმოვიდეს „სკანდინავიური ენების ისტორიის“ სასწავლო კურსი.

რჩევ(ებ): სასურველია გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების სასწავლო კურსის ინგლისურენოვანი და ინგლისური ენის ისტორიასთან დაკავშირებული ლიტერატურა მოდიფიცირდეს სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციის გათვალისწინებით

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: რეკომენდებულია სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდების სისტემური შესწავლა მოხდეს ცალკე კურსის ფარგლებში, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის, სტატიის, მცირე მამუტაბიანი კვლევის ან კვლევითი პროექტის შემუშავების პროცესში სწორად დაგეგმონ და განახორციელონ კვლევის მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმები.

რჩევა: სასურველია სკანდინავისტიკის პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სტუდენტებს შესთავაზონ ფინური განათლების შესახებ საკითხები, რაც უფრო სისტემურ ხასიათს მისცემს ამ საკითხის შესწავლას და უფრო გაამრავალფეროვნებს არჩევით კომპონენტს.

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურსის- 'რუსული ენა და თარგმანი 1' წინაპირობის ნაწილში განისაზღვროს რუსული ენის ფლობის ის დონე, რაც საკმარისი იქნება კურსით დასახული მიზნის მისაღწევად და მოხდეს კურსის შინაარსით გათვალისწინებული მიზნების დივერსიფიცირება მისი ორნაწილიანი (რუსული ენა და თარგმანი (1 და 2) სტრუქტურის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, სტუდენტთათვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყოს თარგმანმცოდნეობის სფეროში არსებულ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული შინაარსის ცალკე კურსი, სადაც სტუდენტი შეძლებს სიღმისეულად გაეცნოს სფეროში არსებულ კვლევით თეორიებს, ასევე მოახდენს კვლევითი უნარების წარმოჩენას სამაგისტრო ნაშრომამდე. აღნიშნული კი, ამავდროულად, შესაძლებელს გახდის გაიზომოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევასთან დაკავშირებული მიზანი და შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული, კვლევებზე ორიენტირებული შედეგებიც.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი				
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებში კრედიტების გადანაწილება ლოგიკურია. საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილების სისტემა აგებულია კლასტერული მიდგომით, გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია 5 კრედიტი. პროგრამებზე მომუშავე გუნდის განცხადებით, კრედიტთა გადანაწილების მსგავსი მიდგომა განაპირობა კლასტერში შემავალ პროგრამებს შორის გათვალისწინებული საერთო, სავალდებულო და არჩევითი კურსების მოქნილობამ.

ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პრაქტიკული ენის სასწავლო კურსების შემთხვევაში უფრო მეტი საკონტაქტო საათებია გამოყოფილი, რაც უმნიშვნელოვანესია სამიზნე ენის წარმატებით ათვისებისათვის.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამების ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, ცალკეულ პროგრამებში გამონაკლისი შემთხვევების გარდა (იხილეთ დეტალები პროგრამების მიხედვით), როდესაც ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია: შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები, კვლევითი და ზეპირი კომპონენტის შეფასება სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად და კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები).

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში აღწერილი მიზნები გასაგებია და შეესაბამება პროგრამების საერთო მიზანს. პროგრამების ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა და ითვალისწინებს შესასწავლის კურსის შინაარსსა და სპეციფიკას. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ნაწილში აქტიურად გამოიყენება პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები ქმნიან 20 კრედიტს, სპეციალობის სავალდებულო კურსები - 75 კრედიტს და სპეციალობის არჩევითი კურსები - 25 კრედიტს. ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებში კრედიტების გადანაწილება ლოგიკურია. შესაბამისად, ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

ინგლისური სტილისტიკის სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკებში მოცემულია მხოლოდ უმაღლესი ქულები და არ არის აღწერილი თუ რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს სტუდენტმა საშუალო ან დაბალი ქულა. მაგალითად, კურსის ფარგლებში ფასდება ზეპირი პრეზენტაცია, რომლის შეფასების კრიტერიუმი არის შემდეგნაირი: '7 ქულა-შინაარსის ფლობა და კრიტიკული ანალიზი, 4 ქულა-ენობრივი გამართულობა; 2 ქულა-პაუერპოინტის ჩვენები და 2 ქულა-აუდიტორიასთან კონტაქტი და მსმენელის მიზიდვის უნარი'. ასევე, კურსის ფარგლებში ფასდება 'თეორიული თემა (10 (5+5) ქულა); თეორიული საკითხი ფასდება შემდეგნაირად: 2 ქულა -მასალის რელევანტურობა; 2 ქულა-კრიტიკული ანალიზის უნარი და 1 ქულა-ენობრივი გამართულობა'. ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია ინგლისური სტილისტიკის კურსის შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

ლექსიკოლოგიის სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკებში მოცემულია მხოლოდ უმაღლესი ქულები და არ არის აღწერილი თუ რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს სტუდენტმა საშუალო ან დაბალი ქულა. მაგალითად, კურსის ფარგლებში ფასდება ზეპირი პრეზენტაცია, რომლის შეფასების კრიტერიუმი არის შემდეგნაირი: 'პრობლემის გააზრება - 4 ქულა. წარმოდგენა - 2 ქულა, კითხვებზე პასუხი - 3 ქულა, აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება - 1 ქულა'; შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე სტუდენტმა უნდა დაწეროს '20 თეორიული საკითხი, თითოეულს ენიჭება -2 ქულა (სტუდენტმა წერილობითი სახით პასუხი უნდა გასცეს 20 შეკითხვას, რომელიც მოიცავს მთელ განვილი მასალას. ზოგი შეკითხვა მოითხოვს უფრო ვრცელ პასუხს, მაგ. 80-100 სიტყვას; ზოგ შეკითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს უფრო მოკლე, მაგ. მარტო განმარტება). შეფასების კრიტერიუმები: ფაქტობრივი მასალის ცოდნა, მასალის კრიტიკული ანალიზის უნარი, ენობრივი გამართულობა, სადა მითითებული არ არის კრიტერიუმებს შორის ქულობრივი გადანაწილებული. ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად ლექსიკოლოგიის კურსის

პრეზენტაციისა და წერიტი დავალების შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში აღწერილი მიზნები გასაგებია და შეესაბამება პროგრამის საერთო მიზანს. პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა და ითვალისწინებს შესასწავლის კურსის შინაარსსა და სპეციფიკას (მაგალითად, ინგლისური ენის ისტორიაში გამოყენებულია Algeo, John & Th. Pyle. 2010. The Origins and Development of the English Language; John Donne. ინგლისური ლიტერატურა 2- The Major Works. Oxford World's Classics, Oxford University Press 2008; სტილისტიკა- Verdonk, Peter. Stylistics. Oxford University Press, 2008). პროგრამის ინდივიდუალურობა იკვეთება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომელიც ითვალისწინებს დიდხნიან გამოცდილებას, დაკვირვებას და სწავლების კონტექსტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ინტეგრირებულია სამი მოდული: ენის თეორია, ინგლისური ლიტერატურა და ლექსიკოგრაფია. პროგრამაში 30 კრედიტი სამივე მოდულისთვის საერთო სავალდებულო კურსებს (3 თეორიული და 3 პრაქტიკული ინგლისური ენის კურსები) ეთმობა. პროგრამაში თითოეული მოდულის სავალდებულო კურსებისთვის განკუთვნილია 30 კრედიტი. არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულია 30 კრედიტი. პროგრამისათვის სავალდებულო და არჩევით კურსებში კრედიტების გადანაწილება ლოგიკურია. შესაბამისად, ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზმნებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. თუმცა, გამოვლინდა ამ კუთხით დასაზუსტებელი საკითხები ცალკეულ სასწავლო კურსებში:

ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტების ჩამონათვალში მითითებულია- ჩატარებული მცირე კვლევის პრეზენტაცია. თუმცა, არ არის აღწერილი თუ როგორ მოხდება კვლევაზე დაფუძნებული დავალების შეფასება. **ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით დეტალურად გამოჩნდეს თუ როგორ მოხდება კურსების ფარგლებში ინტეგრირებული კვლევის კომპონენტის შეფასება.**

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა არ ახლავს თან შემდეგ სასწავლო კურსებს : შექსპირის პოსტმოდერნიზმი (პროზა, დრამატურგია, თეატრი); ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ; ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი; ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დისტოპიური რომანი. **ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად ზემოთ ჩამოთვლილ კურსებში გაიწეროს პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა.**

ლექსიკური სემანტიკის კურსში ჩამოთვლილია შეფასების კომპონენტები შესაბამისი ქულობრივი გადანაწილებით, მაგრამ არ ჩანს ამ კომპონენტების შეფასების რუბრიკები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად ლექსიკური სემანტიკის კურსში გაიწეროს კომპონენტების შეფასების რუბრიკა.

ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდებში მოცემულია ზეპირი და წერიტი კომპონენტები, საიდანაც წერიტი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის მოცემული. თუმცა სილაბუსებში არ ჩანს თუ როგორ მოხდება ზეპირი კომპონენტის შეფასება. **ქსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდებულია სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად ზემოთ ჩამოთვლილ კურსებში გაიწეროს ზეპირი კომპონენტის შეფასების რუბრიკა.**

სამივე მოდულისთვის სავალდებულო საერთო პრაქტიკული ინგლისური ენის კურსებში, ინგლისური ენა 1, 2 და 3, მოცემულია იდენტური მიზნები და სწავლის შედეგები, სადაც ინგლისური ენის მისაღწევ დონედ მითითებულია C1.1. ასევე, სამივე კურსის ფარგლებში სწავლის შედეგების უნარების ნაწილში მითითებულია 'ბაკალავრი', რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა, რადგან თვითონ სწავლის შედეგის აღწერა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. კურსის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სამივე კურსში ინგლისური ენის მისაღწევი დონე უნდა განვითარდეს C1.1, C1.2 და C1.3-ით და რომ ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომაა. იმის გათვალისწინებით, რომ სამივე სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შინაარსობრივი ნაწილის განსხვავება ვერ მოხდება გარდა მისათითებელი დონეებისა- C1.1, C1.2 და C1.3, რომელიც არ ცვლის კურსის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს, **ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია ზემოთაღნიშნულ კურსების მიზნებში და სწავლის შედეგებში ტექნიკურად გასწორდეს მისათითებელი დონეები და უნარების ნაწილში გამოვლენილი ტექნიკური უზუსტობა.**

პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა და ითვალისწინებს შესასწავლის კურსის შინაარსსა და სპეციფიკას (მაგალითად, სოციოლოგიის კურსში გამოყენებული- The Routledge Handbook of Sociolinguistic Around the World, Martin J. Ball (Ed), Routledge Tayloe & Francis Group, 2010; ტექსტის ლინგვისტიკაში გამოყენებული- A. Mammadov. Studies in Text and Discourse. Cambridge Scholar Publishing. 2018. (pp. 31-56)). პროგრამის ინდივიდუალურობა იკვეთება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომელიც ითვალისწინებს დიდხნიან გამოცდილებას, დაკვირვებას და სწავლების კონტექსტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ჰუმანიტარული კომპეტენციისა და ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ითვალისწინებს 5 კრედიტს და 45 საკონტაქტო საათს (30 ლექცია, 15 სემინარი ან პირიქით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე), გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „ზოგადი ენათმეცნიერება“, სადაც 5 კრედიტი მოიცავს 60 საკონტაქტო საათს (30+30 სთ). 5 კრედიტის ფარგლებში, უცხური ენების არჩევითი (საფაკულტეტო) კურსები, ასევე მოიცავს 60 საკონტაქტო საათს სემესტრში, მხოლოდ პრაქტიკულ კურსს, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება ენის შესწავლის თანამედროვე მიდგომებს. ხაზგასმით აღსანიშნავია და პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა სასპეციალიზაციო - გერმანული ენის ფარგლებში 6 კრედიტისა და 120 საკონტაქტო საათის განსაზღვრა. სპეციალობის კურსები, მიუხედავად ლინგვისტური თუ ლიტერატურის მიმართულებებისა განსაზღვრულია 5 კრედიტით და მოიცავს სავალდებულო სტატუსის კურსების შემთხვევაში ძირითადად 60 საკონტაქტო საათს (30+30), ხოლო არჩევითი კურსების ნაწილში ვარირებს 30 (15+15) საათს, 45 (30+15) საათსა და 60 (30+30) საათს შორის. კრედიტებისა და საათების აღნიშნული ურთიერთმიმართება ლოგიკურია და ითვალისწინებს მიმართულებისა და საგნით განსაზღვრული შინაარსის სპეციფიკას, სასწავლო კურსის ფარგლებში ჩამოყალიბებულ სწავლის შედეგებს. მაგალითად, ლიტერატურის შესწავლა გულისხმობს დიდი მოცულობის მხატვრული ლიტერატურული ტექსტების გაცნობასა და დამუშავებას, შესაბამისად 5 კრედიტის ფარგლებში „უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)“ სასწავლო კურსით განსაზღვრულია 15 სალექციო და 15 სასემინარო მუშაობა, 3 საათი გამოცდისათვის, ხოლო 92 საათი დამოუკიდებელი მუშაობისთვის. სასწავლო კურსების, მათი შინაარსებისა და სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- გერმანული ლიტერატურის ისტორიის ბლოკის საგნებში: „გერმანული ლიტერატურის ისტორია: შუა საუკუნეები, ჰუმანიზმი, ბაროკო, განმანათლებლობა“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: კლასიკა და რომანტიზმი“, „XIX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურა (1880-1945)“, „უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)“ ძირითად ლიტერატურად მითითებულია გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სილაბუსის ავტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება სილაბუსის ავტორის მიერ მომზადებული ქართულენოვანი სალექციო კურსი. სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნას ასევე სილაბუსშიც, რათა არ გაჩნდეს დამატებითი შეკითხვები სტუდენტების ენობრივი კომპეტენციისა და სასწავლო მასალის შესაბამისობასთან მიმართებაში.

- სასწავლო კურსის „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ანალიზებს და ასრულებს აუდიო-ტექსტის თანმხლებ დავალებებს (მოსმენის წინ, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ (ასოციოგრამას, ილუსტრაციას, ანტიციპაციას, მოსმენილი ინფორმაციის ცხრილში შეტანას და სხვ.);“ „აკვირდება და ანალიზებს ზეპირი, ავთენტური ტექსტის სემანტიკური და სუბრასემანტიკული დონის ფონეტიკურ ფენომენებს; ფლობს გერმანული ენის საწარმოთქმო ჩვევებს“. ხოლო ამავე კურსის შეფასების კომპონენტებია: ზეპირი გამოკითხვა (სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ზეპირი ფორმით გამოიკითხება ათჯერ. შესაბამისად, სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა (10X2). ზეპირი გამოკითხვის შეფასების მეთოდებია: კითხვა-პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა); შუალედური წერილობითი გამოცდა (სტუდენტს ეძლევა თითო 5-ქულიანი 4 საკითხი) და დასკვნითი წერილობითი გამოცდა (სტუდენტს ეძლევა ოთხი 10-ქულიანი საკითხი). როგორც ზემოაღნიშნული ცხადყოფს, შეფასების არც ერთი კომპონენტი არ არის რელევანტური სტუდენტის აუდიო ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების შესაფასებლად. აკრედიტაციის ჯგუფის თვალსაზრისით, რეკომენდებულია სასწავლო კურსის „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ სილაბუსში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

- სასწავლო კურსის „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ანალიზებს და ასრულებს ვიდეოპროდუქციის თანმხლებ დავალებებს (მოსმენისა და ყურების წინ, შემდგომ, დასრულების შემდეგ)“; „მოიძიებს თეორიულ და ემპირიულ მასალას; ავთენტური აუდიო-ვიდეო-მასალის მოსმენის ბაზაზე“; „ანალიზებს პერსონაჟთა შორის არსებულ ენობრივ, კულტურულ და სოციალურ განსხვავებებს“. ხოლო ამავე კურსის შეფასების კომპონენტებია: ზეპირი გამოკითხვა (სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ზეპირი ფორმით გამოიკითხება ათჯერ. შესაბამისად, სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 20 ქულა (10X2). ზეპირი გამოკითხვის შეფასების მეთოდებია: კითხვა-პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა); შუალედური წერილობითი გამოცდა (სტუდენტს ეძლევა თითო 5-ქულიანი 4 საკითხი) და დასკვნითი წერილობითი გამოცდა (სტუდენტს ეძლევა ოთხი 10-ქულიანი საკითხი). როგორც ზემოაღნიშნული ცხადყოფს, შეფასების არც ერთი კომპონენტი არ არის რელევანტური სტუდენტის ვიდეოპროდუქციაზე მუშაობის უნარ-ჩვევების შესაფასებლად. აკრედიტაციის ჯგუფის თვალსაზრისით, რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სილაბუსში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია აღმოიფხვრას შემდეგი ტექნიკური უზუსტობები:

- სასწავლო კურსების „ტექსტი და კულტურა“ და „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში (გერმანულენოვანი სემინარით)“ სილაბუსებში სასურველია დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება. შუალედური წერითი გამოცდის ჯამური ქულა შეადგენს 20 -ს, მაგრამ სილაბუსში ვკითხულობთ „შუალედურ წერილობით გამოცდაზე სტუდენტს ეძლევა 2 6-ქულიანი თეორიული საკითხი და 1 12-ქულიანი პრაქტიკული დავალება“, რომლის ჯამი ნაცვლად 20 ქულისა, შეადგენს 24 ქულას.

- სასურველია სასწავლო კურსის „გერმანული ენის კომპლექსური წინადადების თეორია და პრაქტიკა“ სილაბუსში დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება, კერძოდ პრაქტიკუმის ფარგლებში ქულათა მაქსიმალურ რაოდენობად განსაზღვრულია 10 ქულა, ხოლო აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ ემპირიული მასალის ანალიზი შეფასდება 10 მეცადინეობაზე, თითოეული 2 ქულით, რაც ჯამში გვაძლევს 20 ქულას, ნაცვლად 10 ქულისა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტს და ითვალისწინებს დარგის საკომპეტენციო სავალდებულო სასწავლო კურსებისა და გერმანული ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში 60 საკონტაქტო საათს (30 ლექცია, 30 სემინარი), ხოლო გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში 5 კრედიტი განისაზღვრება 30 საკონტაქტო საათით (15 ლექცია, 15 პრაქტიკული). აღნიშნული გადანაწილება ლოგიკურია და ითვალისწინებს მიმართულებისა და საგნით განსაზღვრული შინაარსის სპეციფიკას, სასწავლო კურსის ფარგლებში ჩამოყალიბებულ სწავლის შედეგებს. ვინაიდან ლიტერატურის მიმართულება მოითხოვს დიდი მოცულობის მხატვრული ტექსტების დამუშავებას, შესაბამისად დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათები უფრო მეტია. 5 კრედიტის ფარგლებში გერმანული ენა 1 (ანალოგიურად გერმანული ენა 2) მოიცავს 60 საკონტაქტო საათს სემესტრში, მხოლოდ პრაქტიკულ კურსს, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება ენის შესწავლის თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სასწავლო კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა სასწავლო კურსი „სამეცნიერო მუშაობის ტექნიკები (გერმანული ენის მასალებზე) და სამაგისტრო კვლევის დიზაინი“, რომლის მიზანია სტუდენტს „მისცეს სისტემური ცოდნა ნაშრომის სტრუქტურის, მათ შორის შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, თეორიული ჩარჩოსა და კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების შესახებ; გამოუმუშავოს საკვალიფიკაციო ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადების უნარები, განუმარტოს მისი მომზადების პრინციპები და კვლევითი მოთხოვნები, რათა მათ შეძლონ დარგში აკადემიური

მოთხოვნების შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის მომზადება; მიაწოდოს კვლევის დიზაინში არსებული სიღრმისეული და სისტემური თეორიული ცოდნა, რაც გულისხმობს მართებულად თეზისის ჩამოყალიბებას, ლიტერატურის მოძიებას, ნაშრომის კონცეფციისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებას, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, ძირითადი ტექსტის დაგეგმვას და ეტაპობრივად ჩამოყალიბებას, ნაშრომის წარდგენის ტექნიკებს, კამათის ხელოვნების დაუფლებას; აღნიშნული სასწავლო კურსი III სემესტრში ამზადებს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტს IV სემესტრში შესასრულებელი სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის.

სასურველია სასწავლო კურსის „სინტაქსის თანამედროვე თეორიები“ სილაბუსში დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება, კერძოდ პრაქტიკუმის ფარგლებში ქულათა მაქსიმალურ რაოდენობად განსაზღვრულია 10 ქულა, ხოლო აღწერილობით ნაწილში კვითხულობთ, რომ ემპირიული მასალის ანალიზი შეფასდება 10 მეცადინეობაზე, თითოეული 2 ქულით, რაც ჯამში გვაძლევს 20 ქულას, ნაცვლად 10 ქულისა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტს და ითვალისწინებს ჰუმანიტარული კომპეტენციისა და ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში 45 საკონტაქტო საათს (30 ლექცია, 15 სემინარი ან პირიქით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე), გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ „ზოგადი ენათმეცნიერება“, სადაც 5 კრედიტი მოიცავს საკონტაქტო 60 საათს (30+30 სთ). 5 კრედიტის ფარგლებში, როგორც უცხოური ენების არჩევითი (საფაკულტეტო) კურსები, ასევე სავალდებულო ნორვეგიული ენა 1-6, სავალდებულო შვედური ენა 1-3 და არჩევითი ისლანდიური ენა 1-2 მოიცავს 60 საკონტაქტო საათს სემესტრში, მხოლოდ პრაქტიკულ კურსს, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება ენის შესწავლის თანამედროვე მიდგომებს. კრედიტებისა და საათების აღნიშნული ურთიერთმიმართება ლოგიკურია და ითვალისწინებს მიმართულებისა და საგნით განსაზღვრული შინაარსის სპეციფიკას, სასწავლო კურსის ფარგლებში ჩამოყალიბებულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების, მათი შინაარსებისა და სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- სავალდებულო სასწავლო კურსის „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად (და სხვა სასწავლო მასალად) მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რიდერი და ინტ. რესურსი, როგორცაა Algeo, John & Th. Pyle. 2010. The Origins and Development of the English Language; Rastorguyeva, T. 2003, A History of English, Moscow; Lehmann, W., & J. Slocum (eds.) A Grammar of Proto-Germanic, on-line version; Reader in Germanic Philology, compiled by Nino Daraselia, ასევე ძველი გერმანიკული ტექსტები (www.germanic.ge). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე

ან/და სასწავლო კურსზე დაშვებისათვის სტუდენტს არ მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა. ამავდროულად აღნიშნული სილაბუსით, პრაქტიკულ დავალებებად მოიაზრება გუთური ტექსტების კითხვა, ვფიქრობთ ნაკლებად რელევანტურია, იმის გთვალისწინებით, რომ სკანდინავიური რუნული ანბანის სახეობას განეკუთვნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია სასწავლო კურსის „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ მოდიფიცირება და მისი მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსისა და შეფასების მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

- სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მიზანია „თარგმანის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ ფართო ცოდნისა და სწორი მეთოდოლოგიური ბაზის“ გაცნობა, ხოლო კურსის სწავლის შედეგებია - „სტუდენტი დამოუკიდებელად მუშაობს პრაქტიკულ დავალებაზე – სათარგმნ ტექსტებზე“; „ადარებს ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტს“; „ადგენს ლინგვისტურ ეკვივალენტობას“. აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად კი გთვალისწინებულია შემდეგი პრაქტიკული დავალებები: „ონომასტიკური ლექსიკური ერთეულების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან“; „იდიომების თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან“; „ზღაპრის თარგმნა ინგლისური და რუსული ენებიდან“, რაცა არარელევანტურია სკანდინავიური ფილოლოგიის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში (სადაც სასპეციალიზაციო ენები არის ნორვეგიული და შვედური). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ან/და სასწავლო კურსზე დაშვებისათვის სტუდენტს არ მოეთხოვება ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში 70 კრედიტი სავალდებულო კურსებს და 20 კრედიტი არჩევით კურსებს ეთმობა. პროგრამისათვის სავალდებულო და არჩევით კურსებში კრედიტების გადანაწილება ლოგიკურია. არჩევითი კურსების შეთავაზებისას გამოყენებულია კურსები სხვა პროგრამებიდანაც (მხატვრული თარგმანის კრიტიკა (პროგრამიდან: ‘თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა’); საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში (პროგრამიდან: ‘ახალი და უახლესი ისტორია’); ენათა კონტაქტები (პროგრამიდან: ‘ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება’); პირველი მსოფლიო ომის ისტორია (სამაგისტრო პროგრამიდან: ‘ახალი და უახლესი ისტორია’); მეორე მსოფლიო ომის ისტორია (სამაგისტრო პროგრამიდან: ‘ახალი და უახლესი ისტორია’); ‘ქართულ-ევროპული ლიტერატურული და მთარგმნელობითი ურთიერთობები’ (პროგრამიდან: ‘თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა’)). ლოგიკურად არის გადანაწილებული სასწავლო კურსების

კრედიტების რაოდენობა კურსის შინაარსის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროგრამაში ყველა სავალდებულო კურსი არის 5 კრედიტიანი ერთი კურსის გარდა- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სკანდინავიის ქვეყნებში, რომელი არის 10 კრედიტიანი კურსი, რომელიც როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აგვისსნა განპირობებულია კურსის სპეციფიკით. სასწავლო კურსის მიზანია: 'სტუდენტთათვის სკანდინავიის ქვეყნების ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლების სწავლება, ამ სისტემათა ორგანიზაციისა და მენეჯმენტის, აგრეთვე ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის პოლიტიკის თაობაზე უახლესი ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდება; ჯანდაცვისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების შესახებ ცოდნის მიღება და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებულად გამოყენების უნარის განვითარება'. კრედიტების შესაბამისია საკონტაქტო საათები (4 საკონტაქტო საათი კვირაში).

სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზომებით და ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე ('განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ქვეყნების ჯანდაცვის პოლიტიკას, მასთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს'; 'აცნობიერებს სკანდინავიური ფილოსოფიური აზრის მთავარ წარმომადგენელთა ფილოსოფიური შეხედულებებისა და ცალკეული კონცეფციების არსებით შინაარსს, მათ ამოსავალ პრინციპებს, მნიშვნელობას დასავლური ფილოსოფიური აზრის ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტისათვის'.)

პროგრამის ძირითად სავალდებულო და არჩევით კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა და ითვალისწინებს შესასწავლის კურსის შინაარსსა და სპეციფიკას (მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნების ისტორია და კულტურა 1- Winroth, A. (2014). Art and Letter. In A. Winroth, The Age of the Vikings (213-241). Princeton: Princeton University Press; გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში- Knutsen, Oddbjørn P. (ed.), 2017 "The Nordic Models in Political Science. Challenged, but Still Viable?, Bergen).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობების (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) პროგრამის კურსთა ცალკეული შედეგები ერთიან სახედ პროგრამის საერთო შედეგებში იკვრება (მაგ. კურსის 'თარგმანის ლინგვისტიკა 2' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, სტუდენტი ახდენს თარგმანის ლინგვისტიკის მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებას და უსადაგებს არსებულ თეორიებს რეალურ სიტუაციებს; რაც პროგრამის შედეგში შემდეგნაირად აისახა:

თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებს, უსადაგებს მათ რეალურ სიტუაციებს). პროგრამის კურსებში გათვალისწინებული შინაარსი, იმავე კურსების შედეგთან მიმართებით არის წარმოდგენილი (მაგ. კურსი 'თანმიმდევრული თარგმანი 2' - მე-2 კვირის თემა: ბილინგვური აზროვნების გამომუშავების საკითხზე საჯარო გამოსვლის თარგმანი ინგლისურიდან ქართულად (რესურსით -YouTube.com. Last visit: 5/4/22 და შემდეგი აქტივობით -სტუდენტები რიგ-რიგობით თარგმნიან ვიდეოჩანაწერს ინგლისურიდან ქართულად; ხდება შეცდომების, სირთულეების განსაზღვრა და მათზე ერთობლივად მუშაობა (კურსის სილაბუსი)). ეს კი უკავშირდება კურსის შედეგს - თანმიმდევრული თარგმანის შესრულებისას მაგისტრანტი იყენებს მოსმენის, ტექსტის ინტერპრეტაციის, დამახსოვრების, ჩანაწერების გაკეთების, საჯარო გამოსვლის უნარებს (კურსის სილაბუსი)). აქვე უნდა აღინიშნოს პროგრამის ერთ-ერთი კურსის 'ინგლისური ენა და თარგმანი 1' შინაარსის, ლიტერატურის შედეგებთან მიმართების საკითხიც. კურსის შედეგები უნარების ნაწილში წარმოაჩენს, რომ სტუდენტი - იყენებს თარგმანმცოდნეობის კვლევის ახალ მეთოდებს; კრიტიკულად ანალიზებს ინგლისელ, ქართველ და სხვა უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს (კურსის სილაბუსი). თუმცა, ძირითად ლიტერატურად მითითებულია ინგლისური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო და კურსის შინაარსიც, შესაბამისად პრაქტიკული ხასიათისაა. კურსის შინაარსისა და შედეგების ურთიერთმიმართების საკითხი იკვეთება კურსშიც 'ინგლისური ენა და თარგმანი 2' . კერძოდ, კურსის შინაარსი მოიცავს ინგლისური ენის პრაქტიკული კომპონენტების სწავლებას და მხატვრული ტექსტების ანალიზს, თუმცა კურსით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - მაგისტრანტი გამოყოფს ინგლისური ენისა და თარგმანის სწავლება-სწავლის პრობლემური საკითხების გადაჭრის ინოვაციურ გზებს - შინაარსის ნაწილში (თემატურად, სწავლების მეთოდით/აქტივობებით) არ იკვეთება. ხოლო კურსის 'ინგლისური ენა და თარგმანი 3' შედეგების მიხედვით: მაგისტრანტი ითვისებს ენათმეცნიერების, თარგმანისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებს და აღწერს სათანადო პროცედურებს. კურსის შინაარსი, ძირითადად, პრაქტიკულია და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულობა ნაკლებად არის წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მეტად გამოიკვეთოს კავშირი აღნიშნული კურსების შინაარსსა და შედეგებს შორის.

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გადანაწილება იდენტურია ყველა კურსისთვის (5 ECTS). მოცემული საკითხი ექსპერტთა მხრიდან გაქდერდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისასაც. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამებში კრედიტთა მსგავსი ხასიათის გადანაწილება განსაზღვრა კლასტერში შემავალ პროგრამებს შორის გათვალისწინებული საერთო/არჩევითი კურსების მოქნილობამ და სტუდენტთა მხრიდან სასურველი მიმართულებების კურსების არჩევის უფრო მეტად მორგებამ. პროგრამის კურსებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების გადანაწილება კურსის შინაარსის გათვალისწინებით

არის წარმოდგენილი (მაგ. თეორიული ხასიათის კურსი 'ქართული თარგმანის ისტორია' - ლექცია: 30 სთ; სემინარი: 15 სთ და პრაქტიკული მიმართულების კურსი 'იურიდიული ტექსტის თარგმანი 1' - ლექცია: 15 სთ, სემინარი: 30 სთ.). ხოლო პროგრამაში შესული კურსებით გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები იდენტური თანაფარდობით, რაც ერთი მხრივ, შესაძლოა განპირობებული იყოს კრედიტთა არსებული რაოდენობით გადანაწილებითაც. თუმცა, ასევე არის კურსები, რომლებიც განსხვავდება მსგავსი (45/77) საათობრივი თანაფარდობის მქონე კურსებიდან (მაგ. კურსი 'ინგლისური ენა C 1.1; და 1.2' საკონტაქტო - 60 სთ, დამოუკიდებელი - 63 სთ).

თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, მასში შემავალი კურსების სახით, გულისხმობს თარგმნის/თარგმანის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების კომპეტენციათა დადასტურებას. შესაბამისად, კურსების ფარგლებში მოიაზრება სტუდენტების პრაქტიკული თარგმნითი დავალებებით სწავლება. მაგალითად, კურსის 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 1' შედეგების მიხედვით სტუდენტი ქმნის გამართულ თარგმანის ტექსტს (დარგობრივს), ხოლო შუალედურ აქტივობაში გათვალისწინებულია სტუდენტის მხრიდან, სასემინარო დავალებების ფარგლებში დამოუკიდებლად მომზადებული მასალისა და დარგობრივი თარგმანის შესრულება (რაც ფასდება მაქს. 2 ქულით). ასევე კურსში "შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი 2". აღნიშნული აქტივობა კურსის ფარგლებში ჯგუფური განხილვით ფასდება, თარგმანისთვის შემუშავებული შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები კი სილაბუსში არ არის წარმოჩენილი. მსგავსი სურათი იკვეთება ამავე კურსით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგის გაზომვის თვალსაზრისითაც, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტი - ქმნის პოლიტიკური და მედია ტერმინოლოგიის საკუთარ ლექსიკონს და ივითარებს საინფორმაციო მასალის წვდომის უნარს (კურსის სილაბუსი). მოცემული შედეგის გაზომვა, თუ როგორ ფასდება პოლიტიკური და მედია ტერმინოლოგიის ლექსიკონის წარმოება სტუდენტის მხრიდან, ასევე არ არის გამოკვეთილი. ამავე პროგრამის სხვა კურსიც 'ინგლისური ენა და თარგმანი 2' თეორიული ხასიათის შედეგებთან ერთად წარმოაჩენს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ შედეგს, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტი: შინაარსობრივ პარამეტრთა საფუძველზე ანალიზებს და ქმნის ენობრივად, სტილისტურად და სემანტიკურად გამართული თარგმანის ტექსტს; თუმცა კურსი ამავე კრიტერიუმებით (ენობრივად, სტილისტურად და სემანტიკურად) არ ზომავს შედეგს. აღნიშნულ სილაბუსში უფრო მეტად აქცენტირებულია სტუდენტის მხრიდან კომპეტენციის დადასტურება ფართო სახის ფორმულირებით - პასუხი არის სრული; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძველიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. თეორიული და პრაქტიკული უნარების მომცველ კურსებში, ხშირ შემთხვევაში, იდენტურად არის მოცემული ქულობრივი შეფასების ვერბალური ახსნა (მაგ. კურსის 'ინგლისის კულტურა და ისტორია'-ის შეფასების კომპონენტში: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად

ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა), სტუდენტი მსგავსად ფასდება პრაქტიკული კურსშიც. მაგ. 'თანმიმდევრული თარგმანი 2'). პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა მხრიდან უცხო ენის ფლობის მნიშვნელობა განხილულია ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის შენარჩუნების კონტექსტში (მაგალითად, კურსის 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 1' ერთ-ერთი მიზანია - მაგისტრანტს შეასწავლოს ინგლისური ენა საჭირო დონეზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის დაოსტატებას თარგმანში, რათა საქართველოში შენარჩუნებული იქნას მთარგმნელობითი საქმიანობის ტრადიცია). აქვე უნდა აღინიშნოს იმ კურსების პრაქტიკული უნარების შეფასების საკითხიც, რომლებიც თეორიულ თემატიკასთან ერთად ფარავენ ენის კომპეტენციების პრაქტიკული სწავლების, ენის უნართა განვითარების/გაღრმავების ასპექტებსაც (მაგ. 'ინგლისური ენა და თარგმანი (1,2 და 3' რომლის ერთ-ერთი მიზანია - მაგისტრანტს საფუძვლიანად შეასწავლოს პრაქტიკული ინგლისური ენა; 'რუსული ენა და თარგმანი (1 და 2)', რომლის ერთ-ერთი მიზანია - მაგისტრანტს საფუძვლიანად შეასწავლოს რუსული ენა და გამოუმუშავოს რუსულად ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული მეტყველებისა და წერის უნარი (კურსის სილაბუსი)). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კურსები არის კომბინირებული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული, აქაც, შეფასებისას მათში თეორიული მასალის ცოდნის გამოკვეთა მეტად ხდება, შესაბამისი ქულობრივი შეფასების კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს პროგრამის კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული თარგმანის დავალებების, ასევე უცხო ენის ფლობის ძირითად უნარებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმთა დივერსიფიცირება. მაგალითად, შესრულებული თარგმანის ენობრივი, სტილისტური, სემანტიკურად გამართულობის, თარგმანის დედანთან ადეკვატური მიმართების, თარგმანის სიზუსტის, მთარგმნელის მხრიდან დედნის ინტერპრეტირების ინტენსიურობის, დედნის ავტორის (მხატვრული ტექსტების შემთხვევაში) და ტექსტის ზოგადი სტილის (საგაზეთო და სხვ.) შენარჩუნების მაჩვენებელთა და სხვ.; ასევე, ენის ოთხი ძირითადი უნარის - წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა შეფასების კრიტერიუმთა გათვალისწინებით. აღნიშნული კი შესაძლებელს გახდის კურსებით დასახული შედეგები მეტი სიზუსტით გაიზომოს.

თარგმანმცოდნეობის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია თანამედროვე პრაქტიკოსი და სფეროში გამორჩეული მათარგმნელები, რაც პროგრამას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს. პროგრამაში შემავალი კურსები სფეროში არსებული თეორიული/პრაქტიკული სახის გამოცდილების ანალიზზეა ორიენტირებული და ლიტერატურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი - მაგ. კურსი 'ქართული თარგმანის ისტორია' - უახლესი გამოცემა 2005წ, ხოლო ყველაზე ძველი გამოცემა 1959 წლით არის დათარიღებული. აღნიშნულის საპირწონედ, აქვე აღვნიშნავთ, რომ კურსი 'ინგლისური ტრაგიკომედია და ვეფხისტყაოსანი' ასევე თემატიკას მიმოიხილავს ისტორიულ ჭრილში, თუმცა ლიტერატურა წარმოდგენილია შედარებით ახალი, 2003, 2016 წლების გამოცემებით, რაც ამ მხრივ, დადებით ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს.

კურსებში, სადაც თარგმანი არ განიხილება ისტორიულ ჭრილში და სადაც წარმოჩენილია უახლესი თეორიების გაცნობა, ლიტერატურა, გამოცემის შესაბამისი თარიღით ნაკლებად არის წარმოდგენილი (მაგ. კურსების 'თარგმანის ლინგვისტიკა (1 და 2)' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით - სტუდენტი ახდენს თარგმანის ლინგვისტიკის მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებას და უსადაგებს არსებულ თეორიებს რეალურ სიტუაციებს; სილაბუსით მითითებული უახლესი ლიტერატურა დათარიღებულია 2005 წლით, ხოლო ყველაზე ძველი - 1958 წლით (პრაქტიკული/კომბინირებული ხასიათის სახელმძღვანელო) და 1975 წლით (თეორიული ხასიათის სახელმძღვანელო); კურსის 'თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით მაგისტრანტი იყენებს კვლევის ახალ მეთოდოლოგიას, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიურ აპარატს და საინფორმაციო ტექნოლოგიებს როგორც მთარგმნელი და თარგმანმცოდნე (კურსის სილაბუსი). მოცემულ კურსში მითითებულია 2017 წელს გამოცემული ლიტერატურა (პრაქტიკული თარგმანები), ყველაზე ძველი კი 1951 წლით დათარიღებული (თეორიული ხასიათის სახელმძღვანელო). მსგავს კონტექსტში შეიძლება აღინიშნოს კურსი 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი (1,2 და 3)', რომელიც გარდა მასმედიასთან დაკავშირებული საკითხებისა, რაც ერთი მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს მასმედიაში არსებულ ახალ/უახლეს მონაცემებზე მუშაობასაც, გულისხმობს დარგობრივი თარგმანის საფუძვლებისა და ძირითადი მიმართულებების სწავლებას (კურსის სილაბუსი). შესაბამისად, კურსით გათვალისწინებული ლიტერატურა დათარიღებულია - უახლესი 2003წ, ხოლო ყველაზე ძველი კი 1979 წლით. ასევე, კურსებში 'ინგლისური ენა და თარგმანი (1 და 2)' ლიტერატურის გრაფაში მითითებულია 1998 წლით დათარიღებული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომლის 2019 წლის ვერსიაც დღეს ღიად და ადვილად არის ხელმისაწვდომი. მოცემული მაგალითები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ პროგრამით დასახული ერთ-ერთი შედეგის გათვალისწინებითაც, რომლის მიხედვითაც - თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში მთავარი კონცეფციების, უახლესი თეორიების და კვლევითი პარადიგმების (პრინციპების და მეთოდების) იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, იყენებს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში არსებული თეორიებს, უსადაგებს მათ რეალურ სიტუაციებს (გვ. 2. პროგრამა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში - 'თარგმანის ლინგვისტიკა (1 და 2)', 'თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი', 'ინგლისური ენა და თარგმანი (1 და 2)' და 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი (1,2 და 3)' მნიშვნელოვანია მიეთითოს განახლებული/უახლესი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;

- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია ინგლისური სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის კურსების ღია ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკებში დაზუსტდეს კრიტერიუმებს შორის ქულობრივი განსხვავებები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია ლინგვისტური პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკის კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის კუთხით დაზუსტდეს ინტეგრირებული კვლევის კომპონენტის შეფასების რუბრიკა;
- რეკომენდებულია შემდეგ სასწავლო კურსებში: შექსპირის პოსტმოდერნიზმი, ინგლისური დრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, ინგლისური რომანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დისტოპიური რომანი, დაზუსტდეს პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად
- რეკომენდებულია ლექსიკური სემანტიკის კურსში შეფასების კომპონენტებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი ქულობრივი გადანაწილებით სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსებში დაზუსტდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდებში მოცემული ზეპირი კომპონენტის შეფასების რუბრიკა სტუდენტთა ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3 სასწავლო კურსების მიზნებში და სწავლის შედეგებში ტექნიკურად გასწორდეს მისათითებელი დონეები C1.1, C1.2 და C1.3, რომელიც არ ცვლის კურსის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს; ასევე, გასწორდეს სწავლის შედეგების უნარების ნაწილში მითითებული 'ბაკალავრი', რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა, რადგან თვითონ სწავლის შედეგის აღწერა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდებულია სასწავლო კურსების „აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები“ და „ავთენტური ვიდეო ფილმების ტექსტების გაგება და ანალიზი“ სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტების მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

რჩევ(ებ)ი:

1. სასურველია, გერმანული ლიტერატურის ისტორიის ბლოკის საგნებში: „გერმანული ლიტერატურის ისტორია: შუა საუკუნეები, ჰუმანიზმი, ბაროკო, განმანათლებლობა“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: კლასიკა და რომანტიზმი“, „XIX საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია“, „გერმანული ლიტერატურის ისტორია: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურა (1880-1945)“, „უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)“ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსი (მაგ. სალექციო კურსი), რათა სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო მასალასთან.
2. სასურველია სასწავლო კურსების „ტექსტი და კულტურა“ და „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში (გერმანულენოვანი სემინარით)“ სილაბუსებში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.
3. სასურველია სასწავლო კურსის „გერმანული ენის კომპლექსური წინადადების თეორია და პრაქტიკა“ სილაბუსში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევა:

სასურველია სასწავლო კურსის „სინტაქსის თანამედროვე თეორიები“ სილაბუსში ტექნიკურად დაზუსტდეს შეფასების კომპონენტებში ქულების გადანაწილება.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ მოდიფიცირება და მისი შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ მოდიფიცირება და მისი მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსისა და შეფასების მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მნიშვნელოვანია, კურსებში ‘ინგლისური ენა და თარგმანი 1’, ‘ინგლისური ენა და თარგმანი 2’ და ‘ინგლისური ენა და თარგმანი 3’ მეტად გამოიკვეთოს კავშირი კურსებით გათვალისწინებულ შინაარსსა და შედეგებს შორის;
- მნიშვნელოვანია, მოხდეს პროგრამის კურსებით განსაზღვრული პრაქტიკულ, თარგმანთან დაკავშირებული დავალებების, ასევე უცხო ენის ფლობის ძირითად უნარებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმთა შემუშავება და გამოკვეთა;
- პროგრამით გათვალისწინებულ კურსებში - ‘თარგმანის ლინგვისტიკა (1 და 2)’, ‘თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი’, ‘ინგლისური ენა და თარგმანი (1 და 2)’ და ‘მასმედიისა

და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი (1,2 და 3)' მნიშვნელოვანია მიეთითოს განახლებული/უახლესი ლიტერატურა.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი შვიდი საგანმანათლებლო პროგრამა საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო შინაარსობრივი ბმით ხასიათდება. მოცემული პროგრამების ფარგლებში მოიაზრება საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ფართო ცოდნის სამაგისტრო დონეზე გაღრმავება. საბაკალავრო საფეხურის პროგრამები ზოგად წინაპირობად ერთიანი ეროვნული გამოცდების, ხოლო სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას წარმოაჩენენ (მაგ. ინგლისური ფილოლოგია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის). პროგრამები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაეცნოს პროგრამაზე მისაღებ სასპეციალიზაციო გამოცდის დეტალებს (მაგ. გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა). კლასტერში შემავალი პროგრამები, დაშვების წინაპირობები ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით კი ის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანებით (გვ.40. თვითშეფასების დოკუმენტი). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ექსპერტთა მხრიდან გაჟღერდა დებულების შესახებ, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ მითითებული სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

პროგრამათა წინაპირობის ზუსტად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მათი შედეგების გათვალისწინება, რაც კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამების

შედეგების ნაწილში შესაბამისი სპეციფიურობით: თეორიული, პრაქტიკული და თარგმნითი კომპეტენციების მომცველი კომპონენტებით ვლინდება. მოცემული შვიდი პროგრამიდან ხუთი, შედეგებში სხვა კომპეტენციებთან ერთად, მოიაზრებს სტუდენტთა მხრიდან თარგმნის კომპეტენციათა პრაქტიკულ დონეზე განვითარებასაც. მაგალითად, საბაკალავრო საფეხურის პროგრამები: 'გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა' - 2.1. თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში; 'სკანდინავიური ფილოლოგია' - 1. თარგმნის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული და შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს ლექსიკონების გამოყენებით; 'ინგლისური ფილოლოგია' - მითითებების საფუძველზე, დამოუკიდებლად აწარმოებს განათლების ამ საფეხურით გათვალისწინებულ მცირე მასშტაბის, ელემენტარულ, პრაქტიკულ ან თეორიულ კვლევაზე/ თარგმანზე დაფუძნებულ დავალებას; სამაგისტრო საფეხურის პროგრამები: 'გერმანული ფილოლოგია' - 2.1. თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან თეორიულ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, საკვლევ მასალას, ითვალისწინებს რა კულტურების განსხვავებას აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში ასრულებს თარგმანს; 'თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები' - 1. მაგისტრი თავისუფლად მოქმედებს შესაბამის პროფესიულ გარემოში და წარმატებით ართმევს თავს ინგლისურ-ქართულ და ქართულ- ინგლისურ თარგმანს. დანარჩენი ორი პროგრამა (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, სკანდინავისტიკა) კი თარგმნის კომპეტენციებს პრაქტიკულ ჭრილში არ ფარავს.

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი კლასტერული პროგრამების სწავლების ენა არის ქართული, ისინი დაშვების წინაპირობის ნაწილში წარმოაჩენენ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროგრამებზე მიღების შესაძლებლობასაც, რაც შემდეგი საერთო ფორმულირებით არის მოცემული: უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (მაგ. 'თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი ურთიერთობების' პროგრამა). მოცემულ პროგრამათა წინაპირობები ეხმიანება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვას მოცემული ზოგადი ნარატივით, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება გახდეს სწორედ იმ პროგრამებში, რომლებიც მიზნებში და შედეგებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოიაზრებენ თარგმნის პრაქტიკულ კომპეტენციათა განვითარებას, ასევე ცალკეული პროგრამების შედეგების გათვალისწინებით, ქართულ ენაზე პროფესიულ/დარგობრივ დონეზე მსჯელობას წარმოაჩენენ (მაგ. 'ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა' - ანალიზებდეს ლიტერატურულ (მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები) და არალიტერატურულ (პრესის, ბიზნესის, იურიდიული) ტექსტებს ენობრივ-სტილისტურად და ახდენდეს მათ ინტერპრეტაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან ინგლისურ ენაზე; შეეძლოს ინგლისურ და ქართულ ენაზე მათი წარდგენა (უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით), ქართულ ენაზე თარგმნა და შინაარსის რეპროდუცირება, (გვ.1 პროგრამა); 'გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა' - შედეგი 2.1. ქმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს გერმანულსა და ქართულ ენებზე,

მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს ლოგიკურად და არგუმენტირებულად, იყენებს შესაბამის დარგობრივ ტერმინებს (გვ.3 პროგრამა)). გარდა აღნიშნულისა, პროგრამები მოიცავენ ისეთ კურსებს, რომლებიც ორიენტირდებიან ქართული ენის გამოყენებაზე სამიზნე ენის სხვადასხვა კომპონენტთა შესწავლისას (მაგ. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსი 'აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები', რომლის ერთ-ერთი შედეგის მიხედვითაც სტუდენტი - ადარებს და აანალიზებს ქართული და გერმანული ენის ფონეტიკურ ფენომენებს, ინტერფერენციულ მოვლენებს; ასევე გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი არჩევითი კურსი 'ფსიქოლინგვისტური თეორიები გერმანულ ენათმეცნიერებაში' შედეგებში გულისხმობს: სტუდენტი დისკუსიის დროს ეყრდნობა მხოლოდ არგუმენტებს, რაციონალურად უდგება კოლეგის შენიშვნას... უცხოელ თანაკურსელთან ურთიერთობისას ამოდის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიდან. დიალოგის პრინციპების დაცვით.). უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერში მოცემული პროგრამები, არჩევითი კურსების ფარგლებში სტუდენტებს სხვა ენებთან ერთად სთავაზობს ქართულის, როგორც უცხოური ენის კურსებსაც, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან შერჩეული პროგრამის წარმატებით დაძლევის შესაძლებლობის მხრივ, პროგრამათა ქართულ ენაზე ფუნქციონირების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე არ ფლობს ქართულ ენას, თუმცა სურს სასურველ პროგრამაზე ჩარიცხვა, მას უნივერსიტეტი სთავაზობს ქართული ენის კურსებს, რაც მეტად ღირებულია და უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებას, მასზე ორიენტირებულობას გამოხატავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ენების ცენტრის ფარგლებში შეთავაზებული ქართული ენის კურსები, კრედიტთა გადანაწილების მიხედვით (თითოეული დონე - 5 კრედიტი) მოითხოვენ მინიმუმ ორი სემესტრის გავლას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აირჩევს ქართული ენის შესწავლას, მან უნდა ისწავლოს საბაზისო ქართული ენის ცოდნის შემთხვევაში ორი, ხოლო ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში ექვსი სემესტრის განმავლობაში, რამაც გარკვეულწილად, შესაძლოა შეაფერხოს სასწავლო დროის პროდუქტული და მოქნილი სახით გადანაწილება. მოცემული საკითხი განსაკუთრებით მიემართება იმ პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც შედეგებში თარგმნის პრაქტიკულ კომპონენტებს ფარავენ, ასევე ქართულ ენაზე პროფესიულ/დარგობრივ დონეზე მსჯელობას, რაც ქართული ენის მინიმუმ ბ2.2 დონის ფლობას მოითხოვს შემსწავლელისგან. კლასტერის ფარგლებში მოცემული პროგრამები, თავისი შედეგების აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მოითხოვენ ქართული ენის ისეთ დონეზე ფლობას, რაც აუცილებელია პრაქტიკული თარგმანის ჯეროვნად შესრულებისთვის, ასევე როგორც პროგრამებით არის გათვალისწინებული, ქართულ ენაზე დარგობრივ თემებზე მსჯელობისთვის. მოცემული საკითხი აღინიშნა პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისასაც. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის თქმით, იმისათვის, რომ სტუდენტმა შეასრულოს კარგი თარგმანი, ის ქართულ ენას უნდა ფლობდეს ისე, როგორც მშობლიურს, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ მათ ჯერ აქ ჰქონიათ უცხოელი სტუდენტისთვის მოცემულ პროგრამებზე სწავლების შემთხვევა და უცხოელი სტუდენტის მხრიდან პრაქტიკული

თარგმანის (ინგლისურიდან ქართულად და პირიქით) შესრულების საკითხიც, შესაბამისად, არ დასმულა. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით კი, წინაპირობათა ნაწილში, სადაც საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, იგულისხმება უცხო ქვეყნის ქართველენოვანი მოქალაქე, რომლის ქართული ენის ფლობის დონის (მინ ბ2.2.) დადასტურებას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტში მოქმედი ენების ცენტრი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ასეთ სტუდენტებს ისინი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით იღებენ. უნდა ითქვას, რომ დეტალები, უცხო ქვეყნის ქართველენოვანი და არა უცხოენოვანი მოქალაქის მიღების შემთხვევაში, მათთვის ქართული ენის დონის ფლობის გამოცდის ჩატარების შესახებ აკრედიტაციისთვის მოწოდებულ დოკუმენტაციაში გარკვევით არ ჩანს, რამაც გამოიწვია მოცემულ საკითხზე ყურადღების გამახვილება ექსპერტთა მხრიდან. შესაბამისად, აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით (კლასტერში მოცემული 7 პროგრამიდან 6 დაშვების წინაპირობაში წარმოაჩენს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესაძლებლობას), იმისათვის, რომ პროგრამებით დასახული შედეგები პროგრამებზე ჩარიცხული ნებისმიერი სტუდენტისთვის თანაბრად იყოს მისაღწევი, ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მეტი სამართლიანობისა და გამჭვირვალობისთვის და მოცემულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის უცხო ენის მატარებელ სტუდენტთა ინტერესების უფრო მეტად გათვალისწინებისთვის, მნიშვნელოვანია - ისეთ პროგრამებში, რომლებიც შედეგებში თარგმნის პრაქტიკულ კომპონენტებს, ასევე ქართულ ენაზე დარგობრივ დონეზე მსჯელობას დეკლარირებენ, უცხო (უცხო ენის მატარებელ) ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვისთვის არსებულ ზოგად წინაპირობასთან ერთად, დამატებით ფორმულირდეს მათი ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონეც, ან დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება ტერმინში - 'უცხო ქვეყნის მოქალაქე'. აღნიშნული, ამასთანავე, უფრო ნათელს გახდის უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხო ენის მატარებლის შემთხვევაშიც) სტუდენტის მხრიდან პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ქართული ენის არჩევითი კურსების ლოგიკური რაოდენობით არჩევის პერსპექტივასა და შექმნის სწავლის სასურველი მიმართულებით დაგეგმვის მეტ შესაძლებლობას. უნივერსიტეტის მიერ კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. მისაღებ სტუდენტთა კვოტა პროგრამათა სპეციფიკის გათვალისწინებით არის დადგენილი, რაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისასაც დადასტურდა. აღნიშნული, სხვა რიცხობრივ მონაცემებთან ერთად დასტურდება აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციითაც (დანართი 1. კლასტერისთვის რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის 13.07.2022).

ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს ფარგლებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ დრომდე უნივერსიტეტს არ ჰქონია პრეცედენტი აღნიშნულ პროგრამებზე უცხო ენოვანი სტუდენტების ჩარიცხვისა. თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევენ, ქართული ენის შესაბამისად ცოდნის დადასტურების შემთხვევაში. სწორედ, აღნიშნულის

გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მეტად დაზუსტდეს ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამა დაშვების წინაპირობაში აყენებს ზოგადი ფორმულირებით მოცემულ ფართო შესაძლებლობას იმ მსურველთათვის, ვინც ერთიანი ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს. აღნიშნული კი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

- წინამდებარე პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულის შესაბამისად, მოცემული წინაპირობა გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, რის შესახებ ინფორმაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საჯაროდ წარდგენილი დოკუმენტებითაცაა ხელმისაწვდომი. მოცემული ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, თუმცა სტუდენტს ასევე ეძლევა ინგლისურენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობაც, რაც ერთი მხრივ, ეხმარება პროგრამის ერთ-ერთ მიზანსაც - სტუდენტი აღჭურვოს სამიზნე ენის კომპეტენციის B2+ ზე (Independent User) სხვადასხვა მიმართულების თემატიკასთან ინტეგრირებით. აღნიშნული მარკერით, დადებითად იკვეთება პროგრამის საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაც, რაც სტუდენტთათვის ასევე ქმნის სწავლის სამაგისტრო საფეხურზე გაგრძელებისთვის საჭირო ლოგიკური ბმის შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით დეკლარირებული რამდენიმე შედეგის გათვალისწინებით, სტუდენტი - ადგენს გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკური და სტილისტური მოვლენების მსგავსებასა და განსხვავებებს ინგლისურსა და მშობლიურ ენებში; მიმოიხილავს, მსჯელობს, ანალიზებს და წარადგენს ქართულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის ძირითად ეტაპებს (გვ.3 'ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა'). აღნიშნული, შესაძლოა, მიემართოს პროგრამის შედეგის მიღწევისთვის ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის დაზუსტების საჭიროებას, რაც მნიშვნელოვანია, უცხო ქვეყნის მოქალაქის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში შესაბამისად ფორმულირდეს, რაც მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას მეტად გამჭვირვალესა და სამართლიანს გახდის. ეს კი, სტუდენტის მხრიდან, სასწავლო კურსების შესაბამისი კომბინაციით არჩევისა და პროცესის უკეთ დაგეგმვის შესაძლებლობას შექმნის, რაც კიდევ ერთი ინდიკატორი იქნება პროგრამის სტუდენტზე მეტი ორიენტირებულობის გამოსაკვეთად. იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის

ფლობის შესაბამისი დონეც, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები - პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა მასზე დაშვების წინაპირობებს სახავს შემდეგი ფორმულირებებით: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში:

1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;
2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;
3. განათლება;
4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.

ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში.

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- სასპეციალიზაციო გამოცდა, რომელიც ტარდება სპეციალობების მიხედვით, ინგლისური ენის თეორიასა და ლიტერატურაში/ლექსიკოგრაფიის თეორიასა და ისტორიაში.
- ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მოცემული კომპონენტები დეტალური, სწავლების საფეხურის შესაბამისი და ინფორმაციულია, რაც ნათელს ხდის ამავე პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა (პროგრამა იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ინგლისური ენა განიხილება არა როგორც მხოლოდ პრაქტიკულად დასაუფლებელი სასწავლო საგანი (ამას ემსახურება მისთვის გამოყოფილი 15 კრედიტი, რომლის დამლევს შემდეგაც მაგისტრანტის პრაქტიკული ცოდნა ინგლისურ ენაში უნდა პასუხობდეს საერთო ევროპული ჩარჩოს C1 (Proficient Use) დონეს), არამედ, ასევე, როგორც გასაღები და საშუალება სამაგისტრო პროგრამის ინგლისურენოვანი აკადემიური კურსების პროგრამის შესასწავლად - ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, გვ.1) და შედეგებს (ფლობს ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების მაღალ (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა) - ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო

პროგრამა). პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, მაგისტრანტი - მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე, უზიარებს თავის დასკვნებს, არგუმენტაციას და კვლევის მეთოდებს აკადემიურ, სამეცნიერო და პროფესიულ წრეებს ქართულ და უცხოურ ენებზე. ხოლო მიზნების მიხედვით, მაგისტრანტმა უნდა შეძლოს - სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასევე, პროგრამა - მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიული და ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას ორენოვანი, თარგმნითი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკოგრაფიისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ ხარვეზის გამოსწორებას, რაც დღეს არსებობს ამ სფეროში (გვ.3. პროგრამა). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მხრიდან ქართული ენის გარკვეულ დონეზე ფლობას, რამაც, შესაძლოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს პროგრამაზე უცხო ქვეყნის სტუდენტის დაშვების წიპირობათა გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, ექსპერტთა ჯგუფს მაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონეც, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები - პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობათა ჩამონათვალი, კანონით გათვალისწინებულ ასპექტებთან ერთად, ორიენტირებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა სამიზნე ენის ფლობის კონკრეტული დონის განსაზღვრაზე. პროგრამა, ამ მხრივ, სტუდენტზე მეტად ორიენტირებულია და მისი მხრიდან გერმანული ენის არფლობის შემთხვევაში, პროგრამა მას სთავაზობს გერმანული ენის დაუფლების შესაბამის ინტენსიურ კურსებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საჯარო და საფეხურის შესაბამისი, რადგან ის ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ასევე პირები, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე არა აქვს ჩაბარებული გერმანული ენა, თუმცა ამ პირთათვის პირველ სემესტრში გერმანული ფილოლოგიის შესავლის კურსის პარალელურად, ინიშნება კურიკულუმს მიღმა სავალდებულო აქტივობა, რომელშიც იგულისხმება ინტენსიური კურსი გერმანულ ენაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას განაგრძობენ ის პირები, რომელთაც სწავლების პირველი სემესტრის ბოლოს გერმანულ ენაში საუნივერსიტეტო გრადაციის ტესტის გავლის შემდეგ უდასტურდება უცხოური ენების სწავლის,

სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით გერმანული ენის კომპეტენცია A1 დონეზე.

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: -მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; -საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები ეხმიანება პროგრამის მიზნებს (1. შესძენს საკომუნიკაციო ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B^{2.2} დონეს), რაც საბაკალავრო საფეხურის მახასიათებლებს ითვალისწინებს და სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების ლოგიკურ შესაძლებლობასაც ქმნის. ხოლო შედეგებში ის მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით აისახება უცხო ქვეყნის მოქალაქის (უცხო ენის მატარებლის) დაშვების შემთხვევაში, შედეგით გათვალისწინებული თარგმნის პრაქტიკული კომპეტენციის დადასტურებისთვის, დარგობრივ თემებზე მსჯელობისთვის საჭირო ქართული ენის ფლობის შესაბამისი დონის დაზუსტების მნიშვნელობის თვალსაზრისით (მაგ. ერთ-ერთი შედეგი: ქმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს გერმანულსა და ქართულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს ლოგიკურად და არგუმენტირებულად, იყენებს შესაბამის დარგობრივ ტერმინებს; თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში). გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მეტი სამართლიანობისა და გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის საჭირო ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის დონეც უცხოელი სტუდენტების (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) შემთხვევაში, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები- პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოქნილი და ღიაა მათთვის, ვისაც უკვე გააჩნია გერმანული ენის ფლობის დადასტურებული B2

დონე (რასაც ამავე კლასტერში მოცემული გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც ფარავს), ან საბაკალავრო საფეხური გავლილი აქვს გერმანულენოვან საგანმანათლებლო სივრცეში. პროგრამას, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აქვს განსაზღვრული დაშვების წინაპირობა, რაც შემდეგნაირად არის მოცემული:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (მათ შორის ბაკალავრებს, რომლებიც იცვლიან სპეციალობას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის 48-ე მუხლის, მე-4^ბ პუნქტის თანახმად.), რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და გერმანულ ენაში უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B² დონის ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენის ან ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი შიდა საუნივერსიტეტო და სპეციალობის გამოცდების საფუძველზე.
- უცხოურის ენის გამოცდისაგან კანდიდატის განთავისუფლება ასევე შესაძლებელია, თუ მას ბაკალავრიატი გავლილი აქვს გერმანულენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.
- პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა გერმანულ ფილოლოგიაში;

პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები ეხმიანება მასში მოცემულ მიზნებს (მაგ. ენის კომპეტენციის გათვალისწინებით - 1. პროგრამა შესძენს საკომუნიკაციო და დარგობრივი ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის C1 დონეს და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულის კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების გაღრმავებას)) და შედეგს (მაგ. საბაკალავრო საფეხურზე მირებული ფართო ცოდნის გაღრმავებით - სისტემურად აღწერს და კრიტიკულად მიმოიხილავს თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების, ლიტერატურათ- და თარგმანმცოდნეობის მნიშვნელოვან მიმართულებებსა და საკვანძო საკითხებს თანამედროვე ფილოლოგიური ტენდენციების და კვლევების კონტექსტში). უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამაც, შედეგებში ითვალისწინებს თარგმნის პრაქტიკული კომპეტენციის განვითარებას და ქართულ ენაზე დარგობრივ საკითხებზე მსჯელობას (მაგ. 2.1. ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ქმნის, თარგმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს ქართულსა და გერმანულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, არგუმენტირებული მსჯელობისას მიზნობრივად იყენებს დარგობრივ ტერმინოლოგიას), რაც ამავე კლასტერის ფარგლებში მოცემული გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, შესაძლოა შექმნას ბუნდოვანება პროგრამაზე უცხოენოვანი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში. იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, ექსპერტთა ჯგუფს მაჩნია, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის

მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები - პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, მასზე დაშვების წინაპირობას ზოგადი სახის ფორმულირებით წარმოადგენს, კერძოდ:

- წინამდებარე პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული სამუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოცემული წინაპირობა ზოგადი ხასიათისაა, თუმცა პროგრამის მიზნებისა (მაგ.1.სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა) და შედეგების (მაგ. 1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიური ფილოლოგიის საკვანძო საკითხებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; ნორვეგიულ და შვედურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, სკანდინავიურ (ნორვეგიულ და შვედურ) ლიტერატურასთან დაკავშირებულ კომპლექსურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას) ძირითად მახასიათებელთა გათვალისწინებით ეხმიანება სწავლების საფეხურს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მოცემული სახით ფორმულირება პროგრამით გათვალისწინებულ თარგმნის პრაქტიკულ უნარებზე გათვლილ კომპონენტებს ბოლომდე სამართლიანად და გამჭვირვალედ ვერ ასახავს. პროგრამით დეკლარირებული ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, სტუდენტი, პროგრამის დასრულების შემდეგ - თარგმნის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული და შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს ლექსიკონების გამოყენებით ("სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა"). მოცემული პროგრამა დაშვების წინაპირობის ნაწილში გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქის (უცხოენოვანი) სტუდენტის მიღებასაც, რამაც გარკვეულწილად, შესაძლოა შექმნას ბუნდოვანება მისი მხრიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან პრაქტიკული სახის თარგმანების შესრულების საჭირო კომპეტენციებს დადასტურებისას, თუ მას წინასწარ არ განესაზღვრა ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე. იმისათვის, რომ

მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონეც, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სკანდინავიისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

კლასტერული აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამა, მასზე დაშვების წინაპირობად წარმოაჩენს შემდეგ კომპონენტებს:

- ბაკალავრის ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.
- სასპეციალიზაციო გამოცდა „სკანდინავიისმცოდნეობის საფუძვლები“.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობათა მოცემული ფორმულირების გათვალისწინებით იკვეთება, რომ სამაგისტრო საფეხურის მოცემული პროგრამა საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ არსებული კანონით გათვალისწინებულ კომპონენტებთან ერთად, აღნიშნავს მხოლოდ ინგლისური ენის ფლობის გარკვეულ დონეს. პროგრამის სწავლების ენა არის ქართული და ის გულისხმობს ნორვეგიული და ფინური ენის პრაქტიკული კურსების სწავლებასაც (ფინური ენა (1,2 და 3); ნორვეგიული ენა (1,2 და3)). პროგრამის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის გაცნობისა და ინტერვიუს შედეგთა გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ მოცემული ენების ფლობას პროგრამა წინაპირობის ნაწილში არ მოიაზრებს, რადგან ის არ არის ორიენტირებული მხოლოდ სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის (რომელიც, თავისმხრივ, ფარავს სკანდინავიური ენების პრაქტიკულ კურსებსაც- ნორვეგიული, შვედური) კურსდამთავრებულის მიღებაზე, არამედ ის ითვალისწინებს ისეთი სტუდენტის მიღებასაც, ვინც საერთოდ არ ფლობს ნორვეგიულ, ან ფინურ ენას. აქვე უნდა აღინიშნოს სხვა გარემოებებიც, რაც ასევე უკავშირდება მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის სხვა მახასიათებელს. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის განსაზღვრული უცხო ქვეყნის (უცხოენოვანი) მოქალაქის მიღების შესაძლებლობა, რაც მას მეტად სამართლიანსა და სტუდენტზე ორიენტირებულობის მეტად გამოვლენის შესაძლებლობას მისცემდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს უცხო ქვეყნის მოქალაქის (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) პროგრამაზე დაშვებისთვის საჭირო ინფორმაციის მომცველი ინფორმაციაც.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათმორისი ურთიერთობები, სამაგისტრო საფეხური)

კლასტერული აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი თარგმანისა და კულტურათმორისი ურთიერთობების სამაგისტრო საფეხურის პროგრამა, მასზე დაშვების წინაპირობების ჩამონათვალს შემდეგი სახით წარმოაჩენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში;
- ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია;
- ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.
- შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- წერთი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (თარგმანის თეორია);
- პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მოცემული პროგრამა, თავისი შინაარსისა და მიმართულების გათვალისწინებით, სპეციფიურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, ის პრაქტიკულ ნაწილში აუცილებლად მოითხოვს ორი ენის გარკვეულ დონეზე ფლობას/გამოყენებას. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უცხო ენის ფლობის შესაბამისი დონის განსაზღვრა. აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაში ეს კომპონენტი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში, სხვა აუცილებელ კომპონენტებთან ერთად, საფეხურის გათვალისწინებით არის მოცემული. პროგრამაზე დაშვებისთვის საჭირო წინაპირობა გულისხმობს იმ საჭირო კომპეტენციათა ჩამონათვალს, რაც აუცილებელია მოცემული მიმართულებისა და სწავლის საფეხურისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის შინაარსი გულისხმობს მინიმუმ ორი ენის - ინგლისური და ქართული ენის მაღალ დონეზე ფლობას, რაც ასევე გამოკვეთს წინაპირობის მეტად დაზუსტების აუცილობლობასაც. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის მიზნების (მაგ.სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში დააკმაყოფილოს მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი) და შედეგების (მაგ. გამომუშავებული აქვს თარგმნის პრაქტიკული ჩვევები ინგლისური ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად.

ახდენს დარგობრივი ტექსტის დეკოდირებას, დიფერენცირებას და მეორე, მიმღებ/რეციპიენტ ენაზე გადატანას), ასევე წინაპირობით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქის პროგრამაზე დაშვების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონეც, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტის კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - tsu.ge;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - naec.ge;
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №69/ნ ბრძანება;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - დანართი 2;
- ინტერვიუების შედეგები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის ბრძანება №. 224/ნ;
- დანართი 1. კლასტერისთვის რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის.

კლასტერის საერთო რეკომენდაცია: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან

დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ): არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ):

რჩევა: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, სტუდენტზე ორიენტირებულობის მეტად გამოკვეთისთვის, სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატოს ინფორმაცია მსურველ პირთა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის შესახებ.

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ მოცემულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტად გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს, მნიშვნელოვანია, პროგრამის წინაპირობის ნაწილში დამატებით ფორმულირდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე (უცხოენოვანი/ქართულენოვანი) სტუდენტის მხრიდან ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის ფლობის შესაბამისი დონე, ან დაზუსტდეს ტერმინის - უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროგრამით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

რჩევ(ებ): არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში მოცემულ პროგრამათა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგთა ანალიზის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროგრამები, თავისი დარგობრივი მახასიათებლებით, წარმოადგენენ თეორიული და პრაქტიკული უნარების წარმოჩენის მრავალფეროვან მაგალითს, რაც მათ შედეგებშიც აისახება (მაგ. გერმანული ფილოლოგია სამაგისტრო საფეხურისთვის 2.1. კრიტიკულად აანალიზებს და მიმოიხილავს უახლეს დარგობრივ გერმანულენოვან კვლევებს ლინგვისტიკაში ან ლიტერატურის თეორიასა თუ თარგმანმცოდნეობაში, აკეთებს დასკვნებს და იყენებს მათ შერჩეული საკვლევი პრობლემატიკის თეორიულ საფუძვლად; და ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა -

ფლობს ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების მადალ (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა)). კლასტერის ფარგლებში, მოცემულ პროგრამებში, ზოგ შემთხვევაში, ხდება პრაქტიკული ენის თეორიულ მასალასთან ინტეგრირება (მაგ. თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საფეხურის პროგრამის კურსის 'თარგმანი როგორც კულტურათა დიალოგი' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, მაგისტრანტს ჩამოყალიბებული აქვს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემური საკითხების ინტერპრეტაციის უნარი საერთაშორისო არენაზე (კურსის სილაბუსი)). ზოგიერთი კურსი კი ან პრაქტიკული (ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა. კურსი 'ინგლისური ენა C1.1' - ინგლისურ ენაზე ამყარებს წარმატებულ კომუნიკაციას როგორც აკადემიური საზოგადოების, ისე არასპეციალისტთა წინაშე), ან თეორიული ხასიათისაა (თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა. კურსი 'ქართული თარგმანის ისტორია' - მაგისტრანტი ეუფლება და იღრმავებს ცოდნას თარგმანმცოდნეობისა და თარგმანის ისტორიის სფეროში). აღნიშნულ მარკერთა, აკრედიტაციისთვის წაროდგენილ პროგრამათა შესწავლისა და პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგთა ანალიზით გამოვლინდა, რომ კლასტერით გაერთიანებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარებით განამტკიცოს პროგრამაზე სწავლის პერიოდში, ასევე გაიღრმავოს ერთიდან მეორე საფეხურზე გადასვლის შემთხვევაშიც (მაგ. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით კურსდამთავრებული - ინგლისური ენის სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიის, თარგმანმცოდნეობის და სტილისტიკის აქტუალური საკითხებისა და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ზოგადი და ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს ენის სისტემის არსს და ხედავს კავშირს ენის თანამედროვე და დიაქრონული განვითარების ტენდენციებს შორის (გვ.3 პროგრამა), რისი სამაგისტრო საფეხურზე ფუნქციურ უნარებში ტრანსფორმირდება შესაძლოა მოხდეს თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში - გამომუშავებული აქვს თარგმანის პრაქტიკული ჩვევები ინგლისური ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად. ახდენს დარგობრივი ტექსტის დეკოდირებას, დიფერენცირებას და მეორე, მიმღებ/რეციპიენტ ენაზე გადატანას (პროგრამა, გვ.3). თეორიული ცოდნის პრაქტიკული სახით განმტკიცების შესაძლებლობა არამხოლოდ მოცემულ პროგრამათა სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება შესაძლებელი, არამედ სტუდენტთა საზაფხულო სკოლებში, სამიზნე ენის ქვეყნებში სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში ჩართვითაც, რაც კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინტერვიუებისასაც დადასტურდა (პროგრამა -სკანდინავიური ფილოლოგია და სკანდინავისტიკა). თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისას ასევე დადასტურდა კლასტერის ფარგლებში მოცემულ პროგრამათა სტუდენტების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის. ინტერვიუებისას ასევე აღინიშნა ისიც, რომ ყოველწლიურად გამართული სამეცნიერო კონფერენციები იმართება შერჩეული თემატიკით (ექსპერტთათვის ადგილზე

მოწოდებული კონფერენციის პროგრამები ბეჭდური სახით), რაც ეხმიანება კლასტერში მოცემული პროგრამების შინაარსს, სტუდენტებს კი კოორდინირებას სამეცნიერო სამსახურთან ერთად უწევენ პროგრამის ხელმძღვანელები. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობა, აქტივობის შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნებით განსახორციელებლად კლასტერის ფარგლებში, არჩევითის სტატუსით შეთავაზებულია კურსი 'სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და თარგმნის პრინციპები' (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამა), რომელიც პირდაპირ ფარავს მოცემულ საკითხს, ასევე ამავე პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კურსი 'ინგლისური ლიტერატურა: ტექსტი და კონტექსტი', რომელიც კურსით გათვალისწინებულ ძირითად შინაარსთან ინტეგრირებით ეხმიანება ზემოაღნიშნულ საკითხს, ხოლო საჯარო გამოსვლის თავისებურებათა სწავლებას ფარავს არჩევითი კურსი - 'საჯარო მეტყველება', რომელიც სტუდენტის მხრიდან ნაშრომის პრეზენტაციების პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსის 'სამეცნიერო მუშაობის ტექნიკები (გერმანული ენის მასალებზე) და სამაგისტრო კვლევის დიზაინი' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით კი სტუდენტი: დამოუკიდებლად იძიებს, აორგანიზებს, აღწერს და განმარტავს საკვალიფიკაციო ნაშრომთან მიმართებაში მიზნობრივ კვლევით ლიტერატურასა და საკვლევ მასალას/კორპუსს (კურსის სილაბუსი). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას, მათი მხრიდან აღინიშნა აკადემიური წერის უნარ-ჩვევათა განმამტკიცებელი კურსების პროგრამებში მეტი ინტენსივობით წარმოდგენის სურვილი. სტუდენტთა მხრიდან სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა რიცხობრივი მონაცემების სახით, დასტურდება აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტიაც (დანართი 1. კლასტერისთვის რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის). აღნიშნულიდან გამომდინარე, კლასტერის ფარგლებში მოცემული პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტთა მხრიდან თეორიული ცოდნის ტრანსფერულ/პრაქტიკულ უნარებად გარდაქმნაზე, რაც მათში შემავალი მრავალფეროვანი კურსებითაც დასტურდება (მაგ. თარგმანმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო კურსი 'მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 2', რომლის მიზანია - გამოუმუშავოს მაღალი მთარგმნელობითი ჩვევები მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის თარგმანის კუთხით ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად. რაც შედეგებში შემდეგნაირად ასახა: ანალიზებს და თარგმნის ფუნდამენტურ პოლიტიკურ სტატიებს, ასევე უცხოელი და ქართველი ავტორების პოლიტიკური წიგნებიდან ამონარიდებს (კურსის სილაბუსი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულ, ისევე როგორც თეორიულ კურსებს, წარმართავენ პროგრამის/კურსით გათვალისწინებული მიმართულებების პროფესიონალები. აღნიშნულის შესახებ უფრო ვრცლად მოცემულია მე-4 სტანდარტში.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამები სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას მათში შემავალი კურსების ფარგლებში სხვადასხვა ინტენსივობით, პირდაპირ (მაგ. გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი 'ტექსტის სტილისტიკა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი

ანალიზის მეთოდები)' - დამოუკიდებლად ირჩევს აქტუალურ საკვლევ საკითხს და შესაბამის ტექსტის სახეობას, განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს შერჩეულ კვლევის მეთოდსა და თეორიულ ჩარჩოს, ადგენს რეფერატის გეგმას, გამოკვეთს ზოგად დასკვნებს; და არაპირდაპირ, კურსით გათვალისწინებულ თემატიკასთან ინტეგრირებით წარმოაჩენენ (მაგ. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი "ციფრული ჰუმანიტარია" რომლის შედეგების მიხედვითაც: სტუდენტმა იცის სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის დამუშავების ძირითადი პრინციპები; მოიძიებს და ამუშავებს საჭირო სტატისტიკურ მასალებს, მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდებზე, ასრულებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირებას, კომენტირებას და ანოტირებას (კურსის სილაბუსი). სკანდინავიის ორივე საფეხურისა და თარგმანმცოდნეობის პროგრამებში არსებულ კვლევით ასპექტებზე უფრო დეტალურად მოცემულია 1.2 ქვესტანდარტში. პროგრამებში შეთავაზებული კურსების ფარგლებში მიღებული კვლევითი უნარების დადასტურება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში მოიაზრება. კლასტერის ფარგლებში მოცემული პროგრამებისგან განსხვავებით, ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს 10 კრედიტის ფარგლებში სთავაზობს არჩევანს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასა და ორი ინგლისურენოვანი კურსის 'გამოყენებითი ლინგვისტიკა და მეორე ენის შესწავლა' და 'შემოქმედებითი წერა და კომუნიკაცია' გავლას შორის, რაც პროგრამის მიხედვით, სტუდენტებს გაუღმავებს დარგობრივ ცოდნას და შესძენს იმ ენობრივ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია შრომით ბაზარზე მათი წარმატებით დასაქმებისათვის (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა საბაკალავრო საფეხურისთვის). წარმოდგენილი კლასტერის სამაგისტრო საფეხურის პროგრამების ფარგლებში მიღებულ კვლევით უნარებს სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას ადასტურებს. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენამდე პროგრამები საჭირო კვლევით კომპეტენციებს სხვადასხვა ინტენსივობით დეკლარირებენ კურსების შედეგებში (ცალკეულ პროგრამათა კვლევითი ასპექტებთან დაკავშირებით უფრო ვრცლად არის მოცემული 1.4 ქვესტანდარტში), როგორც თეორიულ (მაგ. თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი 'თარგმანის ლინგვისტიკა 1', რომლის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: თარგმანმცოდნეობის მაგისტრანტი აღწერს და განმარტავს თარგმანის ლინგვისტიკის მთავარ კონცეფციებს, უახლეს თეორიებსა და კვლევით პარადიგმებს (პრინციპებს და მეთოდებს) და ახდენს მათ იდენტიფიცირებას თარგმანის ანალიზის ასპექტში), ისე პრაქტიკულ დონეზე (მაგ. გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი 'კონტრასტული ლინგვისტიკა', რომლის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით - მაგისტრანტი ასრულებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს და წარმოდგენს მას სათანადო ფორმით (ზეპირი/ წერილობითი). კვლევითი კომპონენტების თეორიულ თუ პრაქტიკულ დონეზე გაცნობისა და გამოყენების გარდა, კლასტერით წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებში აქტიურად არის მოცემული შეპირისპირებით ანალიზზე აქცენტირებული კომპონენტები, რაც თარგმანმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომების შემთხვევაში განსაკუთრებით ტენდენციური აღმოჩნდა (61 ნაშრომიდან 39). აღნიშნული საკითხი პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუებისასაც გაჟღერდა, მათ აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომთა შეპირისპირებითი ანალიზის მომცველი ხასიათის ასეთი ინტენსიურობა,

თავისებურად, აყალიბებს კრიტიკოს, პრაქტიკოს მთარგმნელებს და ამ გზით ფილოლოგიური კვლევა ერწყმის თარგმანს (თარგმანმცოდნეობის პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები). ქუპირისპირებით ანალიზის თემატიკის მომცველ თემატიკას კლასტერში შემავალი სხვა სამაგისტრო საფეხურის პროგრამებიც, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა კურსების ფარგლებში ფარავენ (მაგ. სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსის 'გენდერული თანასწორობა სკანდინავიის ქვეყნებში' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, მაგისტრი - ადარებს და აპირისპირებს სხვადასხვა მიდგომის და მსგავსი ფენომენების განსხვავებულ მნიშვნელობებს; გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურის სავალდებულო კურსი 'კონტრასტული ლინგვისტიკა (გერმანული/ქართული) ერთ-ერთი შედეგის მიხედვით მაგისტრანტი - კონკრეტულ საკვლევ საკითხთან მიმართებით წარმოადგენს შეპირისპირებით ანალიზს გერმანულსა და ქართულს შორის სხვადასხვა სისტემურ დონეზე და მის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოყენებითი და ინტერდისციპლინური თვალსაზრისით). სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარება სხვადასხვა პროგრამების და ზოგადი მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება (მაგ. გაცვლითი კვლევითი ვიზიტები ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ერასმუს + -ის პროგრამის ფარგლებში; შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ მაგისტრანტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობის ინფორმაციული და მეთოდური მხარდაჭერა, პროექტი HERD - 'საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა' რომელშიც 12 ქართული უნივერსიტეტია ჩართული და სხვ. (გვ. 44. თვითშეფასების დოკუმენტი)), რაც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისასაც გაჟღერდა. სტუდენტთა მხარდაჭერა უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემულია სხვადასხვა სახის ვიდეოინსტრუქციები. კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები, კურსების ფარგლებში, ასევე ფარავენ სტუდენტთა კრიტიკულ უნარებზე ორიენტირებულ კომპონენტებს, რაც ზოგიერთი კურსის შედეგებში სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული (მაგ. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსი 'ინგლისური ლიტერატურა 1'-ის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, ბაკალავრი - კრიტიკულად კითხულობს შესასწავლი პერიოდის ავტორების მთავარ ტექსტებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას და ესმის მათი მნიშვნელობა ინგლისური ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში; თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსის 'ქართული თარგმანის ისტორია' ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, მაგისტრანტი - კრიტიკულად აფასებს ქართული და მსოფლიო თარგმანის ისტორიის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში არსებულ ემპირიულ კვლევებს).

კლასტერის ფარგლებში მოცემული პროგრამები თავისი შინაარსობრივი თავისებურებებით, განსხვავებული ინტენსივობით ფარავენ კვლევითი, კრიტიკული, ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ კომპონენტებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ფარგლებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში შემავალი პროგრამების/კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავიისტიკა, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები, თავისი საერთო თუ მხოლოდ პროგრამისთვის დამახასიათებელი კურსების ჩამონათვალით მრავალფეროვანია. სწავლების მეთოდებიც აღნიშნულის შესაბამისად არის მოცემული, სწავლების წარმოდგენილი მეთოდები ფარავენ სტუდენტებს შორის ინტერაქციის, სწავლის პროცესში სტუდენტის სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით ჩართვის, მათ მიერ სხვადასხვა უნარების - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ასპექტებს; მოცემულ შვიდ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კურსები, მათი კლასტერული ხასიათის გათვალისწინებით, იზიარებენ სწავლების მეთოდების საერთო, ძირითად ჩამონათვალს. პროგრამებში შემოთავაზებული სწავლების საერთო მეთოდები და აქტივობებია: ლექცია; სემინარი/სამუშაო ჯგუფი; დამოუკიდებელი მუშაობა; პრაქტიკუმი /პრაქტიკული მეცადინეობა; ტუტორიალი; ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია; სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით; წყვილში ან გუნდური მუშაობა; როლური და სიტუაციური თამაშები; გონებრივი იერიში; შემთხვევის ანალიზი; ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე და სხვ. (გერმანული ფილოლოგიის, სკანდინავიისა ფილოლოგიის, სკანდინავისტიკის,

პროგრამები). მოცემულ ჩამონათვალს ემატება ევრისტიკული, დემონსტრირების, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და წერითი მუშაობის მეთოდები ინგლისური ფილოლოგიის პროგრამების შემთხვევაში, ხოლო თარგმანმცოდნეობის პროგრამაში, გარდა ჩამოთვლილისა, ასევე მოცემულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, გამოცდილებით (experiential) სწავლება და პრეზენტაციის მომზადება. ასევე არის შემთხვევები, როცა კურსი თავისი სპეციფიური შინაარსობრივი ხასიათის გამო, განსხვავებულ მეთოდს იყენებს კურსით დასახული შედეგის მისაღწევად (მაგ. კურსი “ინგლისური ენა 2 (აუდირება-ფონეტიკა)” ინგლისური ფილოლოგიის სავალდებულო კურსის დანართ 1- ში მოცემულია სწავლების მეთოდები, რომლებიც კურსის სპეციფიური მახასიათებლის გათვალისწინებით განსხვავდება საერთო ჩამონათვალისგან - ინტერაქციული ლექცია/ ინტერაქციული შეკითხვები, სწავლება ტექნოლოგიების გამოყენებით / ვიდეო/აუდიო მასალა/ ხმის ჩანაწერები, სიმულაცია როლური თანაშემის გზით, ე.წ. საცდელი, მცირე პრეზენტაციები, ზედმიწევნითი გამოერება ე.წ. Drilling, ე.წ. “Shadow reading” და ხმამაღლა კითხვა, ტრანსკრიფციის ტექნიკა, გამოკითხვა ე.წ. eliciting, პრეზენტაცია- პრაქტიკა- პროდუქცია (PPP - Presentation-Practice-Production)). სწავლების მეთოდთა მოცემული მრავალფეროვანი ჩამონათვალი ქმნის ფართო შესაძლებლობას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსებით გათვალისწინებულ შედეგთა მიღწევისთვის (პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების პროდუქტიულად გამოყენებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 4.4. ქვესტანდარტში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სწავლების ჩამოთვლილი მეთოდების მრავალფეროვნებისა, პროგრამებში შემავალი თეორიული თუ პრაქტიკული სახის კურსები, ზოგ შემთხვევაში, ფარავენ ერთსა და იმავე მეთოდთა ჩამონათვალს. მაგალითად, სკანდინავიის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსი ‘სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია’ (თეორიული ხასიათის კურსი) და ‘ნორვეგიული ენა 1’ (პრაქტიკული ხასიათის კურსი) იზიარებენ სწავლების მეთოდთა ერთნაირ ჩამონათვალს: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დისკუსია, დებატები; ინდუქცია, დედუქცია; ანალიზი, სინთეზი; დემონსტრირების მეთოდი. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული ტიპის (თეორიულ და პრაქტიკულ უნართა გამომუშავებაზე ორიენტირებული) შედეგებზე გასვლა, გარკვეულწილად, შესაძლებელია განხორციელდეს სწავლების ზოგადი მეთოდების იდენტური ჩამონათვალით, თუმცა ასეთ შემთხვევაში სასურველია მოხდეს სწორედ იმ აქტივობათა გამოყოფა, რაც შესაძლებელს გახდის პრაქტიკული თუ თეორიული კურსით გათვალისწინებული შედეგების გამიჯვნას. აღნიშნული საკითხი ექსპერტთა მხრიდან გაქდერდა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებისას, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ სილაბუსის საუნივერსიტეტო ფორმით გათვალისწინებულ გრაფაში მეთოდების ზოგადი ჩამონათვალია მოცემული, თუმცა პრაქტიკული მუშაობისას ხდება მეთოდებით ნაგულისხმევი აქტივობების ჩართვაც და შედეგების მიღწევაც შესაბამისად ხორციელდება.

კლასტერის ფარგლებში მოცემული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა სწავლების საფეხურთან მიმართებით განსხვავებულია პროგრამათა მიხედვით. მაგალითად, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამის სწავლების მეთოდების ჩამონათვალი რაოდენობრივად და საფეხურის შესაბამისი აქცენტებით განსხვავდება სამაგისტრო საფეხურის ჩამონათვალისგან, რაც პროგრამაში ჩართული პერსონალის მეტი ინტენსივობით ჩართვის, მათი მხრიდან სტუდენტთათვის მეტი ფასილიტაციის ხასიათს იძენს. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდთა შემდეგი სახის ჩამონათვალი: ტუტორიალი (ლექტორთა ინტენსიური ჩართვა ახალი მასალის მიწოდებისას), როლური და სიტუაციური თამაშები (რაც, თავისმხრივ, მოიცავს ლექტორის მხრიდან სტუდენტის აქტიურ ფასილიტაციას), ენის სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფში და სხვ. სამაგისტრო საფეხურზე არ გვხვდება (თუმცა, სხვა მეთოდები მეორდება ს), რაც ქმნის სურათს, რომ სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტს მეტი დამოუკიდებლობა აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისას. აღნიშნულის შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლების მეთოდების საფეხურის თავისებურებათა გათვალისწინებით არის შერჩეული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში, მეტი დეფინიციისთვის, პროგრამებში ნარატივის სახით არის ახსნილი და არგუმენტირებული (მაგ. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას... განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის (სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამა); ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში: საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის შემადგენელი უმეტესი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაზე იკითხება და ინგლისურენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული). მოცემული მაგალითების გათვალისწინებით, მართალია ორივე საფეხურის პროგრამა იზიარებს სწავლის მეთოდთა ერთი და იგივე ჩამონათვალის დიდ ნაწილს, თუმცა მსგავსად ფორმულირებული აქცენტები მათი გამოყენების თავისებურებასა და კურსების სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებას უკავშირდება. თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა მხოლოდ მოცემული საფეხურისთვის არის წარმოდგენილი კლასტერში, შესაბამისად, მისი დადარება ამ კუთხით ვერ მოხდა იმავე

მიმართულების საბაკალავრო პროგრამასთან, მაგრამ პროგრამა, სწავლის ჩამოთვლილ მეთოდთა გამოყენებას, ლოგიკურად უკავშირებს მიმართულების სპეციფიურობასა და სწავლის საფეხურს (სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის (აღნიშნულის შესახებ მოცემულია 1.4 ქვესტანდარტში), ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს...)). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები მოქნილია და გათვლილია სტუდენტთა ისეთ საჭიროებებზე, რაც შეიძლება პროგრამის/კურსის შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს. კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამების დაგეგმვა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევებში ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული 'საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის' დოკუმენტით გათვალისწინებული 'დანართი 2'-ით. რაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისასაც დადასტურდა. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის - დანართი 1- ის მიხედვით, ელსწავლებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია ელსწავლების სინქრონული (Zoom, Google Meet და Google Classroom), ასევე ასინქრონული კომუნიკაციის ელრესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში (Moodle. LMS. Google Drive). ამავე დოკუმენტით ისაზღვრება პროგრამათა განმახორციელებელი პერსონალის ვალდებულებები, რომლის მიხედვითაც: პროფესორმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსის ელექტრონული სასწავლო მასალების (ლექციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი ან ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია ხმით ან ხმის გარეშე და საკითხავი ლიტერატურა, ტექსტური, აუდიო ან ვიდეო მასალა, დავალებები და სხვ.) მომზადება. მოცემული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, შესაძლებელია, ინტეგრირდეს ელსწავლების (სინქრონული, ასინქრონული) ფორმატშიც, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში ხაზგასმით მნიშვნელოვანი გახდება პრეზენტაციებით სწავლების კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში შემავალი პროგრამები/კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დანართი 1);
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (დანართი 1);

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დოკუმენტი (დანართი 2);

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევა: სასურველია სწავლების ზოგადი მეთოდების ჩამონათვალში მოხდეს იმ აქტივობათა გამოყოფა, რაც შესაძლებელს გახდის პრაქტიკული თუ თეორიული კურსით გათვალისწინებული შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნას.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს 'უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემას. როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურის პროგრამების ფარგლებში ის შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით: (A) ფრიადი – შეფასები 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ვ) (FX) ვერ ჩააბარა. მაქსიმალური

შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება ზ) (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი. იმისათვის, რომ შეფასების ფორმები იყოს ვარიაციული და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები სხვადასხვა გზით დაადასტურონ, პროგრამები ითვალისწინებენ შეფასების ფორმებს შუალედური თუ დასკვნითი გამოცდების/აქტივობების შეფასების სახით (მაგ. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის პროგრამა: (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, საშინაო ნაშრომი, თარგმანი, რეფერატი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ.); სკანდინავიისტიკის სამაგისტრო საფეხურის პროგრამა - ლექცია-სემინარების, წერითი ნამუშევრების - ესე/რეფერატის წარდგენა/პრეზენტაციით, შუალედური წერითი გამოცდა-კოლოკვიუმებით; და სხვ.). კლასტერის პროგრამათა კურსებით გათვალისწინებული შუალედური თუ დასკვნითი აქტივობების შეფასებისას ქულობრივ გრადაციას თან ერთვის ახსნა-განმარტებითი კომპონენტიც, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურ აღქმას (მაგ. თარგმანმოდუნობის კურსი 'თარგმანის ლინგვისტიკა 2' 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ქულობრივი შეფასება ბუნდოვანს ტოვებს მისი ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს. მაგალითად, სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამის კურსებში 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)', ასევე 'შვედური ენა (1,2 და 3)' საბოლოო გამოცდის შეფასების ქულები მოცემულია შემდეგი გადანაწილებით 40-31; 30-21; 20-11; 10-6; 5-2; 1-0. რაც შეფასებისას ქმნის 3 და 9 ქულიან შუალედსაც კი. აღნიშნული, პროგრამის

ხელმძღვანელთან ინტერვიუებისასაც გაჟღერდა ექსპერტთა მხრიდან, რაზეც მან განაცხადა, რომ ღია მოცემული საკითხის განსახილველად და მოახდენს მსგავსი შეფასებების შესაბამისად ფორმირებას. არათანაბარი შუალედის მქონე ქულობრივი გრადაცია ასევე მოცემულია ინგლისური ენის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსში - 'ციფრული ჰუმანიტარია': 0;1-4;5-8;9-18;19-24; 25-30. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 40/30 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 31/25 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს თან, რჩება 9/5 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის დიდ რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსების - 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6', 'შვედური ენა (1,2 და 3)' და 'ციფრული ჰუმანიტარია' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

გამომდინარე იქიდან, რომ კლასტერით მოცემული პროგრამები ზოგ შემთხვევაში გულისხმობენ სტუდენტთა მხრიდან თარგმანის კომპეტენციათა დადასტურებას, კურსების ფარგლებში ის მოცემულია შუალედური და დასკვნითი სახის გამოცდებშიც, შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებით (მაგ. გერმანული ფილოლოგიის კურსშიც 'გერმანული ენიდან ქართულზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა', ასევე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამით გათვალისწინებულ არჩევით კურსში 'სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და თარგმნის პრინციპები', რომლის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით სტუდენტი: თარგმნის სტატიის კომპონენტებს ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით; მოცემული შედეგი კი პრაქტიკული დავალების სახით მოწმდება:დარგობრივი ტერმინოლოგიის ცოდნა - 3 ქულა; მართლწერა - 2 ქულა; გრამატიკული კონსტრუქციების ზუსტი აგება - 2 ქულა; შინაარსობრივი მხარე - 3 ქულა). თარგმანმცოდნეობის პროგრამის კურსების ფარგლებში, სტუდენტთა შეფასების შესახებ, ვრცლად არის მოცემული 1.5 სტანდარტში. უკუკავშირის ფორმის გამოყენება, როგორც პროგრამათა განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუებისასაც გამოიკვეთა, ხდება სალექციო პროცესში, სტუდენტთა ძლიერი მხარეების გამოსავლენად და სუსტი მხარეების გასაძლიერებლად. აღნიშნული, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს ინტერვიუებისას.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული ნაშრომების დაცვა/შეფასება ხორციელდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, კლასტერში მოცემული პროგრამები ითვალისწინებენ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მოთხოვნებს. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის შესახებ არსებულ მოთხოვნებს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელების მხრიდან, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ

ვიდეოჩანაწერებიდან, ისევე როგორც საუნივერსიტეტო დოკუმენტების დახმარებით. ც. შეფასების შედეგებთან დაკავშირებული საკითხები, გასაჩივრების პროცესები მიმდინარეობს უნივერსიტეტში არსებული გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით (მუხლი 6), რომლის მიხედვითაც, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს შეფასების შედეგები საგამოცდო ცენტრთან ოფიციალური მიმართვის ფორმით, რაც შემდეგ საფაკულტეტო დონეზე, სააკველაციო კომისიის მუშაობის ფარგლებში განიხილება, თუმცა ამავე დოკუმენტის მიხედვით, რეკომენდებულია მანამდე სტუდენტის კომუნიკაცია და პირდაპირი უკუკავშირის მიღება ლექტორის მხრიდან. აღნიშნული პროცესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობა, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისასაც დადასტურდა. თუმცა უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას, მათ ასევე აღნიშნეს, რომ გასაჩივრების პრაქტიკული შემთხვევა არ ჰქონიათ. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ითვალისწინებს ორივე საფეხურზე, ნაშრომის ელფორმატში დაცვის შესაბამისი პროცედურების წარმართვას. მოცემულ შემთხვევაში საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომთა დაცვა ხდება კომისიის დასწრებით და არა საჯაროდ. აღნიშნული საკითხი საუნივერსიტეტო დოკუმენტით - 'ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები' არის განსაზღვრული. ხოლო პროგრამებით გათვალისწინებული კურსების შედეგების შეფასება ელექტრონული ფორმატით სწავლებისას, განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ პანდემიით გამოწვეული გამოცდილების შედეგად შემუშავებული დოკუმენტით - 'ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი', მე-4 მუხლი.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში შემავალი პროგრამები/კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (დანართი 1);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი (დანართი 1);

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 30 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 25 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს, რჩება 5 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის რისკს ქმნის), მნიშვნელოვანია, კურსის - 'ციფრული ჰუმანიტარია' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცია: სტუდენტების ობიექტურად შეფასების უზრუნველსაყოფად (იმისთვის, რომ არ დარჩეს ბუნდოვანება შეფასებისას, მაგ. ერთი სტუდენტის მიერ 40 ქულის, ხოლო მეორე სტუდენტის მიერ 31 ქულის მიღების შემთხვევაში, რომლებსაც ერთი და იგივე ვერბალური ახსნა ახლავს თან, რჩება 9 ქულიანი სხვაობა. აღნიშნული კი შეფასებისას უზუსტობის დიდ რისკს ქმნის),

მნიშვნელოვანია, კურსების - 'ნორვეგიული ენა (1,2,3,4,5 და 6)', 'შვედური ენა (1,2 და 3)' ფარგლებში გათვალისწინებული ქულობრივი შეფასება გადანაწილდეს მცირე შუალედით, შესაბამის ვერბალურ ნაწილთან ერთად.

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)				
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	<input type="checkbox"/>	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<p>პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)</p>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სემესტრული რეგისტრაციებისა და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მეშვეობით. ფაკულტეტზე არსებობს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც, ასევე სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისს ეწევა, რაც სტუდენტების პროფესიული და აკადემიური განვითარებისთვისაა საჭირო. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები საკუთარი ელექტრონული ფოსტით აქტიურ კომუნიკაციაში არიან როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა <https://lms.tsu.ge/>, რომელზეც თითოეული სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური პროფილი. ამავე ბაზის საშუალებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სააპელაციო განაცხადის გაგზავნის, რაც ასევე თვითშეფასების ანგარიშიდან დასტურდება. თუმცა, კონტაქტი პროგრამებში ჩართულ ლექტორთან როგორც წესი შიდა LMS სისტემით არ

ხორციელდება პრაქტიკაში, რაც სტუდენტებისთვის ზოგ შემთხვევაში ბარიერს ქმნის საჭირო ინფორმაციის დროულად მიღებაზე. მიუხედავად ამისა, სტუდენტების შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია პერიოდულად მიიღონ მათ მობილურ ტელეფონზეც, რაც გასაუბრების დროსაც დადასტურდა.

სტუდენტები ჩართული არიან ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა კვლევით პროექტებში, რაც დასტურდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით, ასევე ადგილობრივ კონფერენციების მასალებში მათ მიერ გამოქვეყნებული აბსტრაქტების მეშვეობით. გარდა ამისა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, მათ შორის ერასმუსი + პროგრამა არის ძალიან პოპულარული. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის მხრივ აღსანიშნავია სკანდინავისტიკის და გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც თანამშრომლობენ შემდეგ უნივერსიტეტებთან: ოსლოს და ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია), სახალხო სკოლა (შვედეთი), ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი) და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი (გერმანია). სხვა პროგრამებზე სტუდენტებმა აღნიშნეს გაცვლითი პროგრამების ნაკლები შესაძლებლობა. სტუდენტებისთვის მსგავსი ტიპის ჩართულობის შესახებ დამატებით აღწერილია 2.2 ქვესტანდარტის კომპონენტში.

სტუდენტებმა რომლებსაც ჰქონდათ გამოცდილება გაცვლით პროექტებში მონაწილეობის, დადასტურეს რომ უცხოეთში გავლილი კრედიტები უდიარდათ მათ სასწავლო პროგრამაზე. გამონაკლისი იყო საზაფხულო სკოლებში მონაწილეთა შემთხვევები, როდესაც ვერ მოხდა კრედიტების აღიარება.

ინტერვიუებით დადასტურდა რომ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აკადემიური მიღწევების საფუძველზე მიიღონ დამატებით უნივერსიტეტიდან სწავლის საფასურის დაფინანსება. კერძოდ, ფაკულტეტზე არსებობს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ფინანსური წახალისების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას. ასევე, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერა ოსლოში სავიზო მოსაკრებლის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და ბიბლიოთეკის შესახებ. თუმცა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის საკითხებზე უნივერსიტეტის მიერ ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „INTEGRITY“-ის ფარგლებში შემუშავებული ვიდეო ლექციების შესახებ არ გამოუყენებიათ. სკანდინავისტიკის, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი და ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ციტირების წესის და კვლევითი პროექტის დიზაინის შესახებ საჭირო ინფორმაციას ძირითადად იღებენ ნაშრომის ხელმძღვანელისგან. ამ პროგრამებში ცაკლე სასწავლო კურსად არ არის ინტეგრირებული კვლევის მეთოდები განსხვავებით გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისგან, სადაც ძლიერ კომპონენტად არის წარმოდგენილი კვლევითი ბლოკი.

ამასთან, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მათთვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზებზე წვდომის გამრავალფეროვნება, რაც გულისხმობს 2000 წლის შემდეგ გამოცემული პუბლიკაციებისა და მონოგრაფიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზები საკმაოდ მდიდარია, რაც დადასტურდა საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერების დროს როგორც ადგილზე ისე ელექტრონულ ფორმატში.

ინტერვიუების დროს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - თარგმანისა და კულტურათმშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2);
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება (დანართი 12);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://tsu.ge/>;

- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება (დანართი 17)
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება (დანართი 17).
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი:არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავიისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევა: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)				
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს ჰყავთ დარგობრივად კვალიფიციური ხელმძღვანელები.

კურსდამამთავრებულებთან საუბრისას დადასტურდა მათი საბაკალავრო/სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელების ჩართულობა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ინტერვიუების დროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები ჰქონდათ ბაკალავრებთან/მაგისტრანტებთან. სამაგისტრო ნაშრომების ნუსხის ანალიზისას დადგინდა, რომ მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე დოქტორანტები. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მაგისტრანტთა ინტერესს და ეხმარებიან, როგორც სამაგისტრო თემის, ისე კვლევის დიზაინის შერჩევასა და მის განხორციელებაში. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო რამდენიმე დაცულ ნაშრომს. რის საფუძველზეც დასტურდება, რომ

სამაგისტრო ნაშრომები შესრულებული იყო აქტუალურ თემებზე, რომელიც პასუხობდა ნაშრომის შინაარსს. აგრეთვე, ყველა მოწოდებული ნაშრომი შესრულებული იყო აკადემიური წერის გაფორმების წესის მეტ-ნაკლებად შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ. როგორც დაცული სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შემდეგ დადასტურდა, სტუდენტების მიერ შერჩეული შიდა ტექსტური და გამოყენებული ლიტერატურის ციტირების ფორმატი მეტ-ნაკლებად თანხვედრაში იყო რომელიმე რეფერენსირების სტილთან (უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე რეფერირების სტილი იყო შერეული ერთი და იგივე ნაშრომში). რაც შეეხება ნაშრომების მოცულობას და ლიტერატურული წყაროების შინაარსს, შესაბამისი იყო როგორც საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების სათაურებთან ასევე შესასწავლ საკვლევ საკითხთან. თარგმანმცოდნეობის, ინგლისური ფილოლოგიისა და სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა მათი სურვილი პროგრამების ფარგლებში შეისწავლონ აკადემიური წერა.

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადის დაცვაზე, რაც დადასტურდა პროგრამების და საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ Turnitin-ის პლატფორმის გამოყენებით შემოწმდა მათი ნაშრომები ვიდრე წარადგენდნენ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიასთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - სკანდინავიისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - თარგმანისა და კულტურათმშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხილეთ კლასტერის ერთიანი, ძირითადი მახასიათებლები)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები (დანართი 16);
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება (დანართი 12);
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი
- <https://tsu.ge/assets/media/files/57/00000/MA-momzadeba-dacva.pdf>
- პროგრამის განმახორციელებელთა პერსონალური მონაცემები - CV -ები (იხ. დანართი 6);
- ხელმძღვანელებისა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტების თანაფარდობა (დანართი 1);
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცია: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და				

დოქტორანტთა ხელმძღვანელობა				
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული

სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კლასტერში შემავალი პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი, როგორც აკადემიური ისე მოწვეული, უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში იმყოფება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების თანახმად. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის მიღებისა და კონკურსის წესი, სადაც დეტალურად აღწერილია საკონკურსო აკადემიური თანამდებობისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის ჩატარების წესი.

უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალი მიიღება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის თანახმად. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები და მოწვეული პერსონალის დასაქმების პროცედურა (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი).

უნივერსიტეტს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად გააჩნია ენების ცენტრი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების პროცესში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ენათა ცენტრში, ცენტრის დებულების თანახმად, მიიღება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის პირი, რომელსაც აქვს სწავლების მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილება, შესაბამისი უცხო ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია, დარგობრივი ენების სწავლების გამოცდილება ან/და პუბლიკაციები, ტრენინგები და სერთიფიკატები ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ენათა ცენტრის მოწვეული ლექტორების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული ენის სპეციალისტების უმეტესობას აქვს დოქტორის ხარისხი

შესაბამის დარგში. მათი პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი პროგრამების ფარგლებში სამიზნე ენის შესწავლისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების მიღწევადობას.

უნივერსიტეტში მოქმედი პერსონალის დაგეგმვის წესის თანახმად, კლასტერში შემავალი პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია მიმართულების, დარგის, ქვედარგის სპეციფიკა; სტუდენტების არსებული რაოდენობა; სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა; მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება. პერსონალის დაგეგმვის წესის თანახმად, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი - უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი - სასურველია შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2/3-ს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკური პროფესიული/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის მოწვევას და/ან სწავლებას მცირერიცხოვან ჯგუფებში.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის აფილირების წესი, რომლის მოთხოვნების გათვალისწინებით, მათთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. კლასტერში შემავალი პროგრამების განმახორციელებელი ყველა აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს მოეთხოვება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება (მინიმუმ 6 წელი პროფესორის შემთხვევაში და 3 წელი ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში) და დარგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის მონაცემები დასტურდება აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციით (დანართი 16, პერსონალის თვითშეფასება), რომლის მიხედვითაც საათობრივი დატვირთვა შესაბამისია განმახორციელებელი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან (დანართი 13). აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელ განხორციელებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები, რომელთა რეალური შესრულება დაადასტურეს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტუდენტებმა ინტერვიუს დროს. ეს ინფორმაცია დასტურდება დანართ 16-ში მოცემული პერსონალის თვითშეფასების დოკუმენტების სახითაც.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი და მათი რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში ემსახურება პროგრამების მდგრადობას. თვითშეფასების ანგარიშისთვის

მომზადებულ რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით პროგრამების მიხედვით შესწავლილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, რომელსაც პროგრამაზე მომუშავე გუნდი იყენებს პროგრამების მდგრადობის ხარისხის მონიტორინგისთვის. კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელი დაბალია.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების საუკეთესო პრაქტიკად შეგვიძლია გამოვყოთ ახალგაზრდა დოქტორანტების ჩართვა პროგრამების განხორციელების პროცესში. კლასტერის სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ფლობენ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ისინი აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო აქტივობებში. მათი კომპეტენციები დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომებით, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობით. მაღალია პროგრამებში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელი (საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები), რაც უზრუნველყოფს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის მხარდაჭერა Erasmus + გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული განვითარების მდგრადობას.

კლასტერში გაერთიანებულ ყველას პროგრამს ჰყავს ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლებიც არიან უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორები და პროფესორები. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის ლოგიკურ ბმას და კლასტერულ მიდგომას უფრო მეტად აძლიერებს ის ფაქტი, რომ ეს ხელმძღვანელები ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესში ორივე საფეხურზე. მათი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება მნიშვნელოვანია პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის და განვითარებისთვის. ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით

პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების, განხორციელებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. თვითშეფასების ანგარიშისთვის მომზადებულ რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს ემსახურება 72 ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებ ფუნქციებთან შესაბამისობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ, დარგისთვის შესაფერის, სამეცნიერო მუშაობას. მაღალია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელი - 266, აქიდან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 80, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 36, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 92, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 36, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი მონაცემები შეადგენს 22. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის მხარდაჭერა Erasmus + გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული განვითარების მდგრადობას.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 აკადემიური და 27 მოწვეული პერსონალი (მათი ბალანსია 11/27), მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (38/749). პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელი დაბალია - 4 (აკადემიური პერსონალი - 2, მოწვეული პერსონალი - 2). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და პროგრამაზე დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობას.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომლებიც არიან უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები. მათი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება ინგლისური ფილოლოგიის დარგში მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის და განვითარებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების, განხორციელებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის მზაობა დაეხმაროს სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში. ხშირია მათთან კონტაქტი საგამოცდო პერიოდში. თვითშეფასების ანგარიშისთვის მომზადებულ რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას ემსახურება 72 ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებ ფუნქციებთან შესაბამისობა.

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი)⁹

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁰	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	38	22	17	11
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	27	11	6	0
სამეცნიერო პერსონალი				-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, მაგისტრატურა)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულ შესაბამისობაშია სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ, დარგისთვის შესაფერის, კვლევით და სამეცნიერო მუშაობას. მაღალია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელი- 266, აქიდან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 80, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 36, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 92, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 36, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი მონაცემები შეადგენს 22. იგივე

⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁰ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მაჩვენებლები გამოიკვეთა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაშიც, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ორივე პროგრამაში ერთი და იგივე აკადემიური პერსონალია ჩართული.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის მხარდაჭერა Erasmus + გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული განვითარების მდგრადობას.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 აკადემიური პერსონალი, მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (10/20). პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელი დაბალია - 4 (აკადემიური პერსონალი - 2, მოწვეული პერსონალი - 2). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და პროგრამაზე დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობას.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, რომელიც ხელმძღვანელობს ლექსიკოგრაფიის მოდულსაც. ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის მოდულებს ჰყავს ცალცალკე ხელმძღვანელი. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და ინგლისური ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელები არიან ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებიც, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის ლოგიკურ ბმას და კლასტერულ მიდგომას. პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. ინგლისური ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. ენის თეორიის მოდულის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო დონეზე ერთი ხელმძღვანელისა და ორი მოდულის ხელმძღვანელის ჩართულობა მათი ინგლისური ფილოლოგიის დარგში აკადემიური და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით პროგრამის ინდივიდუალურობას უსვამს ხაზს.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების, განხორციელებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. თვითშეფასების ანგარიშისთვის მომზადებულ რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას ემსახურება 72 ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებ ფუნქციებთან შესაბამისობა.

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, მაგისტრატურა)¹²

¹² საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹³	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	19	18	17	10
- პროფესორი	3	2	2	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	8	-
სამეცნიერო პერსონალი				-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის¹³ შესაბამისად, ხოლო პერსონალის მოწვევას არეგულირებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“.

თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, დიპლომები) დასტურდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე მოწვეული ლექტორების ცოდნა და გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა განსაზღვრულია 2018 წლის 07 მარტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით N05/03 - „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად

¹³ პირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

განხორციელებას, კერძოდ, „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (13 /78). პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია (8/5). აკადემიური პერსონალის დენადობის თვალსაზრისით არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება, ასევე არსებითად არ შეცვლილა მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (მოაკლდა 1 და შეემატა 1 პირი), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაწეული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლებით, კერძოდ სულ - 242, მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 77, საერთაშორისო ჟურნალებში - 31; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 87, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული - 29; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 18.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელების პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელების კომპეტენცია სრულად შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, საერთაშორისო თანამშრომლობების შენარჩუნება, განვითარება და გაღრმავება გერმანულ უნივერსიტეტებთან, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური) ¹⁵					
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	9	8	
- პროფესორი	2	2	2	2	

¹⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁶ პირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	5	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად, ხოლო პერსონალის მოწვევას არეგულირებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“.

თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი) დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, მათი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა სრულად უზრუნველყოფს „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში რელევანტურია მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია და გამოცდილება.

სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა განსაზღვრულია 2018 წლის 07 მარტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით N05/03 - „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას, კერძოდ „გერმანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (10/9). პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია (8/2). აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი არ შეცვლილა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი - 519, მათგან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს შესაბამისად - 162 და 74 ერთეულს, ხოლო ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობა - 143 და 82 ერთეულს, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 58.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელების პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ „გერმანული ფილოლოგიის“ პროგრამის ხელმძღვანელების კომპეტენცია სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების II საფეხურის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, მათი აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში ადასტურებს მათ მაღალ კომპეტენციას სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. ამავდროულად ხელმძღვანელებს განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, საერთაშორისო თანამშრომლობების შენარჩუნება, განვითარება და გადრეკვა გერმანულ უნივერსიტეტებთან, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)¹⁸					
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი²⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	9	8	
- პროფესორი	2	2	2	2	
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5	
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1	
- ასისტენტი	-	-	-	-	
მოწვეული პერსონალი	2	2	1	-	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-	

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებაში აკადემიური პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის

¹⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად, ხოლო პერსონალის მოწვევას არეგულირებს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“.

თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, დიპლომები) დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რელევანტურია „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებასთან მიმართებაში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა განსაზღვრულია 2018 წლის 07 მარტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით N05/03 - „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას, კერძოდ „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (13/10). პროგრამას შეემატა 6 მოწვეული პირი და პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი განსაზღვრულია შემდეგი თანაფარდობით 4/9. „სკანდინავიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა ერთადერთია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, შედარებით ახალია კლასტერში დაჯგუფებული სხვა პროგრამებისგან განსხვავებით და მისი შემდგომი განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია დარგის კვალიფიციური კადრების გაზრდა. ამ თვალსაზრისით მისასაღებელია პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობის ზრდა. ასევე საგულისხმოა, რომ მოწვეულ პირთა შორის არიან ამავე მიმართულების დოქტორანტები, რომელთა ჩართულობაც ხელს შეუწყობს პროგრამის შემდგომ განვითარებას.

რელევანტურია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი, რაც შეადგენს სულ 74 ერთეულს, მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 22, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 8, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 19, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 17, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 8.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელის პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ სკანდინავიური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს. ის ჯეროვნად ართმევს თავს არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულებას, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამის

ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის აქტიური ხელშეწყობა, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისა და საგრანტო პროექტების დახმარებით პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა.

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)²¹					
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი²²	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი²³	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	5	4	
- პროფესორი	1	1	1	1	
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3	
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-	
- ასისტენტი	-	-	-	-	
მოწვეული პერსონალი	9	9	1	-	
სამეცნიერო პერსონალი					

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაბამისობაშია სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის უმეტესობას სკანდინავიურ ქვეყნებში მიღებული

²¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²² ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²³ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

განათლება ან გამოცდილება აქვთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ, დარგისთვის შესაფერის, კვლევით და სამეცნიერო მუშაობას, მათი სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებელია- 74, აქიდან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 22, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებია 8, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 19, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებია 17, ხოლო სხვა სამეცნიერო/კვლევითი მონაცემები შეადგენს 9. პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეების გაცნობისა და მათთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სკანდინავიურ ქვეყნებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული განვითარების მდგრადობას.

სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 აკადემიური პერსონალი, მათი რაოდენობა ორჯერ უფრო მეტია სტუდენტების რაოდენობასთან შედარებით (10/4). პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამაში ჩართულია ორი შვედური და ფინური ენების მატარებელი მოწვეული პერსონალი, რომელიც ზრდის პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელს. პროგრამაზე დენადობის მაჩვენებელი არ არსებობს, რაც სკანდინავიისტიკის პროგრამის მდგრადობაზე მიუთითებს.

სკანდინავიისტიკის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც არის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. მისი კვლევითი საქმიანობა სკანდინავიისტიკის მიმართულებით ოსლოს, ბურგენის, ორესუნდის, სტოკჰოლმის, ვილნიუსის უნივერსიტეტებში უმნიშვნელოვანესია პროგრამის განვითარებისთვის. ის ფლობს ნორვეგიულ, შვედურ და ფინურ ენებს. მისი აკადემიური და კვლევითი გამოცდილება სკანდინავიისტიკის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების, განხორციელებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. თვითშეფასების ანგარიშისთვის მომზადებულ რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით სკანდინავიისტიკის პროგრამას ემსახურება 72 ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და განსახორციელებ ფუნქციებთან შესაბამისობა.

პროგრამა 6 (სკანდინავიისტიკა, სამაგისტრო საფეხური)²⁴

²⁴ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	28	24	14	10
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	7	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	16	14	4	-
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

კლასტერის ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო საფეხურის პროგრამის “თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)” განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის გათვალისწინებით (თვითშეფასების დოკუმენტი; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი). პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია სწავლების საფეხურის შესაბამისია. აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის (დანართი 16; 2015-2021 წწ) საფუძველზე ირკვევა, რომ თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ფარგლებში, პერსონალი ჩართული იყო სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში (მაგ. სამეცნიერო კვლევითი პროექტები - 2; რუსთაველის ფონდის გრანტი - 2; საქართველოში გამოცემული სტატიები - 26; ადგილობრივი კონფერენციები - 48, საერთაშორისო კონფერენციები - 17; კონფერენციები უცხოეთში - 23; გამოცემული სახელმძღვანელო - 1; მონოგრაფია -1; საგრანტო პროექტები - 5; უცხოეთში გამოცემული სტატიები - 10; ფორუმებში მონაწილეობა - 17 საქ; 1 უცხოეთი). აღნიშნული მონაცემები ასევე მოცემულია დოკუმენტით -სამეცნიერო აქტივობები 2017-2021. პროგრამაში ჩართულია 3

²⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აკადემიური, აფილირებული და 4 მოწვეული პერსონალი. პროგრამით გათვალისწინებულია სულ 36 კურსი, რომელიც განაწილებულია პროგრამის განმახორციელებელ 7 პერსონალზე შემდეგი რაოდენობრივი თანაფარდობით: 36-დან 20 კურსს უძღვება აფილირებული, ხოლო 16 - ს მოწვეული პერსონალი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროგრამით გათვალისწინებული კურსების სილაბუსებში მითითებულია ორი ლექტორი (მაგ. კურსი “ინგლისური ენა და თარგმანი 1”), დანართ 2-ით გათვალისწინებულ დოკუმენტაციაში მითითებულია პროგრამაში ჩართულ ლექტორთა ჩამონათვალი მათ მიერ წაკითხულ კურსებთან ერთად; მათ შორის რაოდენობრივი თანაფარდობა ითვალისწინებს კურსის არჩევითობის/სავალდებულო სტატუსს და ლექტორთა ლოგიკური საათობრივი გადანაწილების შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში, რასაც სილაბუსში არსებული ორი ლექტორის მითითებაც გულისხმობს. მოწვეული პერსონალი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ ცოდნას, გამოცდილებას და კომპეტენციას (დანართი 6). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის მონაცემები დასტურდება აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციით (დანართი 16, პერსონალის თვითშეფასება), რომლის მიხედვითაც საათობრივი დატვირთვა შესაბამისია განმახორციელებელი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებთან (დანართი 13). აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას, მათ საქმიანობაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათებიც, რომელიც დასტურდება დანართ 16-ში მოცემული პერსონალის თვითშეფასების დოკუმენტების სახითაც. კლასტერის აკრედიტაციისთვის მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა არის ნულის ტოლი, რაც პროგრამის მდგრადობის ერთ-ერთი ინდიკატორია. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა - 7 შესაბამისია სტუდენტთა რაოდენობასთან - 26. მაგისტრანტთა ხელმძღვანელის რაოდენობა არის 4, რაც სტუდენტთა რაოდენობასთან, დაახლოებით $\frac{1}{5}$ შეფარდებას ქმნის. პროგრამის ხელმძღვანელს ნამდვილად გაჩნია პროგრამის საფეხურის შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია (დანართი 3), რაც დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო შრომებით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარების ყველა შესაბამის ეტაპზე. პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტის მიხედვით, ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 72-ს, რაც ქმნის ლოგიკურ რაოდენობრივ თანაფარდობას პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან, მათი საქმიანობის დეტალური აღწერილობა მოცემულია დანართ 17-ში.

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური) ²⁷				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²⁸	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²⁹	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	7	5	2	3
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დანართები: 3,6,13,16,17;
- პირადი საქმეები;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი;
- კლასტერის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ გაცემულა

²⁷ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁸ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კლასტერის საერთო რჩევები: არ გაცემულა

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 3 (გერმანული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 4 (გერმანული ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 5 (სკანდინავიური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 6 (სკანდინავისტიკა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

პროგრამა 7 (თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე), სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ გაცემულა

რჩევ(ებ)ი: არ გაცემულა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ინგლისური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
